პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ხუთშაბათი, 15 აგვისტო 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 186 (2532)

დღიური

- გერმანიის უმუშევართა კომიტეტი ემზადება ბრძოლისათვის დახმარების შემცირების წინააღმდეგ
- დანიის მუშათა დელეგაციის მოწვევა საბჭ. კავშირში
- კლაუზენბურგის (რუმინეთი) ციხეში დაპატიმრებული 12 კომუნისტი გაანთავისუფლეს 45 დღის შიმშილობის შემდეგ
- ლანკაშირის ფეიქართა ნაწილმა განაახლა მუშაობა
- ნორვეგიელ რეფორმისტების კამპანია საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაციის გამგზავრების წინააღმდეგ
- გაიხსნა პოლონეთის ლეგიონერთა კონგრესი
- დიდი მიწისძვრა შეერთებულ შტატებში

პარასკევს, 16 აგვისტოს მთავრობის სასახლეში
შესდგება
საქართველოს ეკონომიურ საბჭოს სხდომა
დასაწყისი დღის 12 საათზე.
ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართ. მეგრელიშვილი.

გავაცხოველოთ ქალთა შორის მუშაობა

მიმდინარე წლის სექტემბერსა და ოქტომბერში დაიწყება ქალთა სადელეგატო კრებების მორიგი არჩევნები. პარტია დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ამ კამპანიას. სადელეგატო კრებები ერთ-ერთი იმ მთავარ საშუალებათაგანია, რომლის დანიშნულებაც არის ქალაქისა და სოფლის მშრომელი ქალების პოლიტიკურ და კულტურულ დონის ამაღლება და მათი მომზადება სოციალიზმის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობის მიღებისათვის. არა ერთხელ აღნიშნულა, რომ მშრომელ ქალთა მასები განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან ძველი წყობილებისაგან მემკვიდრეობით დარჩენილ დრომოჭმულ ყოფა - ცხოვრებითი პირობების სიმძიმეს. საჭიროა გაძლიერებული მუშაობა, რომ ეს მდგომარეობა გამოსწორდეს, საჭიროა ქალთა შორის მუშაობას საპატიო ადგილი დაეთმოს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. ნამდვილად კი ბევრგან ამას ადგილი არა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვით ყველა ერთხმად სცნობს ქალთა შორის მუშაობის დიდ მნიშვნელობას, საქმით ბევრი შესაფერ ნაბიჯებს არ სდგამს ამ მიმართულებით. ამას შედეგად მოსდევს ის არანორმალური მდგომარეობა, რომლის მოწმეც ჩვენ ხშირად ვართ. პარტიის შემადგენლობაში ჯერ კიდევ მეტად მცირეა მუშა და განსაკუთრებით მოჯამაგირე ქალთა პროცენტი, ნელი ტემპით მიმდინარეობს მშრომელ ქალთა დაწინაურება, შესაფერი ყურადღება არ ექცევა ისეთ სამეურნეო ხასიათის ღონისძიებათა (საზოგადო სამრეცხაოები, სასადილოები, ბავშთა ბაგები და სხვ.) ჩატარებას, რომელნიც გაუადვილებენ მშრომელ ქალს წვრილმან ოჯახურ საქმიანობისაგან თავის დაღწევას და საზოგადო მუშაობის ასპარეზზე უფრო მასიურად, უფრო თამამად გამოსვლას. ქალთა შორის მუშაობისადმი ამ ზერელე დამოკიდებულების შედეგია ის გარემოებაც, რომ სადელეგატო კრებები ბევრგან ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. მათი სოციალური შემადგენლობა ხშირად ვერ არის სათანადოდ შერჩეული. კრებების მეცადინეობა არ ატარებს სისტემატიურ ხასიათს, ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია არ უწევს მათ საჭირო ხელმძღვანელობას, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოებიც ნაკლებ ინტერესს იჩენენ ქალთა შორის მუშაობის საკითხებისადმი და სხვა.

ასეთი მდგომარეობიდან თავისთავად გამომდინარეობს სათანადო დასკვნაც. აუცილებელია საფუძვლიანი გარდატეხა მოხდეს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციების და, პირველ ყოვლისა, პარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში იმ მხრივ, რომ მშრომელ ქალთა პოლიტიკურ და კულტურულ გათვითცნობიერების გზაზე გამოყვანას, მათ აქტიურად მომზადებას სოციალისტურ აღმშენებლობაში პრაქტიკულ მონაწილეობისათვის მეტი ყურადღება ექცეოდეს. ქალთა სადელეგატო კრებების მორიგი არჩევნები უნდა გადაიქცეს მძლავრ მასიურ კამპანიად, რომელიც ხელს შეუწყობს ასეთი გარდატეხის შეტანას ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშა და მოჯამაგირე ქალთა ახალი ფენების გამოყვანას საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო გზაზე. სადელეგატო კრებების არჩევნების ირგვლივ უნდა დაირაზმონ ყველა ადგილობრივი აქტიური საბჭოთა ელემენტები. ყოველი ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ მომავალ შემადგენლობის სადელეგატო კრებები რაც შეიძლება მაქსიმალურად იქნენ უზრუნველყოფილი თავიანთ მუშაობის წარმატებით განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადელეგატო კრებების განვლილ მუშაობის დეფექტების დაუზოგავად გამომჟღავნებას, რომ შემდეგისათვის გათვალისწინებულ იქნას ის მიზეზები, რომელნიც აფერხებენ ქალთა შორის მუშაობას ამ დარგში. თვითკრიტიკის ლოზუნგი შეუბრალებლად და მტკიცედ უნდა გატარდეს ამ კამპანიაში.

ქალთა სადელეგატო კრებების არჩევნებთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა მსხვილ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობას ამ კამპანიაში. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცირკულიარულ წერილში სადელეგატო კრებების მორიგ არჩევნების შესახებ გარკვევით არის ნათქვამი, რომ დიდ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში უნდა დაარსებულ იქნას ცალკე სადელეგატო კრებები. კოლექტივები და საბჭოთა მეურნეობანი როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც მაგალითის მიმცემი უნდა გახდნენ მშრომელ გლეხკაცობის მასებისათვის. მათ უნდა შექმნან სანიმუშო სადელეგატო კრებები, რადგან კოლექტივები და საბჭოთა მეურნეობების თავისებური პირობები საუკეთესო ნიადაგს ჰქმნის ყოველი სახის მასიურ მუშაობის განვითარებისათვის და კერძოდ ქალთა პოლიტიკურ, კულტურულ და პროფესიონალურ მომზადებისათვისაც.

თავისთავად ცხადია, რომ სადელეგატო კრებების არჩევნებში გვერდს ვერ აუვლით იმ მორიგ ამოცანებს, რომელიც ამჟამად ჩვენს წინაშე სდგანან სოციალისტურ მშენებლობის დარგში ქალაქად და სოფლად. ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის პოპულიარიზაცია, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის მნიშვნელობის ფართოდ განმარტება, ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის კავშირის განმტკიცება კულაკობის წინააღმდეგ იერიშის გასაძლიერებლად, შრომის დისციპლინის ამაღლება, სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება და სხვ., აი ის მთავარი საკითხები, რომელნიც უნდა დაედოს საფუძვლად სადელეგატო კრებების არჩევნებს. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა მშრომელი მასების მონაწილეობის მნიშვნელობას ამ საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტის საქმეში.

სადელეგატო კრებების არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა. საჭიროა აქედანვე შეუდგეთ სამზადისს. უნდა მიღებულ იქნას ყველა ზომები იმისათვის, რომ ეს არჩევნები გადაიქცეს ნამდვილ მასიურ კამპანიად, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო მშრომელი ქალები, არამედ მუშათა და ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო ფენები.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებში

სოციალ-ფაშისტების მიერ შექმნილ დაბრკოლებათა მიუხედავად, მიუხედავად საშინელი დევნისა და სისხლიანი რეპრესიებისა, მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ტალღა უფრო და უფრო მაღლა იწევს და იკაფავს გზას. ფაშისტურ რუმინეთში მემაღაროეთა გაფიცვა გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთის მილიტარისტებმა სოციალ - ფაშისტების დახმარებით, გაფიცულთა გვამებით მოჰფინეს ჟილავის ხეობა. ტელეგრაფი გადმოგვცემს, რომ „პილეგის ტყეებში და უფრო დაშორებულ კუთხეებშიაც კი დღემდე ნახულობენ მხეცურად ნაწამები მუშების გვამებს“. მუშები კი ბრძოლას განაგრძობენ. ოკეანეს იქით „მოწინავე“ „დემოკრატიულ“ რესპუბლიკაში, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფეიქრო მრეწველნი და მათ მიერ დაქირავებული ბანდიტები მხეცურად უსწორდებიან გაფიცულ ფეიქრებს. ამერიკის კაპიტალის კლასობრივი იუსტიცია სრულებითაც არ კმაყოფილდება შეიარაღებული თავდასხმებით გაფიცულთა ბინებზე და მათი რევოლიუციონური პროფკავშირის სადგომებზე, იგი ეხლა ამზადებს საკოს და ვანცეტის ახალ საქმეს გადიდებული მასშტაბით. 13 ფეიქარს ამერიკის იუსტიცია ემუქრება ელექტრონის სკამით, ათს კი — საკატორღო მუშაობით. მიუხედავად ამისა, ფეიქრები ბრძოლას განაგრძობენ. შორეულ ინდოეთში საგაფიცვო მოძრაობის ტალღა კვლავ აზვირთებულია, მიუხედავად იმისა, რომ რევოლიუციონური პროფკავშირების და მუშურ-გლეხურ პარტიების ლიდერები ინგლის - ინდოეთის მთავრობამ, რომელსაც „მუშათა“ პრემიერი რამზეი მაკდონალდი მეთაურობს, ბრალდებულთა სკამზე დასვა.

ინგლისის ლოკაუტგამოცხადებულ ფეიქართა წინაშე ცრუ-მუშური მთავრობა საფეიქრო მრეწველობისათვის გაწეულ სახელმწიფო დახმარებას ფარავს თვალთმაქცური ფრაზებით მშვიდობიანობისა და ადამიანობის შესახებ. მუშათა მთავრობის ჯანმრთელობის მინისტრის გრინვუდის ცირკულიარი, რომელიც კრძალავს მუშებისათვის ხელფასის გამო დახმარების მიცემას, გამოცემულ იქნა მას შემდეგ, რაც დამრთავების კონფერენციამ მიიღო დადგენილება ბრძოლის განგრძობის შესახებ. ამ კონფერენციაზე პროფბიუროკრატები და სოციალ-მოღალატენი განსაკუთრებით იმედს ამყარებდნენ. ისინი მტკიცედ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სადელეგატო კონფერენცია მისცემდა დამრთავთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს რწმუნებას — დაეწყო მოლაპარაკება ხელფასის შემცირების საფუძველზე. მაგრამ საფეიქრო ფაბრიკების პატრონთა ლაქიები სასტიკად დამარცხდნენ. კონფერენცია სულ 20 წუთს გაგრძელდა. დელეგატებმა გადაჭრით უარჰყვეს პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წინადადება — დათანხმებულიყვნენ ხელფასის შემცირებაზე.

დამრთავთა გადაწყვეტილებამ იმედის ფრთები შეასხა გაფიცულთ და დაბნეულობა გამოიწვია მათი მტრების ბანაკში. „დეილი ჰერალდ“-მა—პროფკავშირთა კონგრესის ოფიციალურმა ორგანომ გულისტკივილით განაცხადა: დამრთავთა კავშირის ისტორიაში პირველი მაგალითია, რომ კავშირის ჭადარა ბელადები ასეთ წინააღმდეგობას შეხვდნენ. საფეიქრო მრეწველებს სასწრაფოდ მიეშველა მუშათა მთავრობის ჯანმრთელობის მინისტრი, რომელმაც შიმშილის მათრახით აღჭურვა ისინი.

შემთხვევითი როდია, რომ კაპიტალისტები და მათი ლაქიები ასე გააფთრებით ილესავენ კბილებს გაფიცულთა წინააღმდეგ. მსოფლიოს ყველა კუთხეში მომხდარი ეკონომიური ბრძოლები, რომლებმაც უდიდესი მასები აამოძრავეს, აქარწყლებენ და სპობენ სოციალ-დემოკრატებისა და მათი დამქაშების ლეგენდებს კაპიტალისტური სტაბილიზაციისა და სამრეწველო მშვიდობიანობის შესახებ. ჰილფერდინგებისა და ზომბარტების იმ თეორიებში, რომლებიც კაპიტალისტური განვითარების სიმტკიცის ახალ ხანას შეეხებიან, შრომისა და კაპიტალის ჰარმონიული ურთიერთობის აზრს უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს. მაგრამ ეკონომიური ბრძოლა დინამიტივით აფეთქებს ამ თეორიებს და ააშკარავებს იმ წინააღმდეგობებს, რომელნიც ღრღნიან დამპალ სტაბილიზაციას.

მსოფლიო ბურჟუაზიისა და მისი ლაქიების იარაღი პირველ რიგში მიმართულია მუშათა ეკონომიურ ბრძოლის გამომწვევნების ყველა ფორმის წინააღმდეგ.

ამავე დროს მსოფლიო რეაქცია მთელი თავისი ძალღონით თავს ესხმის მუშათა კლასის რევოლიუციონურ ორგანიზაციებს და პირველ რიგში, კომპარტიებსა და რევოლიუციონურ პროფკავშირებს.

გერმანიაში სოციალ-დემოკრატები გულდასმით ემზადებიან კომპარტიის დასარბევად. ვეიმარის კონსტიტუციის დღესასწაული გადაიქცა იმ რაზმების დემონსტრაციად, რომლებიც მუშათა კლასის წინააღმდეგ სოციალ-ფაშიზმის დიქტატურის დასაყრდენი უნდა გახდნენ. სოციალ-დემოკრატიული ლიდერები, რომლებიც სათავეში უდგანან გერმანიის კოალიციონურ მთავრობას, არ მალავენ, რომ მთელი მათი გულისყური მიმართულია კომპარტიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ თვით გერმანიაში და პროლეტარული დიქტატურის პირველი ქვეყნის წინააღმდეგ.

უფრო აშკარა შეტევაა კომპარტიებზე საფრანგეთსა და ჩეხო-სლოვაკიაში.

ჩეხო-სლოვაკიის რევოლიუციონური მუშებისათვის ფაქტიურად გაბათილებულია ყველა ბურჟუაზიული თავისუფლება—კრების ბეჭდვისა და კავშირების თავისუფლება. კომპარტიის ორგანოებს რისხვად ევლინება რეპრესიები. მათ თანდათან დაჟინებით და სისტემატიურად იატაკქვეშ ერეკებიან. კრებებს, ქუჩის დემონსტრაციებზე რომ არ ვილაპარაკოთ, შეიარაღებული ძალით ჰფანტავენ. კომპარტია ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაშია. ბოლო არ უჩანს იმ რეპრესიებს, რომლებიც მიმართულია ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიისა და წითელი პროფკავშირების წინააღმდეგ.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის პრეფექტურის, პოლიციის, სასამართლოსა და საპყრობილეების შენობებს ძველებურად ამშვენებს სიტყვები: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. მაგრამ საფრანგეთის სასამართლოს ყოველდღე გამოაქვს საკატორღო განაჩენები კომუნისტებისათვის, და იგი კომუნისტებით ავსებს არა მარტო პარიზის, არამედ საფრანგეთის ყველა სხვა რევოლიუციონური ცენტრის საპატიმროებს. დაპატიმრებულმა რევოლიუციონერებმა შიმშილობის საშუალებით უნდა დაიცვან ის მცირე ტრადიციული თავისუფლებანი, რომლებითაც პოლიტიკური პატიმრები სარგებლობდნენ საფრანგეთის საპყრობილეებში.

ჩვენ მოვიხსენიეთ სამი დემოკრატიული ქვეყანა, რომელნიც ამაყად აცხადებენ —დემოკრატიულ რესპუბლიკანური ქვეყნები ვართო. მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ აშკარა [illegible] და [illegible] ქვეყნებში თეთრი ტერორი, მიმართული კომპარტიებისა და რევოლიუციონური ორგანიზაციების წინააღმდეგ, ხორციელდება უფრო ცინიკურ ფორმებში.

მაგრამ მსგავსად ეკონომიურ გაფიცვათა ტალღისა, რომელიც ძირს უთხრის მსოფლიო რეაქციის მიერ მოწყობილ მავთულის ხლართებს, კომპარტიები თანდათან მაგრდებიან და იკაჟებიან რეაქციის ჩაქუჩის ქვეშ. მიუხედავად ფაშისტური თარეშისა საფრანგეთში, საფრანგეთის კომპარტიამ მოახერხა მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტების მიმხრობა და საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაშლილ ბრძოლაში ფართო პროლეტარული მასების თავის გარშემო შემჭიდროება. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია, რომელმაც დიდი ხანი არ არის, რაც სოციალ-დემოკრატიული იდეების აშკარა გამტარებლებისაგან, თავისი რიგები გასწმინდა, ამჟამად მტკიცედ დაადგა რევოლიუციონურ გზას. გერმანიის კომპარტიამ კი 1-ლ და 11 აგვისტოს გვიჩვენა, რომ იგი უშუალოდ და წარმატებით იბრძვის მუშათა კლასის უმრავლესობისათვის.

მთელს მსოფლიოში ბრძოლა მწვავდება. შეტაკებები უფრო და უფრო მკაცრი ხდება. ამ მკაცრ ბრძოლაში იბრძვიან მსოფლიო კომუნისტური პარტიის მებრძოლი [illegible].

ჩინელ ხუნხუზების და რუს თეთრგვარდიელების თავდასხმა საბჭ. საზღვარზე

საბჭოთა სანაპირო რაზმმა გაჰფანტა თავდამსხმელები

გერმანია იუნგის გეგმის მიღების პირობათ აყენებს რეინის ოლქის დაცლას

პოლონეთის წრეები აღიარებენ პოლონეთის დიპლომატიის დამარცხებას ჰააგაში

ამერიკის მრეწველთა დელეგაცია განცვიფრებულია საბჭოთა კავშირის მიღწევებით

ჩინელ ხუნხუზებმა და რუს თეთრგვარდიელებმა

ღირსეული პასუხი მიიღეს

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 14 აგვისტო. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი უთანხმოების პირველი დღიდანვე თეთრგვარდიელები ჩინეთის ჯარის უშუალო დახმარებით, სისტემატიურად უშენდნენ ტყვიებს საბჭოთა სადარაჯო პუნქტებს და მშვიდობიან მცხოვრებლებს. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჩვენს მხარეზე რამდენიმე ადგილას მოჰკლეს და დაჭრეს რამდენიმე კაცი. თავგასული თეთრი ბანდიტები და ჩინეთის ჯარის ნაწილები სროლითაც არ დაკმაყოფილდნენ, ზოგ ადგილას მათ ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსვლაც კი სცადეს. ბლაგოვეშჩენსკის, მდინარე სუნგაჩის შესართავთან და ხანკას ტბის რაიონებში თეთრგვარდიელები, ჩინური ჯარის დახმარებით, თავს დაესხნენ ჩვენ სანაპირო რაზმებს. ჩვენი ნაწილების მამაცი მოქმედებით თავდამსხმელები გაფანტულ იქნენ. (ადს).

სამხედრო სამზადისი მანჯურიაში

ხაბაროვსკი, 14 აგვისტო. მდ. ამურზე ჩინეთის მხრიდან ჩინეთის სარდლობა აგებს სიმაგრეებს — აკეთებს თხრილებს და მავთულის ხლართებს. მოჰყავთ ახალ-ახალი ჯარი. ჯარის განწყობილება პანიკურია. მოსახლეობა მტრულად ეპყრობა ჯარისკაცებს. ძარცვა-გლეჯა ძლიერდება. (ადს).

ეპისკოპოს მეთოდეს ლოცვა-კურთხევით

ჩიტა, 14 აგვისტო. ხარბინში ეპისკოპოს მეთოდეს ლოცვა-კურთხევით მოეწყო თეთრ გვარდიელთა „მოქმედების“ კომიტეტი, რომელსაც მეთაურობს ცნობილი თეთრგვარდიელი გაშკოვი (ადს).

ანტი-საბჭოთა ასოციაციების შექმნა შეაჩერეს

პეიპინი, 13 აგვისტო. ნანკინის მთავრობამ წინადადება მისცა გომინდანის ორგანიზაციას პეიპინში ახალ განკარგულებამდე შეაჩეროს ანტი-საბჭოთა ასოციაციების შექმნა. (ადს).

საბჭოთა მოქალაქეების დევნა ჩინეთში

ჩიტა, 14 აგვისტო. დათხოვნა და დაპატიმრება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე გრძელდება. საბჭოთა მოქალაქეებს გაძლიერებული რაზმის თანხლებით აძევებენ საბჭოთა კავშირში. გაძევების დროს მათ სცემენ. მანჯურიაში კვლავ სამხედრო წვრთნაა. ჩინელი ოფიცრები იჭერენ ჩინელებს, ძალით აცმევენ სამხედრო ფორმას და გზავნიან ჯარის ნაწილებში. მოსახლეობა ღელავს. ქუჩაში დახვრიტეს წყლის მზიდავი ორი ჩინელი, რომელთაც თავიანთი ცხენების გადაცემაზე უარი განაცხადეს.

ლონდონი, 13 აგვისტო. „დეილი მეილ“-ის ხარბინელი კორესპონდენტი სწერს: „ჩინელების გააფთრება, ეჭვი არ არის, გამოწვეულია ან შურისძიებით ან შიშით. მე ვნახე ჯგუფი ბოლშევიკებისა, რომელთაც ხელფეხი მავთულით ჰქონდათ შეკრული და ქუჩაში დასისხლიანებული სახეებით მიდიოდნენ. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში დაპატიმრებული და გადასახლებულ საბჭოთა მოქალაქეების რიცხვი 2.000 კაცს აღწევს. (ადს).

ბრიანი და ჰენდერსონი ვერ შეთანხმდნენ

შეთანხმებას ვერ მიაღწიეს

ჰააგა, 13 აგვისტო. პოლიტიკური კომისიის სხდომაზე შტრეზემანმა განაცხადა, რომ გერმანიას არ შეუძლია იუნგის გეგმის მიღება, თუ არ ექნება წინასწარი გარანტია რეინის ოლქის დაცლის შესახებ. ამის საპასუხოდ ბრიანმა მოითხოვა ხანგრძლივი ვადა ოლქის დასაცლელად.

არავითარი შედეგი ჯერჯერობით არ გამოიღო იმ კერძო მოლაპარაკებამაც, რომელიც სწარმოებდა ბრიანთან და ჰენდერსონთან რეინის ოლქის კონტროლის საკითხის შესახებ. ჰენდერსონი [illegible] მოითხოვს, რომ საკონტროლო კომისია დაემორჩილოს ერთა ლიგას, ბრიანი კი მოითხოვს კომისიის სრულ დამოუკიდებლობას. (ადს).

ინგლისი სცლის რეინის ოლქს

ლონდონი, 14 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფ“-ი სარწმუნო წყაროებიდან იუწყება, რომ ინგლისმა საბოლოოდ გადასწყვიტა მიმდინარე წელსვე გაიყვანოს ჯარი რეინის ოლქიდან, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ დამთავრდება ჰააგის კონფერენცია. (ადს).

პოლონეთის დიპლომატიის მარცხი

პოლონეთის პოლიტიკური წრეების გულგატეხილობა

ვარშავა, 13 აგვისტო. ვარშავაში მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ცნობამ იმ როლის შესახებ, რომელსაც პოლონეთის დელეგაცია ჰააგაში თამაშობს. პოლიტიკური წრეები გულგატეხილნი არიან იმ შედეგებით, რომელსაც კონფერენცია მოუტანს პოლონეთს. მთავრობის გაზეთები ჯერჯერობით ერიდებიან პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებას და კმაყოფილდებიან საკითხის ინფორმაციული მხარით. ოპოზიციონურმა, აგრეთვე მთავრობასთან დაახლოვებულ კონსერვატორების გაზეთებმა უკვე დაიწყეს კამპანია მთავრობის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ. სწერენ, რომ ეს პოლიტიკა დამარცხდა ჰააგაში. „გაზეტა ვარშავსკა“ აღნიშნავს პოლონეთის დამარცხებას და ამბობს, რომ პოლონეთისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ პოლონელები მონაწილეობას ღებულობენ კონფერენციის ფინანსიურ კომისიაში, ვინაიდან პოლონეთი ვითომ არ არის დაინტერესებული სარეპარაციო თანხების განაწილების საკითხით. გაზეთს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ რეინის ოლქის დაცლისთანავე აქტუალური გახდება საკითხი პოლონეთის დასავლეთი საზღვრების გადასინჯვის შესახებ გერმანიის სასარგებლოდ. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე პოლონეთის დიპლომატიის შეცდომებს მცირე ანტანტის მიმართ და ურჩევს მთავრობას— შეიტანოს ცვლილებები საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის პოლიტიკაში. (ადს).

ბურჟუაზიის ლაქიების ანტისაბჭოთა მუშაობა

სტოკჰოლმი, 13 აგვისტო. ნორვეგიელ მუშათა დელეგაციის საბჭოთა კავშირში გამგზავრების გამო, ნორვეგიის მუშათა პარტიის ც. კ-მა და პროფკავშირთა ნორვეგიის ნაციონალურმა სამდივნომ გამოაქვეყნეს მოწოდება თავიანთ წევრებისადმი. მუშათა პარტიის ც. კ-ი და პროფკავშირთა ნაციონალური სამდივნო აფრთხილებენ თავიანთ წევრებს—არ მიიღონ მონაწილეობა მოსკოვში მიმავალ დელეგაციაში და აცხადებენ, რომ მოსკოვში გამგზავრება მიჩნეული იქნება არალოიალურ მოქმედებად. იქვე მიმართვაში ნათქვამია, რომ მუშებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღონ იმ კონგრესში, რომელიც 24—25 აგვისტოს იქნება მოწვეული ოსლოში და რომლის დღის წესრიგშიაც შეტანილია ომის წინააღმდეგ ბრძოლისა და ანტიიმპერიალისტური სამხედრო ფრონტის შექმნის საკითხები. (ად)

ლანკაშირის ფეიქართა ნაწილმა განაახლა მუშაობა

ლონდონი, 13 აგვისტო. ლანკაშირის ბამბის ზოგიერთ საწარმოში მუშაობა განახლდა. საკითხის საბოლოოდ მოგვარებამდე მუშებს პირობითად ეძლევათ ძველი ხელფასი. თუ შემდეგში ხელფასი შემცირდა, ეს სარეწაობიც ხელფასს შემცირებული რაოდენობით დაარიგებენ. იმ საწარმოთა პატრონები, სადაც მუშაობა განახლდა, აცხადებენ—ლოკაუტი რომ ძალაში დარჩენილიყო, უცხოელთა შეკვეთებს დავკარგავდითო (ადს).

მენშევიკები კმაყოფილი არიან ჰინდენბურგის რეჟიმით

„ფორვერტსმა“ ბურჟუაზიულ პრესას გადააჭარბა

ბერლინი, 14 აგვისტო. წელს რესპუბლიკის ათი წლის თავის დღესასწაული ყველა წინანდელი ასეთი დღესასწაულისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი აშკარა პროპაგანდის ხასიათს ატარებდა. ბურჟუაზიული გაზეთები ქებას ასხამენ მართვა-გამგეობის არსებულ ფორმას. ქების შესხმაში ყველაზე შორს მენშევიკური „ფორვერტს“-ი წავიდა. მარტო „როტე ფანე“-მ აღნიშნა გერმანიის რესპუბლიკანური კონსტიტუციის ბურჟუაზიული ხასიათი, რისთვისაც მას კონფისკაცია უყვეს. (ადს).

რესპუბლიკანური დროშის წევრთა პროვოკაციული გამოსვლა

ბერლინი, 13 აგვისტო. რესპუბლიკანურ დროშის კავშირი განაგრძობს პროვოკაციულ გამოსვლებს ბერლინის რევოლიუციონური მუშების წინააღმდეგ. კავშირის წევრთა ჯგუფი ორი საბარგო ავტომობილით მივიდა იმ სახლთან, რომელიც კომპარტიას ეკუთვნის, და დაუშინა ქვები ფანჯრებს და შესავალთან მდგომ მუშებს. საბარგო ავტომობილიდან რამდენჯერმე ესროლეს სახლის ფანჯრებს, რის შემდეგაც ავტომობილები მიიმალნენ. ეს ახალი პროვოკაცია უდიდეს აღშფოთებას იწვევს ბერლინის რევოლიუციონურ მუშებს შორის. (ადს).

ამერიკა-საბჭოთა საქმიანი ურთიერთობა ფართოვდება

მოლაპარაკება ამერიკულ ფირმასთან

მოსკოვი, 14 აგვისტო. „გლავმაშსტროი“-ს კოლეგიის და ამერიკის ფირმის „ოსტინ კომპანი“-ს წარმომადგენლების შეერთებულ სხდომაზე არსებითად დამთავრდა იმ ხელშეკრულების განხილვა, რომელიც უნდა დაიდოს აღნიშნულ ფირმასთან ნიჟნი-ნოვგოროდის ავტო - ქარხნის მშენებლობის ტექნიკური ხელმძღვანელობის შესახებ. ამ დღეებში ხელშეკრულება ჩამოყალიბებული იქნება სათანადო ინსტანციებში.

„ოსტინ კომპანი“-ს ფირმის წარმომადგენელს ბრაიენტს „გლავმაშსტროი“-ს კოლეგიის სხდომაზე წინადადება მიეცა დაამუშაოს სპეციალური სამქროს პროექტი როსტოვის სასოფლო - სამეურნეო მანქანების ქარხანაში კომბაინების გამოშვების შესახებ. ბრაიენტმა აღნიშნა, რომ „ოსტინ კომპანი“-ს ფირმას შეუძლია იკისროს კომბაინების სამქროს საამშენებლო პროექტის შედგენა, ტეხნოლოგიური პროცესების გაძღოლა და მოწყობილების მონტაჟი. ამ დღეებში გაგრძელდება მოლაპარაკება კონკრეტული ფორმების შესახებ. (ადს).

ამერიკის სავაჭრო - სამრეწველო დელეგაციის წევრები საბჭოთა კავშირის შესახებ

მოსკოვი, 14 აგვისტო. ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირს ესტუმრა, 14 აგვისტოს გაემგზავრა ამერიკისაკენ. გამგზავრების წინ ბევრმა დელეგატმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირის შესახებ.

„ამერიკენ გეს ენდ ელექტრიკ კომპანი“-ს ვიცე-პრეზიდენტმა **სკანდრეტმა** სთქვა:

„მე განსაკუთრებით მანცვიფრებს იმ ბელადების დიდი ნიჭი და არაჩვეულებრივი სიმტკიცე, რომელთაც დაკისრებული აქვთ ქვეყნის მართვა-გამგეობა. მსოფლიოში უდიდესი ჰიდროსადგურის „დნეპროსტროი“-ს აგება ისეთი ხალხის მიერ, რომელსაც ორი წლის წინად არავითარი პრაქტიკული სტაჟი არ მოეპოვებოდა ამ დარგში, იმის სრულ საბუთს იძლევა, თუ როგორი სისწრაფით ახერხებენ საბჭოთა კავშირში უდიდეს დაბრკოლებათა დაძლევას. უეჭველად მტკიცე საფუძველი აქვს ჩაყრილი ქვეყნის გათავისუფლებას იმ ტანჯვისა და სიღარიბესაგან, რომელიც მან განიცადა ხანგრძლივი ომებისა და სიბნელეში ყოფნის დროს. განსაკუთრებით ჩრდილოეთი კავკასია და საქართველო ახდენენ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ მოახლოვებულია აყვავების ხანა“.

„ჯენერალ დეველოპმენტ“-ის და „მაინ დეველოპმენტ“-ის ვიცე - პრეზიდენტმა და ხაზინადარმა **ლიუისონმა** განაცხადა:

„საბჭოთა კავშირმა ამოცანად დაისახა — ისე დააჩქაროს თავისი ქვეყნის მრეწველობის განვითარება, როგორიც ჯერ მსოფლიო ისტორიას არ უნახავს. საბჭოთა კავშირისათვის აუცილებლად საჭიროა პრაქტიკოს-სპეციალისტთა მომზადება. მას უკვე მოეპოვება დიდი ტეხნიკური კადრები, მაგრამ ისინი საკმარისნი არ არიან. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ რუსეთის ახალგაზრდობის ბუნებრივ ნიჭს, ეს პრობლემა უეჭველად გადასწყდება“.

„ამერიკენ ტრესტ კომპანი“-ს და სხვა საწარმოთა დირექტორმა **ჯორჯ მორტიმერმა** სთქვა:

„საბჭოთა კავშირის დათვალიერების დროს მე იმ დასკვნას დავადექი, რომ კავშირის მეურნეობა უეჭველად წინ მიდის. „დნეპროსტროი“-ს აგება, რაშიაც ჩემი პირადი მეგობარი, პოლკოვნიკი კუპერი იღებს მონაწილეობას, ჩემთვის დიდი აღმოჩენა იყო“.

„მაკდონალდ ინჟინირინგ კომპანი“-ს ვიცე-პრეზიდენტმა **კარტერმა** სთქვა:

„საბჭოთა კავშირიდან მე სულ სხვა წარმოდგენით მივდივარ, ვიდრე აქ მოსვლისას მქონდა. ამერიკაში იმდენი ცუდი რამ იწერებოდა და იმდენ ცუდს ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირის შესახებ და იმდენად მცირედ იყო გაშუქებული მისი დადებითი მხარეები, რომ, ბევრ სხვათა მსგავსად, მეც მეტად სუსტი წარმოდგენა მქონდა საბჭოთა კავშირის უდიდეს შესაძლებლობათა შესახებ და იმ დიდ წარმატებაზე, რომელსაც მან ასე მოკლე დროში მიაღწია. საბჭოთა კავშირის მიღწევები, არაჩვეულებრივ დაბრკოლებათა პირობებში, მე პირდაპირ დაუჯერებლად მიმაჩნია. მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მიიღო დელეგაციამ იმ განსაცვიფრებელი მუშაობიდან, რომელიც მუშური მოსახლეობის ინტერესებისათვის სწარმოებს. ყველა ამ ღონისძიების შესრულებაში მე ვხედავ საბჭოთა კავშირის ხალხთა იდეალების სიმტკიცეს და ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველამ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ თქვენგან. მსხვილ საწარმოთა დათვალიერება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირი ისეთი უდიდესი სამეურნეო განვითარების გზაზე არის შემდგარი, როგორიც მსოფლიოს არ უნახავს.

„ეკვიტებლ ტრესტ კომპანი“-ს წარმომადგენელმა **დეკამპმა** განაცხადა:

„ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რომელიც მე თან მიმაქვს, შეეხება საბჭოთა კავშირის ახალ თაობას, რომელსაც დააწვება მხრებზე უფროსების მიერ დაწყებული მუშაობა. ჩემის აზრით, ეს ყველაზე უფრო მდიდარი მასალაა იმ ქვეყნისთვისაც კი, რომელსაც ბლომად მოეპოვება ბუნებრივი სიმდიდრე“.

„ოსტინ კომპანი“-ს ვიცე-პრეზიდენტმა **ბრაიანტმა** სთქვა:

„საბჭოთა კავშირს მეტად დიდი მიღწევები აქვს მრეწველობის რეკონსტრუქციის საქმეში. თუ საბჭოთა კავშირის ერები გამოიყენებენ სხვა ქვეყნების წარმოების საუკეთესო მეთოდებს, საბჭოთა კავშირი გააკვირვებს მთელ მსოფლიოს თავისი მიღწევებით. ვუსურვებ საბჭოთა კავშირის ერებს ყოველსავე კარგს და ვპირდები ჩემს დახმარებას და თანამშრომლობას“. (ადს).

ბანკეტი ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაციის პატივსაცემად

მოსკოვი, 14 აგვისტო. მოსკოვის დიდ სასტუმროში გაიმართა ბანკეტი ამერიკის იმ სავაჭრო - სამრეწველო დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც საბჭოთა კავშირის რაიონების შემოვლის შემდეგ მოსკოვს დაბრუნდა. ბანკეტში მონაწილეობა მიიღეს ამერიკის სავაჭრო და სამრეწველო ფირმების 870-მდე წარმომადგენელმა და საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს და სრულიად საკავშირო დასავლეთის სავაჭრო პალატის მუშაკებმა. ამხანაგური ვახშმის შემდეგ სტუმრებმა ილაპარაკეს იმ შთაბეჭდილებების შესახებ, რომელიც მათ მიიღეს მოსკოვის საწარმოების, საბჭოთა კავშირის ცხოვრების და „დნეპროსტროი“-ს დათვალიერების დროს. სტუმრები აღფრთოვანებულნი არიან საბჭოთა კავშირის მშენებლობით და მისი შემსრულებლებით.

ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სრულიად საკავშირო დასავლეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ამხ. არალოვი მიესალმა ამერიკის მრეწველობის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ ჩვენ გულწრფელად გვსურს გავაგებინოთ სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ ყველა იმას, ვინც სერიოზულად უცქერის ჩვენს მშენებლობას და მიღწევებს.

სტუმრებს შესალმა აგრეთვე „გლაველექტრო“-ს უფროსი ამხ. ფლაქსერმანი.

საბჭოთა კავშირში ერთი თვის ყოფნის შემდეგ დელეგაცია მიემგზავრება ამერიკაში (ადს).

დანიის მუშათა დელეგაციის მოწვევა

საბჭოთა კავშირში

სტოკჰოლმი, 13 აგვისტო. დანიის კომპარტიის ორგანომ „არბეიდერ ბლადეტ“-მა გამოაქვეყნა საკავშირო პროფსაბჭოს წერილი, რომელითაც პროფსაბჭო მოუწოდებს დანიელ მუშებს—გაგზავნონ საბჭოთა კავშირში ტრანსპორტელთა, მელითონეთა, მშენებელთა და ქიმიკოს მუშათა დელეგაცია. ასეთივე დელეგაციები საბჭოთა კავშირში გასაგზავნად ეწყობა ნორვეგიასა და შვეციაში. (ადს).

45 დღის შიმშილობის შემდეგ

გაანთავისუფლეს 12 პოლიტპატიმარი

ვენა, 13 აგვისტო. უმაღლესმა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა—10 აგვისტოს ამნისტიით გაანთავისუფლოს კლაუზენბურგის სამხედრო საპატიმროში მყოფი 12 კომუნისტი. ეს კომუნისტები გაანთავისუფლეს მათ მიერ გამოცხადებული შიმშილობის მე-45 დღეს. (ადს).

პოლონეთის ლეგიონერების ყრილობა

ვარშავა, 13 აგვისტო. ნოვო სონჩში მოხდა პოლონეთის ლეგიონერების ყრილობა. ყურადღებას იქცევდა ის, რომ ყრილობას არ დაესწრნენ ლეგიონის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწენი, როგორიც არის რიძ-სმიგლი, სვიტალსკი და სხვები. პოლიტიკურ წრეებში ამას ლეგიონერთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებით ხსნიან. ლეგიონერთა თვალსაჩინო ნაწილი უკმაყოფილოა პოლკოვნიკთა ჯგუფის პოლიტიკით და მეოთხე ბრიგადის (ასე უწოდებენ იმ მემამულეების და სამრეწველო ბურჟუაზიის, რომელნიც პილსუდსკის მიემხრნენ მის მიერ მოხდენილი გადატრიალების შემდეგ) გაბატონებით. პილსუდსკიმ ყრილობას გაუგზავნა წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი მუდამ ეწინააღმდეგებოდა მას და მის მომხრეებს, იგი ხალხის ორიენტაციის მიმდევარი იყო, რომელიც უცხო სახელმწიფოების ინტერესებს ემსახურებაო. მოწინააღმდეგეთა მიმართ პილსუდსკი უცენზურო სიტყვებს ხმარობს. (ადს).

სხვადასხვა

- **პეიპინისა და ტიანძინის ბანკებმა** მოსთხოვეს ნანკინის მთავრობას მტკიცე ბიუჯეტის შემუშავება, სამხედრო ხარჯების შემცირება და კონტროლის დაწესება სახელმწიფო ხარჯებზე და ჯარების ნაწილობრივ დემობილიზაციაზე.
- **სამხრეთ-სლავიის მთავრობის ოფიციალური** ცნობით, არალეგალური მუშაობისათვის დაპატიმრებული კომუნისტი ფინჩი ვითომ თვითმკვლელობის მიზნით გადმოხტა სარაევოს ციხის ფანჯრიდან და მოკვდა. ავსტრიის მუშათა პრესა სწერს, რომ ფინჩი პოლიციამ მოჰკლა.
- **ნიგატიის (იაპონია) სააპელაციო სასამართლოში** გაირჩა 9 კომუნისტის საქმე; 4 კაცი გაამართლეს. ხუთს მიუსაჯეს პატიმრობა 1-დან 5 წლამდე. (ადს).
- **გამასწორებელმა სასამართლომ პარიზში** 13 თვით დაპატიმრება მიუსაჯა პროფკავშირთა მდივნებს კიუნის და პლანსონს და 3 თვით დაპატიმრება—მუშა-ქალს, სამი ბავშვის დედას, „პოლიციელთა შეურაცხყოფისათვის“ 1 აგვისტოს მანიფესტაციების დროს (ადს).
- **პატარა ინდუსტრიალური თემის—სელონკურის (საფრანგეთი) კომუნისტი მერი** ერთი თვით გადააყენეს თანამდებობიდან გაფიცულ მელითონეთათვის დახმარების აღმოჩენის გამო. (ადს).
- **ბრიუსელში 8 თვით დაპატიმრება და 50 ფრანკით დაჯარიმება მიუსაჯეს 3 მუშას**, იმისთვის, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს ივლისში ჩინეთის მისიის შენობის წინ გამართულ დემონსტრაციაში. (ადს).
- **ძლიერი მიწისძვრა.** ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ხუთ აღმოსავლეთ შტატში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. ზოგიერთ ქალაქში მრავალი სახლი დაზიანდა. (ადს).
- **რემედასის საფრანგეთის სექციამ „ლიუმანიტე“-ში გამოაქვეყნა მოწოდება მუშებისადმი.** სექცია მოუწოდებს მუშებს— ფულით დახმარება აღმოუჩინონ საერთაშორისო წითელი დღის ჩატარების დროს დაპატიმრებულთ. ამავე დროს რემედასის სექცია დიდ კამპანიას აწარმოებს ყველა პოლიტპატიმარის განსათავისუფლებლად. (ადს).

საპროტესტო რეზოლიუცია

- **საფრანგეთის შრომის უნიტარული კონფედერაციის აღმასკომმა საპროტესტო რეზოლიუცია** მიიღო იმის გამო, რომ მთავრობა მუსოლინისებურ მეთოდებს მიმართავს მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ. რეზოლიუციაში, სხვათა შორის, ნათქვამია:
  „მიუხედავად თვითნებური მასიური დაპატიმრებისა, მიუხედავად ყოველგვარი დევნისა, ჩვენი ორგანიზაციები განაგრძობენ განუწყვეტელ ბრძოლას კაპიტალისტური რეჟიმისა და ომის მომზადების წინააღმდეგ“ (ადს).
- **12 აგვისტოს შეპეტოვკის მახლობლად** დაეშვა პოლონეთის სამხედრო აეროპლანი. აეროპლანი შეჩერდა 5 წუთს და ოსტროგის მიმართულებით გაფრინდა (ადს).
- **საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა**—ქალაქ ტროცკის (ლენინგრადის ოლქი) ეწოდოს კრასნოგვარდეისკი (ადს).

გერმანიის პროლეტარიატი ბრძოლისათვის ემზადება

მუშები ქმნიან თავდაცვის ორგანოებს

ბერლინი, 13 აგვისტო. ესენში რურის ოლქის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების ყრილობამ აირჩია 15 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელიც არის ოლქის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების წარმომადგენელი. ყრილობამ დაადგინა—აირჩიოს ყველა საწარმოში რევოლიუციონური რწმუნებული. დადგენილ იქნა აგრეთვე, რომ, მუშათა მობილიზაციის გასაადვილებლად მომავალ ეკონომიურ ბრძოლაში, მოხდეს სამშენებლო, ლითონის და სამთო მრეწველობის მუშათა სადელეგატო კონფერენციები. ყრილობამ ფიცი დასდო— პროფკავშირული ბიუროკრატიზმის სურვილის წინააღმდეგ არ მოერიდოს მომავალ ბრძოლას. ყრილობა წინადადებას აძლევს მუშებს —შექმნან ყველგან თავდაცვის ორგანოები. (ადს).

უმუშევრები საბრძოლველად ემზადებიან

ბერლინი, 13 აგვისტო. რადგან მოსალოდნელია უმუშევართა სოციალური დაზღვევის საქმის გაუარესება, ამიტომ უმუშევართა სრულიად გერმანიის კომიტეტმა განიხილა ეს საკითხი და დაადგინა—მობილიზაცია უყოს უმუშევარ მუშებს ამგვარი დაზღვევის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის. (ადს).

ჟილავის მემაღაროეთა გმირული ბრძოლა

ქვა-ნახშირის მრეწველობის მილიტარიზაცია

ვენა, 13 აგვისტო. როგორც სიმიგრადიის გაზეთები გადმოგვცემენ, რუმინეთის მთავრობამ მოისმინა იმ კომისიის მოხსენება, რომელმაც ადგილობრივ გამოიკვლია ლუპენში მომხდარი სისხლისმღვრელი ამბები. მთავრობამ დაადგინა—მოახდინოს ჟილავის ქვანახშირის მრეწველობის რეორგანიზაცია მისი მილიტარიზაციის მიმართულებით. პრეფექტს როზვანს, წინადადება მიეცა—გადადგეს თანამდებობიდან.

მოკლულთა დაკრძალვის დღეს ბუქარესტში მოხდა 3 საათიანი საპროტესტო გაფიცვა ლემიტრის დიდ ლითონის ქარხანაში. კომუნისტი პაუკერი, რომელიც გაფიცულთა კრებაზე გამოვიდა, დააპატიმრეს და მხოლოდ მეორე დღეს განთავისუფლეს. (ადს).

პროტესტი მანიუს ჯალათური მოქმედების წინააღმდეგ

ბერლინი, 13 აგვისტო. კომინტერნის და პროფინტერნის დასავლეთ-ევროპის ბიუროებმა გამოუშვეს საერთო მოწოდება. ისინი მოუწოდებენ მუშებს—ენერგიული პროტესტი განაცხადონ მანიუს მთავრობის ჯალათური მოქმედების წინააღმდეგ, ამასთან დახმარება აღმოუჩინონ რუმინელ მემაღაროებს მათ გმირულ ბრძოლაში. (ადს).

პრაღის მუშები მოითხოვენ გარუსის განთავისუფლებას

პრაღა, 13 აგვისტო. პრაღის მუშათა უბანში ჟიჟკოვში გაიმართა დემონსტრაციები, რომლებმაც მოითხოვეს კომუნისტი დეპუტატის გარუსის და სხვა პროლეტარულ პატიმართა განთავისუფლება.

შემდეგ მოხდა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტმა დეპუტატმა გაკენმა. პოლიციამ მიტინგი გარეკა. გაკენს თავს დაესხა ექვსი პოლიციელი, სცემეს მას და წაიყვანეს საპოლიციო უბანში. პოლიციის ექიმმა დაამოწმა, რომ გაკენი ნაცემი იყო. ცოტახნის შემდეგ გაკენი გაანთავისუფლეს. (ადს).

ი. გეგეშის გარდაცვალება

ვენა, 13 აგვისტო. უნგრეთის კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იგნატ გეგეში წარსულ კვირას გარდაიცვალა ჭლექისაგან. გეგეში 3 ნახ. წელიწადს იჯდა საპყრობილეში. იგი მხოლოდ ამას წინად გაანთავისუფლეს, როცა მისი გამომრთელება აღარ შეიძლებოდა. (ადს).

„საშიში ორგანიზაცია“

ლონდონი, 13 აგვისტო. ბომბეიდან მიღებული ცნობით, იმ მოსამართლემ, რომელიც იძიებდა პოლიციასა და გაფიცულების პიკეტებს შორის მომხდარ შეტაკების დროს მოკლული ფეიქრის საქმეს, განსაკუთრებული შენიშვნა გაუკეთა განაჩენს ამ საქმის გამო: საჭიროა დაუყონებლივ მოისპოს „გირნი კამგარის“ სახელით ცნობილი ორგანიზაციის მოქმედება, რადგან იგი მეტად საშიშ ორგანიზაციას წარმოადგენსო. (ადს).

ამხ. ლიტვინოვის დაბრუნება შვებულებიდან

მოსკოვი, 14 აგვისტო. 13 აგვისტოს შვებულებიდან დაბრუნდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის აღმასრულებელი ამხ. ლიტვინოვი (ადს).

გადაფრენა მოსკოვი-ნიუ-იორკი

მოსკოვი, 14 აგვისტო. თავდაცვა-ავიაქიმის ცნობით, აეროპლანი „საბჭოთა ფრთები“ კრასნოიარსკიდან გაფრინდა 11 აგვისტოს 7 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით, გადაიარა ნიჟნეუდინსკზე და ვერხნეუდინსკზე, შემდეგ—15 საათსა და 15 წუთზე—ილკას სადგურზე და გაემართა ჩიტასაკენ. აეროპლანი ჩიტაში არ ჩასულა, ალბად იმის გამო, რომ იძულებული გახდა შეჩერებულიყო ილკას და ჩიტას შუა. მიღებულია ზომები კავშირის დასამყარებლად მფრინავ შესტაკოვთან. (ადს).

პიონერების საკავშირო შეკრება

მოსკოვი, 14 აგვისტო. პიონერების შეკრება გაიხსნება 18 აგვისტოს სრულიად საკავშირო საზეიმო მიტინგით. პიონერების საკავშირო კონფერენცია გაიხსნება 20 აგვისტოს. 19 აგვისტოს საღამოთი გაიხსნება პიონერთა სრულიად საკავშირო სპარტაკიადა. (ადს).

სოფლად სამუშაოდ

მოსკოვი, 14 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭომ დაადგინა — მოახდინოს მობილიზაცია პროფკავშირთა ც. კ. საოლქო საკავშირთაშორისო და საკავშირო ორგანიზაციების 150 მუშაკის სოფელში მუდმივ სამუშაოზე გასაგზავნად. (ადს).

სოციალისტური შეჯიბრება

სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის შემოწმება

მოსკოვი, 14 აგვისტო. მემაღაროეთა ც. კ.-ის პრეზიდიუმმა დაადგინა — მოახდინოს სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის ერთდროული მასიური შემოწმება სამთო მრეწველობის ყველა საწარმოში. შემოწმებას უნდა მიეცეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასიური დათვალიერების ხასიათი და მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ შეჯიბრებაში ჩაბმულებმა. (ადს).

„გიგანტ“-მა დაამთავრა პურის აკრეფა

დონის როსტოვი, 14 აგვისტო. საბჭოთა მეურნეობამ „გიგანტ“-მა დაამთავრა პურის აკრეფა. მოსავლის ნაწილი გაილეწა. 16.000 ტონა პური უკვე ვაგონებშია. პურის ლეწვას ხელს უწყობს მშრალი ამინდი. ლეწვა სექტემბერში დამთავრდება. (ადს).

„ცეპელინ ლც--127“-ის გადაფრენა

მოსკოვი, 14 აგვისტო. თავდაცვა-ავიაქიმის ცნობით, „ცეპელინის ლ-ც-127“-ის შემოფრენა დედამიწის ირგვლივ განზრახულია 15 აგვისტოსათვის. ცეპელინით გაემგზავრება 60 კაცი. დირიჟაბლი გაფრინდება ფრიდრიხსჰაფენიდან, მოსკოვამდე მივა „დერულიუფტ“-ის ხაზით, სვერდლოვსკით გაემართება ენისეის ყურისაკენ, შემდეგ იაკუტსკით, ოხოტსკის ზღვით, ვლადივოსტოკით მივა ტოკიოში, ხოლო იქიდან ნიუ-იორკში, საიდანაც ფრიდრიხსჰაფენში დაბრუნდება ატლანტის ოკეანეთი. როცა დირიჟაბლი მიუახლოვდება მოსკოვს, იგი შეანელებს სისწრაფეს და ქალაქზე იფრენს 40 წუთის განმავლობაში. (ადს).

სოციალისტური შეჯიბრება

ციმბირსა და ჩრდილოეთ კავკასიის შორის

ნოვოსიბირსკი, 14 აგვისტო. 11 აგვისტოს სოფელ ორდინსკში ციმბირსა და ჩრდილოეთ კავკასიის შორის დაიდო ხელშეკრულება სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. 10 აგვისტოს ჩრდილოეთ კავკასიის დელეგაცია და საოლქო ორგანიზაციების წარმომადგენელნი გემით გაემგზავრნენ ორდინსკში. ორდინსკში ხელშეკრულების დადების დროს შეიკრიბა 2.000 გლეხზე მეტი. ხელშეკრულება დაიდო 1931 წლის 1 ოქტომბრამდე. (ადს).

არხანგელსკის მუშების წინადადება

არხანგელსკი, 14 აგვისტო. „პრავდა სევერა“-ს რედაქციამ ლენინის სახელობის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშებისაგან მიიღო წერილი. მუშები სთხოვენ მთავრობას, ინდუსტრიალიზაციის საქმეში მასების უფრო მეტად ჩაბმისათვის, სესხების გამოშვების გარდა, შექმნას ცალკე ქარხნების მშენებლობის ხელის - შემწყობი სააქციო საზოგადოება. ეს ღონისძიება ყოველ მუშას და გლეხს საშუალებას მისცემს გაიგოს, რომელი ქარხანა შენდება მისი ფულით, და თვალყური ადევნოს მშენებლობას. პროცენტებს ანაწილებს აქციონერთა კრება. ფული კოლექტიურ საჭიროებებს უნდა მოხმარდეს. (ადს).

პოლონეთის მშრომელთა დელეგაცია ხარკოვში

ხარკოვი, 14 აგვისტო. მოსკოვიდან ჩამოვიდა პოლონეთის, დასავლეთ უკრაინის და ბელორუსიის მუშურ-გლეხური დელეგაცია. (ადს).

მინსკის რკინისგზელებმა მიიწვიეს პოლონეთის მშრომელთა დელეგაცია

მინსკი, 14 აგვისტო. ორი ათასი რკინისგზელის კრებამ დაადგინა—მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს პოლონეთისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა დელეგაციას, აგრეთვე დელეგაციის მდივანს ლანცუცკის. კრება იწვევს დელეგაციას მინსკში და სთხოვს—დარჩეს საბჭოთა ბელორუსიის მიღწევების გასაცნობად. (ადს).

ნათესების კონტრაქტაცია

მოსკოვი, 14 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გეგმით, „სოიუზხლებ“-ს უნდა მოეხდინა ერთი მილიონი ჰექტარის გაზაფხულის ნათესის საავანსო კონტრაქტაცია. ფაქტიურად საავანსო კონტრაქტაცია შეეხო 1.900.000 ჰექტარს, უავანსო — 1.800.000 ჰექტარს; 1929 წლის შემოდგომის ნათესის კონტრაქტაცია დიდის წარმატებით მიმდინარეობს. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გეგმით, „სოიუზხლებ“-მა უნდა მოახდინოს 2 მილიონამდე ჰექტარის კონტრაქტაცია. 1-ლ აგვისტოსათვის განხორციელებულია საავანსო კონტრაქტაციის პროგრამის 65 პროც. „სოიუზხლებ“-ს განზრახვა აქვს შემოდგომის პურის ნათესის კონტრაქტაცია 6 მილ. ჰექტარზე გაავრცელოს. (ადს).

აზერბეიჯანის პარტიულ და საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება

საოლქო ორგანიზაციების წმენდა

ბაქო, 14 აგვისტო. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ აზერბეიჯანის საოლქო ორგანიზაციების მუშაკთა წმენდის ჩასატარებლად გამოყოფილმა ქვე-კომისიამ დაასრულა თავისი მუშაობა და მიიღო მთელი რიგი დადგენილებები.

სალიანის საოლქო კომიტეტის მდივანი გახან საფაროვი გამორიცხულია პარტიიდან. საფაროვმა „მიიმატა" არალეგალური მუშაობის ორი წლის სტაჟი იმ დროს, როდესაც მას არავითარი კავშირი არ ჰქონებია კომპარტიის არალეგალურ ორგანიზაციებთან. საფაროვი თავის მუშაობის დროს ეწეოდა სისტემატიურ კინკლაობას, ხრწნიდა ორგანიზაციებს იმ მაზრებში, სადაც მუშაობა უხდებოდა, რისთვისაც არა ერთხელ ყოფილა გადაყვანილი ერთი ადგილიდან მეორეზე. განსაკუთრებულ დიდ კინკლაობას აწარმოებდა საფაროვი უკანასკნელ ხანებში სალიანში აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარის მირ ბაშირ კასუმოვის წინააღმდეგ. კასუმოვის წინააღმდეგ პარტიის წმენდის დროს მან დარაზმა მთელი რიგი მუშაკები. კინკლაობაში გართულმა საფაროვმა, როგორც საოლქო კომიტეტის მდივანმა მტკიცე ხელმძღვანელობა არ გაუწია აღმასკომის საქმიანობას. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა წინადადება მისცა მას შეეწყვიტა კინკლაობა, მაგრამ საფაროვმა პარტიული უპრინციპობა გამოიჩინა და ცეკას ერთ-ერთ მდივანს გაუგზავნა ბარათი, რომ „[illegible] არა აქვს პარტიული ხაზი გაატაროს იმისათვის, რომ მშვიდობიანად იცხოვროს აღმასკომის თავმჯდომარესთან". ნახჭევანის საოლქო კომიტეტის მდივნად ყოფნის დროს საფაროვმა ჩაიდინა ანტი-პარტიული და ანტი-საბჭოთა საქციელი, რაც იმაში გამოიხატა, რომ უპარტიო გლეხის ნაცვლად მთავრობის შემადგენლობაში წამოაყენა თავისი თავი: ანკეტა შეავსო როგორც უპარტიო გლეხმა და ამრიგად მანდატი მიიღო თავის სახელზე. ნახჭევანში საფაროვი მოხსნილ იქნა მუშაობიდან ყოფა-ცხოვრებრივ გახრწნილებისათვის (პედერასტია, კავშირი მეძავ ქალებთან და სხვ.).

პარტიიდან გამორიცხულია აგდამის აღმასკომის თავმჯდომარე ასად კარაევი. მას კავშირი ჰქონდა უცხო ელემენტებთან, ხელს უწყობდა მათ გამდიდრებას, რევოლიუციამდე 9 წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს მსახურობდა ნოქრად, საკუთარი სავაჭრო ჰქონდა ბაილოვში და კარიაგინოში, რაც დაუმალა პარტიას. 1919 წ., როცა კარაევი ვაჭრობას ეწეოდა, მან ახლო კავშირი დაამყარა კარაბახის მაშინდელ გენერალ - გუბერნატორ ხოსროვბეკოვთან (ამჟამად ემიგრანტია) და მისი უახლოესი თანამშრომელი შეიქნა. 1905 წლიდან დაწყებული კარაევი გადადიოდა პარტიიდან პარტიაში (რ. ს.-დ. მ. პ., გუმეტი, ეკინჩი, მემარცხენე ესერები). აღმასკომის თავმჯდომარედ ყოფნის დროს კარაევი არაკომუნისტურად იქცეოდა: მივლინებების დროს რჩებოდა კულაკების და სხვა უცხო ელემენტების ბინებზე, იწვევდა მათ თავის სახლში და პირადი მეგობრობა ჰქონდა მათთან.

ორი წლით ხელმძღვანელ სამუშაოდან მოხსნილია საყვედურის გამოცხადებით ქარახანის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე მირ ბაშირ კასუმოვი. სალიანის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარედ ყოფნის დროს კასუმოვმა გარს შემოიკრიბა სოციალურად უცხო ელემენტები, არ იღებდა მტკიცე ზომებს მათ განსადევნად საბჭოთა აპარატიდან. კასუმოვმა დაუშვა მთელი რიგი ტლანქი პოლიტიკური შეცდომები: შეძლებულ გლეხებს დიდი მიწის ნაკვეთები დაურიგა, ბოროტად გამოიყენა თანამდებობა და თავის თანამშრომლებს დახმარების სახით დაურიგა 5 ათასი მანეთი.

პარტიიდან გამორიცხულია აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რწმუნებული ნუხა-ზაქათალის ოლქში კაზიევი, რომელმაც პარტიაში შესვლისას და 1921 წ. პარტწმენდის დროს დამალა თავის სამსახური პოლიციაში.

სამუშაოდან მოხსნილია საყვედურის გამოცხადებით აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის რწმუნებული მუღანლოს ოლქში მაგემარ ალიევი, რომელიც არავითარ ზომებს არ იღებდა ცალკე პარტმუშაკების ლოთობის წინააღმდეგ და თვით მონაწილეობდა ქეიფში.

გამოყვანილია აზერბეიჯანის ცეკას კომპარტიის (ბ) შემადგენლობიდან შენიშვნის მიცემით ბანკის სარეწაოების თანამშრომელი მირზა რზაევი, რომელიც უხეშად ეპყრობოდა მუშებს, სესხად ფულებს ართმევდა თავის ხელქვეითებს, არის პოლიტიკურად უვიცი და სრულიად არ სარგებლობს ავტორიტეტით სარეწაოების მუშებს შორის.

მუშაობიდან მოხსნილია საყვედურის გამოცხადებით ნახიჩევანის საოლქო კომიტეტის მდივანი გაჯი ბაბა ალეკპეროვი, რომელიც ყოფილი ვაჭრის შვილი აღმოჩნდა. მან ეს გარემოება დაუმალა პარტიას, უხეშად ეპყრობოდა საქმეზე მისულ პირებს.

სამუშაოდან მოხსნილია აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომისიის რწმუნებული ლენქორანის მაზრაში გაჯი მურად აგაევი, რომელმაც არა სწორი ცნობები წარადგინა პარტიაში თავის შესვლის დროის შესახებ და დამალა თავის სამსახური მუსავატელების არმიაში.

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ჯებრაელის საოლქო კომიტეტის მდივანს და ცეკას სარევიზიო კომისიის წევრს ისმაილ ალიოღლი მურშიდოვს შენიშვნა მიეცა იმისათვის, რომ მან არ მიიღო ზომები იმ საქმის გამოსარკვევად, რომელიც შეეხებოდა გლეხების ცემას აღმასკომის მუშაკების მიერ სოფელ შახსევანში. (ადს)

ბაქოს ქალაქის რაიკომის პლენუმი

ბაქო, 14 აგვისტო. შესდგა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტის გაფართოებული პლენუმი აქტივთან ერთად. მოხსენება აზერბეიჯანის პარტიული ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგების და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილების შესახებ გააკეთა ამხ. პშენიცინმა.

პლენუმი ერთხმად შეუერთდა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და ბაქოს კომიტეტის გადაწყვეტილებებს.

ამავე პლენუმზე გადარჩეული იქნა ქალაქის რაიკომის პრეზიდიუმი, რომელიც განახლებულია 80 პროცენტით. პრეზიდიუმის შემადგენლობის 60 პროცენტს შეადგენენ დაზგის მუშები.

რაიკომის მდივნად ერთხმად ამორჩეულია ამხ. არტაკი, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ — ამხ. გაიბად-ფაშა (დაზგის მუშა), სააგ.-საპრ. განყ. გამგედ— ამხ. ვორლე.

პრეზიდიუმს დაევალა მუშაკ-ქალის გამოძებნა ქალთა განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

პლენუმის დადგენილებით პრეზიდიუმისა და პლენუმის შემადგენლობიდან გამოყვანილია ამხანაგები: ბალდასაროვი, დადაევი, პარუბინი, სულინი, ჩინაროვი, პოდოლსკი, ტაუტიევი, იარიგინი, მახმუდოვი და თარხანოვი. (ადს).

უყაირათობა და გაფლანგვა ბავშვთა კომისიაში

განჯა, 13 აგვისტო. ბავშვთა კომისიის არსებობის ორ წელიწად - ნახევრის განმავლობაში იქ ადგილი ჰქონდა თანხების მითვისებას და ფლანგვას.

ბავშვთა კომისიის განკარგულებაში მყოფი სასადილო ფლანგვის მთავარ „კერას" წარმოადგენდა. სასადილოში არ არსებობდა არავითარი ანგარიშწარმოება და ანგარიშგება. ორნახევარ წლის განმავლობაში გამოიცვალა სასადილოს ექვსი გამგე. სასადილოსათვის საჭირო პროდუქტებს ისინი იძენდნენ თავიანთი სურვილისა და მოსაზრების მიხედვით. პროდუქტების აღრიცხვა სწარმოებდა ისე, როგორც კერძო ვაჭრებთან. ყოველსავე ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ბავშვთა კომისიამ 1927-28 სამეურნეო წელს 13.606 მანეთი იზარალა. თუ ამასთანავე ვიანგარიშებთ საქონლის დასაკლისს და ინვენტარის გაცვეთას, ზარალი უდრის 19.526 მანეთს. აქედან სასადილოს გამგეებმა ფეოფალოვამ, ხოტინსკიმ და შნეიდერმა 5.512 მანეთი გაფლანგეს.

ბავშვთა კომისიაში ფართოდ აძლევდნენ კრედიტს პასუხისმგებელ მუშაკებს, რომლებზედაც მარტო 1927 — 28 წელს 2.216 მანეთი ირიცხებოდა.

როდესაც ბავშვთა კომისიის პასუხისმგებელ მდივნად ვაგაბ ახუნდოვი იყო, სასადილოს გამგეს მალხასოვს ორ თვეში დააკლდა 813 მან. 67 კაპ., ხოლო სასადილოს გამგეს ბაგიროვს ერთ თვეში და 4 დღეში 1.824 მან. 96 კაპ.

ბავშვთა კომისია არავითარ დახმარებას არ უწევდა უპატრონო ბავშვებს.

ვ. ახუნდოვმა დასდო ხელშეკრულება კერძო ვაჭრებთან სასადილოსათვის პროდუქტების მიწოდების შესახებ და საშუალება მისცა მათ ემუშავნათ ბავშვთა კომისიის აზრით, ამგვარად, კერძო ვაჭრები თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან.

იყო შემთხვევა, როცა აზერბეიჯანის ცაკთან არსებულ ბავშვთა კომისიისაგან წინდების სახელოსნოსთვის, მიღებული ნართი კერძო ვაჭრებს მიჰყიდეს.

ახუნდოვმა ვინმე შლეიფერთან ხელშეკრულება დასდო ცნობარის „მთელი განჯა"-ს გამოცემაზე. ამისათვის მოსახლეობაში შეგროვილ იქნა 4.800 მანეთი. ცნობარი არ გამოიცა, შლეიფერს კი მიეცა 2,200 მან.

ლატარიის მოსაწყობად გაიყიდა 1.060 მანეთის ბილეთები. ლატარიის გათამაშება არ მომხდარა, მაგრამ ფული მაინც არ დაუბრუნებიათ.

ამჟამად სწარმოებს წინასწარი გამოძიება. (ადს).

„როტე ფანეს" რედაქტორი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზ. „როტე ფანე"-ს რედაქტორი ამხ. ვერნერ გირში, რომლის მიზანია ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მუშაობასთან გაცნობა და სოციალისტური მშენებლობის საკითხების შესწავლა. ამ მიზნით ამხ. გირშს გადაწყვეტილი აქვს გარდა თბილისისა, ესტუმროს ამიერ-კავკასიის ყველა დიდ ქალაქებს და სამრეწველო რაიონებს.

თბილისში იგი დარჩება ოთხი დღე, რის შემდეგ გაემგზავრება ბაქოში, შემდეგ უკრაინაში და რუსეთში.

საუბარი ამხ. გირშთან

გუშინ საღამოს ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა ამხ. გირშს თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ გერმანიაში. ამხ. გირშმა საუბარში განაცხადა:

— გერმანიის მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობაში ისტორიული თარიღით აღინიშნება მიმდინარე წლის 1-ლი მაისის ამბები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანიის პროლეტარიატის ჩამორჩენილი ნაწილის რევოლიუციონურ გზაზე დადგომის საქმეში. 1-ლი მაისის ამბებმა დაარწმუნა გერმანიის მუშათა კლასი, თუ ვის ემსახურებიან გერმანელი სოციალ - დემოკრატები.

აღსანიშნავია, რომ პირველი მაისის ამბების შემდეგ, როდესაც 7 კვირით აკრძალვის შემდეგ კვლავ განახლდა გაზ. „როტე ფანე"-ს გამოცემა, მის მკითხველთა რიცხვმა ერთი-ორათ იმატა, ხოლო სოციალ-დემოკრატიულ ორგანოს — „ფორვერტსის" ტირაჟი კი შემცირდა. ეს საუკეთესოთ ახასიათებს გერმანიის მუშათა კლასის გამოფხიზლებას. ბერლინის პოლიციის უფროსის, ცნობილი ჯალათის მენშევიკ ცერგიბელის სისხლიანმა საქმეებმა სოციალ-დემოკრატიის გავლენა მნიშვნელოვნათ შეასუსტა მუშათა ისეთ ფენებშიაც კი, რომლებიც სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს გარემოება კომუნისტურმა პარტიამ შესაფერისათ გამოიყენა და ამჟამად ჩვენ ვართ გერმანიის კომპარტიის არაჩვეულებრივი ზრდის და მისი გავლენის გაძლიერების მოწამე.

გერმანიის მუშათა კლასში დიდი აღშფოთება გამოიწვია წითელფრონტელთა კავშირის აკრძალვამაც. დამახასიათებელია, რომ მაშინ, როდესაც გერმანიის ხელისუფლების სათავეში არ იდგნენ სოციალ-დემოკრატები, მთავრობა შეეცადა აეკრძალა წითელფრონტელთა კავშირი, რის წინააღმდეგ მაშინ გაილაშქრეს მენშევიკებმა. მათ ამ შემთხვევაში ამოქმედებდათ, რა თქმა უნდა, არა რევოლიუციონური მოსაზრებები, არამედ უმთავრესად პარტიული ბაგაჟის შეძენის სურვილი. მენშევიკები ფიქრობდნენ, რომ წითელფრონტელთა კავშირის აკრძალვის წინააღმდეგ გალაშქრებით, ისინი მეტ სიმპატიებს დაიმსახურებდნენ მშრომელთა ფართო მასებში და ეს გარემოება მათ გაუადვილებდა გამარჯვებას რეიხსტაგის არჩევნებში. მაგრამ ჩაუდგნენ თუ არა მენშევიკები სათავეში ხელისუფლებას, მათი პირველი ნაბიჯი იყო წითელფრონტელთა კავშირის აკრძალვა.

გერმანელი მენშევიკების ამგვარმა საქციელმა კიდევ უფრო გააძლიერა უკმაყოფილება გერმანიის მუშათა კლასში. მუშათა საპროტესტო კრებებზე გამოსული სოციალ-დემოკრატები თავის „გამართლების" მიზნით ამბობენ, რომ ვერსალის ხელშეკრულების თანახმად გერმანიას არა აქვს უფლება სახელმწიფოს შიგნით დაუშვას რაიმე სამხედრო ორგანიზაციის არსებობა. რა თქმა უნდა სოციალ-დემოკრატების ამგვარ თვალთმაქცობას შესაფერისად ააშკარავებს კომუნისტური პრესა და გერმანიის პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილიც კარგათაა გარკვეული ამ საქმეში.

მე მინდა აგრეთვე ორიოდე სიტყვით გავაცნო საქართველოს მუშათა კლასს გერმანიის მუშების მდგომარეობა. გერმანიაში ამჟამად ფართე მასშტაბით მიმდინარეობს მრეწველობის კაპიტალისტური რაციონალიზაცია. მთელ რიგ დარგებში ადამიანის შრომა იცვლება მანქანის შრომით. ეს კი იწვევს უმუშევართა რიცხვის საარაკო ზრდას. უმუშევართა რიცხვს ყოველდღე ახალ-ახალი კადრები ემატება. ზაფხულზე ეს კიდევ იმდენათ არ ემჩნევა გერმანელი მუშის ნივთიერ მდგომარეობას, რადგან ზაფხულის პერიოდში გერმანიის ქალაქებიდან უმუშევრები მიემგზავრებიან პროვინციებში სასოფლო სამეურნეო სამუშაოებზე, მაგრამ თუ რა მდგომარეობა შეიქმნება ზამთარში, როდესაც გერმანიის ქალაქებში დაბრუნდებიან მილიონი უმუშევრები,—ეს ადვილი წარმოსადგენია.

ამავე დროს გერმანიის მთავრობა ამზადებს ახალ კანონპროექტს უმუშევრობის შესახებ, რაც კიდევ უფრო გააუარესებს უმუშევართა ნივთიერ მდგომარეობას. მთავრობას განზრახული აქვს დახმარების მიცემა შეუწყვიტოს უმუშევართა მნიშვნელოვან ნაწილს.

ყველაფერი ეს გერმანიის მუშათა კლასში აძლიერებს მემარცხენე მიმდინარეობას და აღრმავებს გერმანიის პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას.

ჩინეთი დღეს

(საუბარი ამხ. გოლდბერგთან)

თბილისში მცირე ხნით შეჩერდა ამას წინად ხარბინიდან საბჭოთა კავშირში ჩამოსული საბჭოთა მუშაკი ამხ. ი. გოლდბერგი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე თავდასხმის წინ ამხ. გოლდბერგი იყო პეკინში, კანტონში და ჩინეთის სხვა ქალაქებში. ჩვენს თანამშრომელს საუბრის დროს ამხ. გოლდბერგმა გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი თანამედროვე ჩინეთის შესახებ.

მძიმე ატმოსფერა,—სთქვა ამხ. გოლდბერგმა,—რომელიც საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის მმართველ წრეებს შორის შეიქმნა 1926—27—28 წლებში მომხდარი ინციდენტების შემდეგ არ გაფანტულა უკანასკნელ დრომდე, ე. ი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე თავდასხმამდე. გომინდანის ზედაფენები ყოველგვარი საშუალებით სცდილობდნენ, არ დაეშვათ მჭიდრო დაახლოვება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის ხალხს შორის. ისინი მიმართავდნენ პროვოკაციას, საზიზღარ ცილის წამებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ერთის სიტყვით, ყოველსავე იმას, რაც ჩან-კაი-შიმ შეისწავლა თავისი ეხლანდელი მასწავლებლებისაგან—იმპერიალიზმის აგენტებისაგან.

არც ერთ ქვეყანაში არასოდეს ადგილი არ ჰქონია ისეთ რთულ და დახლართულ ურთიერთობას პროვინციებს შორის, ცალკე მმართველ გენერლებს შორის, როგორსაც ჩინეთი განიცდის. ჩან-კაი-შის მდგომარეობა, სხვა ჩინელ გენერლებთან შედარებით, მტკიცეა.

ჩან-კაი-ში, რომელიც 1921 წელს მოსკოვში იყო და რომელიც არა ერთხელ გვეფიცებოდა, რომ იგი ერთგულია სუნ-იატ-სენის ანდერძისა საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ურთიერთობის შესახებ, უფრო შორსმჭვრეტელი გამოდგა ვიდრე გონება-ჩლუნგი ჩინელი გენერლები, რომლებიც მხოლოდ ფიზიოლოგიური ცხოვრებით სცხოვრობენ.

ჩან-კაი-ში ამ გენერლებს აქეზებს, ამხედრებს ერთი მეორის წინააღმდეგ, აწყობს პროვოკაციას, რათა დაასუსტოს ისინი და ამ გზით ყველაფერი ხელთ იგდოს და თვითონ გაბატონდეს, როგორც სარწმუნო წყაროები გადმოგვცემდნენ ჩან-კაი-შის მეტად დამახასიათებელი საუბარი ჰქონდა ერთ უცხოელ გენერალ-ავანტიურისტთან, რომელიც მისი სამხედრო მრჩეველია. უცხოელი გენერალი ჩან-კაი-შის ურჩევდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არა მიემართა მკაცრი მეთოდებისათვის და გამოეყენებია პროვოკაციის უფრო მოქნილი, გაიძვერული სისტემა.

ჩან-კაი-შიმ მას უპასუხა: „იყო დრო, როცა მე ვემხრობოდი საბჭოთა კავშირთან დაახლოვებას, მეგობრობას. მაგრამ დავრწმუნდი, რომ მეგობრობა საბჭოთა კავშირთან არის „ჩემი, როგორც პიროვნების, დაღუპვა"-ო. ამ ფრაზაში ნათლად სჩანს ჩან-კაი-შის მთელი ბუნება, ნათლად სჩანს ჩან-კაი-ში—დიქტატორი, ავანტიურისტი, რომელიც ფეხით სთელავს ყოველსავე იმას, რასაც ოდესღაც ემსახურებოდა და რომელიც ეხლა მხოლოდ თავის პიროვნებაზე ფიქრობს.

გენერლების [illegible], იმპერიალიზმის თარეში, მუშებისა და გლეხების არაჩვეულებრივი ექსპლოატაცია,—აი, რა ახასიათებს პირველ შეხედვით თანამედროვე ჩინეთს. დღევანდელი მმართველები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მდგომარეობის განმტკიცებისათვის საჭიროა მხოლოდ ექსპლოატაციისა და გადასახადების უფრო მაგრა მოჭერა. ისინი სულ ვერ ხედავენ ახალ ჩინეთს, რომელიც [illegible] სარბიელზე გამოდის. კომუნისტების დახვრეტა არ სწყდება. ჩინელი კომუნისტები გმირულად კვდებიან და სჯერათ, რომ მათი დაღუპვა ამაოდ არ ჩაივლის ჩინეთის მშრომელთა განთავისუფლების საქმისათვის.

ატმოსფერა ჩინეთში გავარვარებულია, გრძნობ, რომ ხალხის სიღრმეში დაგროვდა პროტესტის უდიდესი ძალა. საკმაოა საბაბი, რომ ამბოხებულმა ხალხმა წალეკოს ყოველივე ის, რაც ხელს უშლის მის წინსვლა-განვითარებას. ასეთ საბაბს უეჭველად გამონახავენ ჩინელი კომუნისტები.

რას მიაღწიეს ჩინელმა მმართველებმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებით? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება. მათ მიაღწიეს კლასობრივი ბრძოლის უფრო მეტად გამწვავებას, უფრო მეტ მძულვარებას ჩინეთის მშრომელთა მხრით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინელი მშრომელები კულტურული განვითარების მეტად დაბალ დონეზე დგანან, მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ ნამდვილი მუშური პრესა, ამ მშრომელებმა ძალიან კარგად იციან, როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩინეთის ხალხთან სხვა სახელმწიფოებს. მათ კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირმა თვითონ, საკუთარი ნება-სურვილით გააუქმა ის უთანასწორო ხელშეკრულებანი, რომლებიც მეფის რუსეთმა ჩინეთთან დასდო.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზა წარმოადგენს არა მარტო ეკონომიურს, არამედ კულტურულ ფაქტორსაც. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომუშავე ჩინელების მდგომარეობა ძირიანად განსხვავდებოდა იმ ჩინელების მდგომარეობისაგან, რომელნიც „თავიანთ" ბატონებს ემსახურებიან. ეხლა ეს მოისპო, ჩვენი აგიტაცია მოქმედებით. ე. ი. 1924 წლიდან შემოღებულმა ახალმა წესებმა რკინის გზაზე უდიდესი როლი ითამაშეს.

როცა ჩინეთიდან წამოვედი, ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის მომხდარი ფაქტი იყო. მანჯურიელები გაფაციცებით გზავნიდნენ ჯარს საბჭოთა საზღვრებისაკენ. გზაში უფრო და უფრო ვრწმუნდებოდით, რომ ძნელია ისეთი ჩინელის მონახვა, რომელმაც მოიწონოს მანჯურიელებისა და ნანკინის მთავრობის მოქმედება.

ჩინელი კომუნისტები გარკვეულად აცხადებდნენ, რომ ნანკინის მთავრობის ყაჩაღური მოქმედება ნიშნავს პროვოკაციას არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ჩინეთის მშრომელი მასების მიმართ. გომინდანის პარტია დღეს,—ამბობდნენ ისინი,—ყველაზე უფრო მკაცრად ახშობს რევოლიუციონურ მოძრაობას ჩინეთში. შეიარაღებული აჯანყება გომინდანის წინააღმდეგ—ჩინეთის კომპარტიის და მშრომელთა სადღეისო ამოცანას შეადგენს.

შემოდგომის თესვის ჩატარების გეგმა

ნათესების სივრცის გაფართოება

შემოდგომის თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიამ შეადგინა შემოდგომის თესვის კამპანიის გეგმა.

გეგმის მიხედვით შემოდგომის ნათესების სივრცე წელს შარშანდელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 7,76 პროცენტით.

1928-29 წლის შემოდგომის ნათესების სივრცე უდრიდა 226.300 ჰექტარს, წელს შემოდგომაზე უნდა დაითესოს 237.400 ჰექტარი ე. ი. 11.100 ჰექტარით მეტი.

სათესლე მასალა

შემოდგომის თესვის წარმატებით ჩასატარებლად სულ საჭიროა 2.474.700 ფუთი ხორბალი, 118.100 ქერი და 11,200 ფუთი ჭვავი, სულ 2.602.000 ფუთი თესლეული.

წინასწარი ვარაუდით საჭირო იქნება რესპუბლიკის გარედან შემოტანილ იქნას მხოლოდ 364.250 ფუთი ხორბლეული, რომელიც დაურიგდება გლეხებს საკვებათ და სათესლე მასალაზე გადასაცვლელად.

გარდა ამისა ზუგდიდის მაზრაში შეზიდული იქნება 49.950 ფუთი, სენაკის მაზრაში— 13.770 ფუთი და ოზურგეთის მაზრაში 12.627 ფუთი ჭვავი. ზუგდიდის მაზრაში ადგილობრივ ჭვავზე გადასაცვლელად შეტანილი იქნება 10.000 ფუთი სიმინდი. განზრახულია ბალახეულობა დაითესოს 3.000 ჰექტარზე, რისთვისაც საჭირო თესლეულის ნაწილი შეძენილი იქნება მეზობელ რესპუბლიკებში.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები

თესვის წარმატებით ჩატარება დიდათაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენათ უზრუნველყოფილია გლეხობა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით და მუშა-საქონელით.

ყოველ წელიწადს დიდძალი მანქანა-იარაღები იგზავნება სოფლად, მაგრამ სოფელი ამ მხრივ ჯერ კიდევ არაა უზრუნველყოფილი.

განზრახულია შემოდგომის თესვისათვის შემოზიდულ იქნას და მაზრებს გაუნაწილდეს შემდეგი იარაღ-მანქანები; 131 ტრაქტორი, 9.279 გუთანი, 1.737 ფარცხი, 236 ტრიერი, 390 გამწმენდი და დამახარისხებელი მანქანა, 212 სათესი მანქანა და სხ. სულ შემოდგომის თესვისათვის შეძენილი იქნება 839.585 მანეთის იარაღ-მანქანები.

შემკეთებელი სახელოსნოები

სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღების თავის დროზე შეკეთების მიზნით განზრახულია არსებულ შემკეთებელ სახელოსნოების გაფართოება და 3 ახალ სახელოსნოს მოწყობა, რაც დაჯდება 75.000 მანეთი.

მუშა-საქონელი

შემოდგომისათვის განზრახულია 3.000 უღელი ხარის და 400 ცხენის შეძენა, რისთვისაც გამოთხოვნილია 1.030.000 მანეთი. ამ თანხიდან უღარიბეს გლეხებს და კოლექტიურ მეურნეობებს მუშა-საქონლის შესაძენად მიეცემათ სესხი.

მინერალური სასუქები

მინერალური სასუქებით საცდელი სახით განოყიერებული იქნება გლეხთა მეურნეობაში 300 ნაკვეთი მიწა. გარდა ამისა ზუგდიდის და სენაკის მაზრებში 5.000 ჰექტარზე ჩატარებული იქნება მერგელევანი. ამ საქმისათვის გამოთხოვილია 627.000 მანეთი.

თესლის შეწამვლა

შემოდგომის თესვისათვის საჭირო თესლეულიდან განზრახულია შეწამლულ იქნას 1 მილიონი ფუთი თესლი, რაც შეადგენს მთელი თესლის 33 პროცენტს.

დახარისხებული იქნება 1.200.000 ფუთი სათესლე მასალა.

გარდა ამისა, მოეწყობა ხორბლეულის საწმენდი ფარდულები, სულ 20. ამ მიზნით გამოთხოვილია 30.000 მანეთი.

ხარისხოვანი თესლით შემოდგომაზე სულ დაითესება საცდელ მინდვრებში 35 ჰექტარზე, რაც შემდეგი წლისათვის მოგვცემს 3.000 ფუთ თესლს.

გარდა ამისა, აგრომინდვრებში განზრახულია შერჩეულ და მოწამლულ თესლეულით დაითესოს 400 ჰექტარი.

კონტრაქტაცია

კონტრაქტაციის ქვეშ შემოდგომაზე დაითესება: ხორბალი 10.680 ჰექტარზე და ქერი 1.000 ჰექტარზე. კონტრაქტაციის ჩასატარებლად გამოთხოვილია 150.000 მანეთი.

მწკრივად თესვა

ამჟამად საქართველოში არის 208 მწკრივად სათესი მანქანა, კიდევ შემოტანილი იქნება 212 მანქანა. ყველა ამ მანქანების საშუალებით შემოდგომაზე მწკრივად უნდა დაითესოს 4.340 ჰექტარი.

აგრორწმუნებულები

აგრორწმუნებულები უკვე არჩეულია 119 სოფელში. გადაწყვეტილია აგრორწმუნებულების არჩევა აღმოსავლეთ საქართველოში დამთავრდეს 1 ოქტომბრამდე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 1-ლ დეკემბრამდე. აგრომინიმუმი ჩატარებული უნდა იქნას ყველგან შესაძლებლობის მიხედვით.

სოციალისტური შეჯიბრება

აგრონომიულ მუშაობის დარგში განზრახულია მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება კოლექტიურ მეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, აგროპუნქტებსა და სოფლებს შორის.

თესვისათვის საჭირო თანხები

შემოდგომის თესვის წარმატებით ჩატარებისათვის და დასახული გეგმის შესასრულებლად, საჭიროა შემდეგი თანხები: თესლის დასამზადებლად—874.200 მანეთი, სას.-სამ. იარაღ-მანქანების შესაძენად—839.585 მან., მუშა-საქონლის შესაძენად—1.020.000 მან., ხარისხოვან თესლის მეურნეობისათვის— 9.360 მ., მავნებლებთან საბრძოლველად— 35.000 მ., მინერალურ სასუქების შესაძენად— 27.000 მ., ხორბლეულის საწმენდ ფარდულების მოსაწყობად—15.000 მან., კონტრაქტაციის ჩასატარებლად—150.000 მანეთი, ბალახების დასათესად—150.000 მ., მერგელევანისათვის—600.000 მ. და სხ. სულ საჭიროა 3.285.154 მანეთი.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო

აზერბეიჯანის პროფორგანიზაციების მუშაობის შესახებ

1. მიუხედავად იმისა, რომ აზერბეიჯანში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დიდ მიღწევებს ნავთის მრეწველობის რეკონსტრუქციის და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, სწორი ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცებაში, სამრეწველო კერების განვითარებაში და სხვ., მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გაიზარდა მუშათა მასების მატერიალური დონე, რამდენადმე მათი კულტურული დონეც, მიუხედავად ამ მასების პოლიტიკური აქტივობის უდიდესი ზრდისა,—აზერბეიჯანში მაინც არ იყო უზრუნველყოფილი პირობები თვითკრიტიკის გაშლისათვის და მუშათა ახალი კადრების ნამდვილად დაწინაურებისა და აღზრდისათვის; ფართო მასები დარაზმულნი არ აღმოჩნდნენ კონკრეტიულ დეფექტებთან საბრძოლველად; ხელმძღვანელობა ჩამორჩენილი იყო მუშათა მასების აქტივობას; მთელ რიგ საწარმოებში მასიური მუშაობა დაყენებული იყო არადამაკმაყოფილებლად, საკმაოდ არ ძლიერდებოდა პროლეტარული გავლენა სოფელზე, საკმაოდ არ სწარმოებდა ბრძოლა გახრწნის ელემენტებთან, ერთგვარ ძმაბიჭურ ურთიერთობასთან, ადგილი ჰქონდა ამ ფაქტების მიფუჩეჩებას ცალკე ხელმძღვანელი მუშაკების მიერ, სუსტად სწარმოებდა მუშების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, საკმაო არ იყო პროლეტარული ფენა ხელმძღვანელ კადრში და საკმაოდ არ ხდებოდა ამ კადრის განახლება.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულ აზერბეიჯანის პარტიული ხელმძღვანელობის უდიდეს შეცდომებს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინათ პროფმუშაობის მდგომარეობაზედაც აზერბეიჯანში. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში საჭიროდ სცნო: დამუშავებულ იქნას ღონისძიებანი მასიური პროლეტარული ორგანიზაციების, პირველ რიგში პროფკავშირების, მუშათა მასების გასაცხოველებლად (მათ მუშაობაში აპოლიტიურობის ელემენტების და საამქრო კარჩაკეტილობის აღმოფხვრა, მასებთან დაახლოვება, ჩამორჩენილი ფენების ჩაბმა მუშაობაში)".

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ აზერბეიჯანის ორგანიზაციის გამოკვლევასთან ერთად, საკავშირო პროფსაბჭომ ჩაატარა აზერბეიჯანის პროფორგანიზაციების გამოკვლევა. გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ აზერბეიჯანის პროფორგანიზაციების უეჭველ მიღწევებთან ერთად, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ უაღრესად მნიშვნელოვან დეფექტებს მათ მუშაობაში და ხელმძღვანელობის შეცდომებს, როგორიცაა: არასაკმაო გარდატეხა ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნაში, ეკონომმუშაობის სისუსტე და მუშების არასაკმაო ჩაბმა სამრეწველო - ფინანსიური გეგმების შედგენაში და ამ გეგმებისათვის კონტროლის გაწევაში, კავშირების სუსტი ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრების მიმართ, არასაკმაო ბრძოლა საკავშირო დემოკრატიის ხშირად დარღვევასთან, სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა თვითკრიტიკის გასაშლელად, კულტმუშაობაში ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების არასაკმაოდ ასახვა, კავშირების სუსტი მონაწილეობა სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში, არადამაკმაყოფილებელი მუშაობა საკავშირო აქტივის ახალი კადრების მოსამზადებლად და სხვ.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო სავსებით სწორად სთვლის საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას აზერბეიჯანის პროფსაბჭოს მოხსენების გამო და წინადადებას აძლევს აზერბეიჯანის პროფსაბჭოს, აზერბეიჯანის კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, კავშირების საოლქო განყოფილებებს და აზერბეიჯანის კავშირების ყველა ქვედა საფეხურის ორგანოს:

ა) სასწრაფო წესით ჩაატარონ საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებათა და ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ამ დადგენილების ფართოდ გაშუქება კავშირების კონფერენციებზე, მუშათა ფართო კონფერენციებზე და საწარმოებისა და დაწესებულებების საერთო კრებებზე; საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებანი გააცნონ პროფკავშირთა ყველა წევრს, რისთვისაც მასიურად უნდა გაავრცელონ ეს გადაწყვეტილებანი რუსულ, თურქულ და სომხურ ენებზე.

ბ) გარდაქმნან პროფორგანიზაციების მთელი მუშაობა საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებით მოცემული მითითებების განხორციელების თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ცხოველი თვითკრიტიკის გაშლის გაძლიერებას, სოციალისტურ შეჯიბრების მიმართ სწორი და სრული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას, ეკონომმუშაობაში მუშათა ფართო მასების სრულად ჩაბმას, კავშირთა ორგანოების მონაწილეობის გაძლიერებას სამეურნეო გეგმების შედგენაში და ამ გეგმებისათვის კონტროლის გაწევაში, კონკრეტული ზომების მიღებას ჩამორჩენილი ფენების და მუშათა ახალი კადრების კავშირებში ჩასაბმელად, წარმოების მუშათა გაძლიერებულ დაწინაურებას, სამეურნეო, კოოპერატიულ და საბჭოთა სამუშაოზე (კერძოდ, მუშების სასწრაფოდ დაწინაურებას ამიერ-კავკასიის საოლქო დაწესებულებებში).

გ) აიღონ მტკიცე კურსი აზერბეიჯანის პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაბედულად გაშუქებისაკენ, სრული საშუალება მისცენ მუშათა მასებს წამოაყენონ მოთხოვნები კავშირთა ორგანოების ვადამდე გადარჩევისა და ხსენებული ორგანოების იმ ცალკე წევრთა გამოწვევის შესახებ, რომლებმაც ვერ გაამართლეს მათი ამრჩევი მასების ნდობა, ხელი შეუწყონ ასეთ მოთხოვნათა გამორკვევას (და ამ მოთხოვნათა რაც შეიძლება სწრაფად განხორციელებას).

დ) დაუყონებლივ შეუდგნენ გულდასმით მზადებას იმისათვის, რომ არა უგვიანეს 1929 წლის ოქტომბრის დასასრულისა მოწვეულ იქნას აზერბეიჯანის პროფკავშირთა მორიგი ყრილობა იმ ანგარიშით, რომ ყრილობის საკითხები და ყრილობაზე წარსადგენი წინადადებანი წინასწარ განხილულ იქნან მუშათა მასიურ კრებებზე, ხოლო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების საარჩევნო კრებებს რაც შეიძლება ფართოდ და სრულად დაესწრონ პროფკავშირების წევრნი.

ე) შეადგინონ საკავშირო პროფსაბჭოს და აზერბეიჯანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებათა განხორციელების კალენდარული გეგმა და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ შეერთებული კალენდარული გეგმა დასამტკიცებლად ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმს.

2. ამიერ-კავკასიის მე - 5 მოწვევის პროფსაბჭოს მე-3 პლენუმმა (1929 წლის 15—27 აპრილი) ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ: „ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემდგომი განმტკიცება, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მეურნეობის ზრდა, მეურნეობის ყველა დარგის გეგმიანი მოწესრიგების გაძლიერება, ამიერ-კავკასიის საგეგმო ორგანოების განმტკიცება, ამიერ-კავკასიის მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის კონცენტრაცია ამიერ-კავკასიის ცენტრში (ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. საბჭოს დაარსება), გეგმიანობის თანდათან და უფრო მეტად გავრცელება შრომის საკითხებზე, იმ სამეურნეო პრობლემებისა და ამოცანების რიცხვის ზრდა, რომელთა გადაჭრაც ხდება მთელი ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის, მთლიანი სახალხო-სამეურნეო ორგანიზმის მასშტაბით,—ყოველივე ეს თანდათან უფრო ააშკარავებს, რომ საჭიროა გაგრძელდეს და გაფართოვდეს შესრულება მთელი რიგი ამოცანებისა ამიერ-კავკასიის პროფორგანიზაციების მუშაობის მიმართ ხელმძღვანელობის საქმეში, რაც უკვე დაიწყო ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ.

ამ ამოცანების განხორციელება ხდებოდა ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის პროფორგანიზაციების შექმნის სპეციფიურ პირობებში, როდესაც არსებობს კავშირების მხოლოდ 2 საოლქო ორგანო (ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფსაბჭო ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფისა და რადიოს მუშაკთა გამგეობა), ისეთ პირობებში, როდესაც ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო, კავშირებთან დაკავშირებულია ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს საშუალებით, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის პროფორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მუშაობას; მთელი რიგი პროფორგანიზაციები არ იჩენდნენ საკმაო დისციპლინას ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მიმართ; სუსტად იყო დაყენებული საინფორმაციო მუშაობა, როგორც ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში, ისე მთელ რიგ რესპუბლიკანურ პროფორგანიზაციებში; რესპუბლიკანური პროფორგანიზაციები არ აწვდიდნენ, ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს სრულად იმ მასალასაც კი, რომელიც მათ მოეპოვებოდათ და ხშირად დროზე არ ასრულებდნენ იმ ამოცანებს, რომლებიც შეეხებოდა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში მოხსენებებისა და მასალის თავის დროზე წარმოდგენას.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ, ამ პირობებთან ერთად, ადგილი ჰქონდა იმასაც, რომ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმი საკმაოდ და თავის დროზე არ აქცევდა ყურადღებას ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხებს ამიერ-კავკასიის შიგნით (მდგომარეობა აზერბეიჯანში), არ იყო საკმაო და ნაწილობრივად მოისუსტებდა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს აპარატი. ყველა ამან, ერთად აღებულმა, გამოიწვია ის, რომ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მესამე პლენუმის მიერ დასმული ამოცანები არ განხორციელებულა, და ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო დღემდეც ვერ ახორციელებს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის პროფორგანიზაციების მიმართ ნამდვილ ხელმძღვანელობას.

ამავე დროს ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმი სცნობს, რომ მან საკმაო მონაწილეობა ვერ მიიღო საკავშირო პროფსაბჭოს იმ მუშაობაში, რომელიც შეეხება აზერბეიჯანის პროფორგანიზაციების გამოკვლევას, ვერ მიიღო საკმაოდ სრული მონაწილეობა საკავშირო პროფსაბჭოს ინსტრუქტორების მუშაობაში და ვერ გაუწია მათ ამ მუშაობაში საკმაო დახმარება, ვერ მიიღო მონაწილეობა აზერბეიჯანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის იმ სხდომაზე, რომელზედაც იხილავდნენ საკავშირო პროფსაბჭოს ინსტრუქტორების წინასწარ მოხსენებას, დროზე არ დაამუშავებია გამოკვლევის ის შავი მასალა, რომელიც ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს განკარგულებაში იყო, და აღნიშნავს, რომ ამის წყალობით და აგრეთვე ნაწილობრივ იმის გამო, რომ საკავშირო პროფსაბჭოს ინსტრუქტორებმა დროზე არ გააკეთეს ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმში დაპირებული მოხსენება გამოკვლევის წინასწარი შედეგების შესახებ, ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ ვერ შესძლო გამოეთქვა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წინაშე თავისი კოლექტიური შეხედულება აზერბეიჯანის პროფორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ, გამოკვლევის შედეგების მიხედვით.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო ფიქრობს, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ი ავალებს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს უზრუნველჰყოს საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მხრით ნაციონალურ (აზერბეიჯანის სომხეთისა და საქართველოს) კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მიმართ შემდგომი ნამდვილი ხელმძღვანელობის განმტკიცება",—თავისი განხორციელების ერთ ძირითად მომენტად გულისხმობს გადაჭრით გარდატეხას იმ მხრივ, რომ გაძლიერებულ იქნას ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს ნამდვილი ხელმძღვანელობა ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის პროფმოძრაობის მიმართ, რისთვისაც, კერძოდ, საჭიროა:

ა) სისტემატიურად თვალყურის დევნება, თუ რამდენად ახორციელებენ რესპუბლიკანური და საოლქო პროფორგანიზაციები ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს დირექტივებსა და მითითებებს;

ბ) მოგვარება იმისა, რომ რესპუბლიკანური პროფსაბჭოები და საოლქო პროფორგანოები დროზე უგზავნიდნენ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს სრულ საინფორმაციო და სხვა მასალას და დროზე აძლევდნენ პასუხს ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს შეკითხვებზე;

გ) ახლო მომავალში განმტკიცება და გაფართოვება ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს აპარატისა (მასში ადგილებიდან და კომკავშირიდან მუშაკების ჩაბმით), განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილების საგეგმო-ეკონომიური მუშაობის გაძლიერებისათვის, ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების სააღრიცხვო-განმანაწილებელისა და საინფორმაციო ნაწილის მუშაობის გაძლიერებისათვის და ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამოყოფისა და განმტკიცების საჭიროებისათვის.

დ) დასმა საკითხისა იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის მასშტაბით მოხდეს კიდევ რამდენიმე პროფკავშირის გაერთიანება, საოლქო ცენტრების მოწყობა იმ მიზნით, რომ კავშირთა კომიტეტების ურთიერთობა იმ რესპუბლიკანურ კომიტეტებთან, რომლებიც ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში შედიან, ამ ახალ ორგანიზაციებში ხორციელდებოდეს საოლქო ცენტრების საშუალებით. ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებას ევალება სასწრაფოდ გამოიმუშაოს მიზანშეწონილი და შესაძლებელი სია კავშირებისა და კიდევ ზოგიერთ საოლქო გამგეობათა შექმნის წესი და ვადა.

3. ამ.-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ფიქრობს, რომ საკავშირო პროფსაბჭოს მიერ აღნიშნულ დეფექტებს აზერბეიჯანის პროფორგანიზაციების მუშაობაში და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ მიცემულ მითითებას, რომლებიც აზერბეიჯანის პროფორგანიზაციების შემდგომ მუშაობას შეეხებიან, თავის მუშაობის დროს ანგარიშში გაუწიოს ამ.-კავკასიის ყველა პროფორგანიზაციამ. ამისათვის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს, ამ.-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირს და ამ.-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფისა და რადიოს მუშაკთა გამგეობას—დაამუშაონ აზერბეიჯანის პროფსაბჭოს მოხსენების გამო საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება და ამ.-კავკასიის პროფსაბჭოს ეს დადგენილება პროფაქტივის ფართო კრებებზე და აწარმოონ თავისი ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება საკავშირო პროფსაბჭოს ხსენებული გადაწყვეტილებებისა და მითითებების საფუძველზე.

4. მიენდოს ამხ. კუზნეცოვს და ხარაბაძეს—უახლოეს დღეებში გაემგზავრონ ბაქოს და მიიღონ ზომები აზერბეიჯანის პროფსაბჭოსა და კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ხელმძღვანელ შემადგენლობაში აუცილებელი, სასწრაფო ცვლილებების გასატარებლად.

5. ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს ეს დადგენილება გამოქვეყნებულ იქნას პრესაში.

საქ. გეოგრაფიული საზ-ბის ექსპედიცია

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მესტია, 14 აგვისტო. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციამ ჯვარის და ლატვარის უღელტეხილების გადავლით მეოთხე დღეს მიაღწია მესტიამდე, სადაც იგი გაიყო სამ ჯგუფად. პირველი ჯგუფი გაემგზავრება თენთულდზე, მისთელზე, ლაკუცხზე და ნუკკუმზე. მეორე ჯგუფი მესტია - ჯაბიშით ავა სალინაპბაშიშის მწვერვალზე. მესამე ჯგუფი ბეჩოს და ადილისუს ხეობის გადავლით გაივლის კურმიჩს და რამოდენიმე მიუღწეველ მწვერვალს.

ორი კვირის მუშაობის შემდეგ სამივე ჯგუფი შეიკრიბება მესტიაში და შემდეგ ერთად მოახდენთ ასვლას დასავლეთ კავკასიონის რამოდენიმე მწვერვალზე.

ამჟამად ზემო - სვანეთში იმყოფებიან უცხოელი ალპინისტების რამდენიმე ექსპედიცია, სახკინმრეწვის, საქართველოს სამხატვრო აკადემიის, სოფლის მუსიკალური ექსპედიციები და საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოსული ექსპედიციების მრავალი ჯგუფი.

ჩვენმა ექსპედიციამ უკვე გაება რადიო-კავშირი საბჭოთა კავშირის და ევროპის რადიო - სადგურებთან.

ვ. წულუკიძე.

გავაძლიეროთ პარტმუშაობა ტრანსპორტზე

(საქ. კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილება)

პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე უკანასკნელი წლის განმავლობაში საერთოდ გაცხოველებული იყო. ამასთან ერთად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მიუთითებს რკინის გზის პარტიულ ორგანიზაციებს იმ დიდ დეფექტებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ ადგილი მუშაობის ცალკე დარგებში და, განსაკუთრებით, საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 1928 წლის მარტის გადაწყვეტილებათა შესრულების ხაზით.

ეს დეფექტები უმთავრესად შემდეგია:

ა) მუშათა მასები სუსტად არიან ჩაბმულნი და სუსტ მონაწილეობას იღებენ რკინის გზის სამეურნეო ცხოვრებაში; მუშაობის ფორმებისა და მეთოდების უქონლობა იმ ამოცანათა განსახორციელებლად, რომლებიც რკინის გზის წინაშე დგანან; არასაკმარისად არის გაშლილი მუშაობა სოციალისტური შეჯიბრებისთვის და მასში მუშათა მასების ჩასაბმელად; სუსტია საწარმოო კომისიების და საწარმოო თათბირების მუშაობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მუშები მათ მუშაობაში არ იღებენ საკმაო მონაწილეობას, დროზე არ ხორციელდება მათი გადაწყვეტილებები, არ არის ინფორმაცია ამ მუშაობის მდგომარეობის შესახებ და სხვ.;

ბ) სწარმოებს სისტემატიური მუშაობა სპეციალისტებსა და ოსტატებს შორის, სუსტად არიან ისინი ჩაბმული რკინის გზის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების პრაქტიკული მუშაობაში;

გ) სუსტად კმაყოფილდება მუშათა ფართო მასების კულტურული მოთხოვნილება და სუსტად სწარმოებს მათი პოლიტიკური აღზრდა; არ არსებობს ინფორმაცია ზოგან პარტიის ძირითად გადაწყვეტილებათა შესახებ, ნაციონალიზმთან საბრძოლველად არ ხდება მუშათა მასის ყურადღების დარაზმვა, სუსტად არის დაყენებული პარტსწავლება და სხვ.,

დ) არ სწარმოებს განსაკუთრებული მუშაობა სოფლად მცხოვრებ მუშებს შორის, როგორც რკინის გზის, ისე სოფლის პარტორგანიზაციების მხრით;

ე) სუსტია მუშაობა მემარჯვენე გადახრის ბუნების ახსნა-განმარტებისთვის და ბრძოლის კონკრეტულ შემთხვევებთან, დავიწყებულია ტროცკიზმთან ბრძოლა, საკმაოდ არ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

გამოდის რა აქედან, საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. რკინის გზის სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელობის სფეროში საჭიროა მთელი პარტიული და უპარტიო მასების ყურადღება დარაზმულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მთავარი დირექტივების განხორციელების ირგვლივ (თვითღირებულების შემცირება, რემონტის ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის აწევა, სამუშაო დღის დატვირთვა, საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირება და სხვ.).

ამ მიზნისათვის საჭიროა ფართოდ იქნას გაშლილი პრაქტიკული მუშაობა როგორც მასიური სოციალისტური შეჯიბრების, ისე ინდივიდუალური შეჯიბრების დარგში: „უნდა გამოყოფილ იქნას განსაკუთრებული ფონდი ჯილდოებისათვის მუშებისა და მუშა-ქალების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა საუკეთესოდ დასაკმაყოფილებლად. აგრეთვე შემოღებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი წახალისების სხვადასხვა ფორმა: წითელი სია, საპატიო სიგელი, შრომის დროშა, რომელიც ცეხიდან ცეხში და საწარმოდან საწარმოში გადავა და სხვ". (საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 1929 წლის 9 მაისის დადგენილებიდან).

მუშაობის გაუმჯობესება უნდა სწარმოებდეს იმ ხაზით, რომ გეგმაშეწონილად და ღრმად შესწავლილ და გადაჭრილ იქნას საწარმოს თუ ცეხის საწარმოო ცხოვრებიდან ძირითადი საკითხები (საწარმოო პროგრამების განხილვა, თვითღირებულების შემცირება, შრომის დისციპლინის აწევა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და სხვ.) მუშაობის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას ცეხებში (ვაგონის ცეხში, ორთქლმავლის ცეხში და სხვ.; ან დარგებში: გზის დარგი, მოძრაობის დარგი, წევის დარგი). იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, უნდა მოეწყოს საწარმოო თათბირები და ცეხის საწარმოო კონფერენციები. საჭიროა გადაჭრით განდევნილ იქნას პრაქტიკიდან საწარმოო თათბირების შეცვლა საწარმოო კომისიებით.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელიც სდგას საწარმოო კომისიებისა და საწარმოო თათბირების წინაშე, წარმოადგენს ამათ ირგვლივ მუშათა ისეთი მუდმივი საწარმოო აქტივის შექმნა, რომელიც დაინტერესებულია საწარმოო ცხოვრებით. საჭიროა მოგვარებულ იქნას სისტემატიური მუშაობა ამ აქტივთან და მიღებულ იქნას ზომები მისი საწარმოო კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

შემცვლელი და მოსიარულე მუშებისათვის შემოღებულ უნდა იქნას განმეორებული საწარმოო თათბირები, რომლებზედაც უნდა დაისვას იგივე საკითხები, რაც პირველ თათბირზე.

დაევალოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას—კვლავ მისცეს კონკრეტიული მითითებანი ადგილებს საწარმოო კომისიებისა და საწარმოო თათბირების გადაწყვეტილებათა აღრიცხვისა და განხორციელების შესახებ. ამასთან მიღებულ უნდა იქნას გადამჭრელი ზომები სამსახურიდან გადაყენებაც კი—იმ ადმინისტრატორებისა და სამეურნეო მუშაკთა წინააღმდეგ რომელნიც არ ახორციელებენ საწარმოო თათბირების იმ წინადადებებს, რომელთა განხორციელებაც ადგილზე შესაძლებელია. [illegible] არ აცნობენ მუშათა [illegible]ტომ არ განხორციელდა ეს წინადადებები, და ბიუროკრატიულად ეკიდებიან მუშათა ხმას.

წარმატებით გადაჭრა იმ უდიდესი სამეურნეო ამოცანებისა, რომლებიც დგანან ტრანსპორტის უჯრედების წინაშე, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მოხდება პარტხელმძღვანელობის გაუმჯობესება და კონკრეტიზაცია, რისთვისაც საჭიროა, რომ საქმით განხორციელდეს პარტიის მე-15 ყრილობის ლოზუნგი— „პარტიის წევრები, რა ადგილებზედაც არ უნდა იყვნენ ისინი—დაზგიდან დაწყებული უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოებამდე, უნდა უჩვენებდნენ ყველას შრომის გმირობის, დისციპლინის, შეუდრეკელი, მკაფიო, რაციონალურად დაყენებული მუშაობის მაგალითს".

2. სპეციალისტებთან და ოსტატებთან მუშაობის სფეროში საჭიროა უახლოეს დროის განმავლობაში ყურადღება მიექცეს იმას, რომ საწარმოო სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო მეტად იქნას ჩაბმული მუშაკთა ეს წრე; ჩაბმულ იქნან საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობაში ინჟენერები, ტეხნიკოსები, ოსტატები და სხვ.; რომ ისინი სოციალისტური, შეჯიბრების აქტიურ მუშაკებად ვაქციოთ, განსაკუთრებით იმ ცალკე საკითხების შესწავლის საქმეში, რომლებიც შეეხებიან საწარმოსა და ტრანსპორტის მდგომარეობას და სხვ. მუშაობის დროს საჭიროა სასტიკი ბრძოლა სპეციჭამიობისა და დევნის ელემენტებთან, გაკიცხვა ამ ავადმყოფური მოვლენებისა, მთელი მუშათა მასის ყურადღების დარაზმვა დევნის ცალკე შემთხვევებზე და ამაზე მუშათა მასის აღზრდა. მუშაობის მთელ სისტემაში აღებულ უნდა იქნას კურსი იქითკენ, რომ ბოლო მოეღოს გაუგებრობას ცალკე სპეცებსა და მუშათა ორგანიზაციებს შორის და საქმით, კონკრეტიულად განხორციელებულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის რეზოლიუცია: „ჩვენი მრეწველობის სოციალისტური რეკონსტრუქციის უდიდესი ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა მეცნიერებისა და ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევათა მაქსიმალურად გამოყენება. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სპეციალისტებისა და სამეურნეო მუშაკთა ისეთი ახალი კადრების შექმნას, რომელნიც პოლიტიკურად მჭიდროთ იქნებიან დაკავშირებულნი მუშათა კლასთან და ამავე დროს შესძლებენ მოწინავე ტეხნიკური აზრის მიღწევათა გამოყენებას, ისე ფრთხილ მოპყრობას იმ ძველ სპეციალისტებისადმი, რომელნიც ერთგულად ემსახურებიან საბჭოთა ხელისუფლებას და ლოიალურად მუშაობენ მის ორგანოებსა და საწარმოებში. პარტია აღნიშნავს, რომ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა სპეციჭამიობის ყოველგვარ რეციდივთან".

3. მეტად სუსტად არის დაყენებული რკინის გზის ხაზზე (ცალკე [illegible] ცენტრების გარდა) მასიური მუშაობა, განსაკუთრებით მუშათა ფართო მასების კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და პოლიტიკურად აღზრდის საქმეში. უპარტიო ფართო მასას არ აცნობენ ჩვენი პარტიის ძირითად გადაწყვეტილებებს. მუშათა თვალსაჩინო კადრები, თვით დიდ სადგურებშიაც კი არ არიან პარტსწავლებაში ჩაბმულნი. მუშათა მასის ყურადღება არ შეუჩერებიათ ნაციონალიზმთან ბრძოლაზე და არ მიუღიათ ზომები ინტერნაციონალურად მისი აღზრდისათვის, რის შედეგსაც წარმოადგენს ცალკე მუშების მხრით ნაციონალიზმის გამოჩენის ფაქტები.

მასიური მუშაობის მთელი სისტემა უნდა შეეფარდოს ტრანსპორტზე მუშაობის სპეციფიურ პირობებს; 1) მუშაობის დროს წასვლა-მოსვლის საჭიროებას, 2) დარგების სხვადასხვაობას, 3) რკინის გზის ხაზზე მეურნეობისა და მუშათა დაქსაქსულობას.

მუშაობის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას ცეხებში და დარგებში არსებული ორგანიზაციების განმტკიცების გზით, ხოლო იქ სადაც ასეთი ორგანიზაციები არ არის, ორგანიზაციულ მუშაობის სათანადო რგოლის — პროფრწმუნებულების, ცეხის პროფბიუროების, პროფდელეგატების, ჯგუფური პარტორგანიზაციების და სხვ.—განმტკიცების გზით. ამასთან მთელი მუშაობა აგებულ უნდა იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დირექტივების საფუძველზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას სამსახურის გამო მოსიარულე მუშებს შორის. ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას კონდუქტორთა და ორთქლმავალთა ბრიგადების დასასვენებელი და საგანწესო ოთახები.

უკანასკნელ სადგურებზე, სადაც მატარებელი დიდი ხნით ჩერდება (თბილისი, ბათომი ერევანი, ჯულფა, ბაქო, ფოთი), უნდა გაიშალოს ადგილობრივი კლუბებისა და წითელი კუთხეების მუშაობა გამყოლთა, ორთქლმავლისა და კონდუქტორთა ბრიგადების და სხვ. მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ხაზის მუშებს შორის მუშაობის წარმოების მიზნით, უჯრედები და ადგილკომები უნდა სცდილობდნენ გამოჰყონ მომზადებული როგორც პარტიული, ისე უპარტიო აქტივისტი მუშები, რომელნიც ადგილებზე სასადილო დასვენების დროს და საღამოობით (იმ შემთხვევაში, როდესაც მუშები სადგურში არ ბრუნდებიან) აწყობენ ხმამაღლა კითხვას და კითხვა-პასუხის საღამოებს, უხსნიან მუშებს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ძირითად დირექტივებს, აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

უნდა მნიშვნელოვნად გაძლიერდეს ხაზზე რკინის გზის საუბნო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა გამგზავრება იმ მიზნით, რომ ისინი ადგილობრივ გაეცნონ ამ მუშებს შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს, აგრეთვე ჩაატარონ საუბრები სხვადასხვა პოლიტიკურ თემებზე. უნდა შემოღებულ იქნას საუბნო კომიტეტების პასუხისმგებელ მუშაკთა 2—3 კვირით მიმაგრება მიყრუებული სადგურების ჯგუფებზე, მუშაობის ადგილობრივ საწარმოებლად.

იმ ადგილებში, სადაც რკინის გზის კლუბები არ მოიპოვება, მუშები მიმაგრებულ უნდა იქნან მახლობელ მუშათა და საკავშირთაშორისო კლუბებზე.

ვითვალისწინებთ რა რადიოფიკაციის დიდ მნიშვნელობას და დიდ ინტერესს, რომელსაც რადიოსადმი იჩენენ მუშები და გლეხთა მახლობელი მოსახლეობა, წინადადება მიეცეს რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირს—შეიმუშაოს საუბნო კომიტეტებთან ერთად მთელი რიგი ღონისძიებანი და გამონახოს საშუალებანი სადგურების ფართო რადიოფიკაციისათვის.

წინადადება მიეცეს საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვის განყოფილებას—გამოიმუშაოს მთელი რიგი ღონისძიებები (რკინის გზის სპეციფიურ თავისებურობათა გათვალისწინებით) 1929—30 სამოსწავლო წელს პარტიულ სკოლათა ქსელის გაშლისათვის და იმისათვის, რომ თავის დროზე უზრუნველყოფილ იქნას ეს ქსელი საჭირო სასწავლო სახელმძღვანელოებით. მთავარი ყურადღება მიექცეს დაუსწრებელი თვითგანვითარების საქმის დაყენებას. ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს და საგზაო კომიტეტს ევალება გამოიმუშაონ ღონისძიებანი თვითგანვითარების პროფტეხნიკური წრეების დასაარსებლად.

საერთო ზრდისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო, ადგილი აქვს ნაციონალისტური სულისკვეთების ერთგვარ ზრდას მუშათა ცალკე ჩამორჩენილ ჯგუფებში ტრანსპორტზე, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც თავს იყრიან სხვადასხვა ეროვნების მუშები. ამიტომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ნაციონალიზმთან (როგორც ადგილობრივ, ისე დიდმპყრობელურ ნაციონალიზმთან), რა სახითაც არ უნდა იჩინოს მან თავი და ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი. პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ადგილებზე უნდა მოაწყონ ხოლმე ექსკურსიები ერთი რესპუბლიკიდან მეორეში იმ მიზნით, რომ ერთი ეროვნების მუშები გაეცნონ მეორე ეროვნების მუშების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს და გაძლიერდეს ინტერნაციონალური კავშირი.

კლუბებში უნდა გამართოს ინტერნაციონალური კავშირის საღამოები. მუშაობა ინტერნაციონალური აღზრდისათვის არ უნდა ატარებდეს საკამპანიო ხასიათს, იგი დაკავშირებული უნდა იყოს რკინის გზის უჯრედის პრაქტიკული ყოველდღიური მუშაობის მთელ სისტემასთან.

4. ტრანსპორტზე მუშაობის ერთ-ერთ თავისებურებას, რომელიც განსაზღვრულ სიძნელეებს ჰქმნის ყველა სახის მუშაობის გაშლაში, წარმოადგენს ისეთი მუშების დიდი კადრის არსებობა (60—70 პროც.), განსაკუთრებით გზის მუშებს შორის, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ და რომელთაც წარმოებაში შეაქვთ ჩამორჩენილი გლეხური სულისკვეთება (გულგრილი დამოკიდებულება რკინის გზის მეურნეობისადმი, მტაცებლური, ვიწრო-ცეხური, ნაციონალისტური სულისკვეთება და სხ.) პარტიული და პროფორგანიზაციები არ ითვალისწინებდნენ მუშების ამ ჯგუფებს შორის მუშაობის სპეციფიურ თავისებურებებს და თავიანთ მუშაობას აწარმოებდნენ საერთო შაბლონით, მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს არ უფარდებდნენ მუშათა ამ ჯგუფის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დაკმაყოფილებას, ბრძოლას მათ შორის ანტიპროლეტარული სულისკვეთების წინააღმდეგ და სხ.

ამ ჯგუფის მუშებს შორის მუშაობის საქმეში პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წინაშე სდგას ორგვარი ამოცანა: 1) მათი აქტიურად ჩაბმა საზოგადოებრივ, განსაკუთრებით, საწარმოს ცხოვრებაში, მათი აღზრდა ნამდვილი პროლეტარული იდეების მიხედვით და 2) მათი საშუალებით პროლეტარიატის კავშირის განმტკიცება გლეხობის ძირითად მასებთან, პროლეტარული გავლენის განმტკიცება სოფლად. მათ შორის მუშაობის გაძლიერებით ყველა დარგში (საწარმოო კომისიებში და საწარმოო თათბირებში ჩაბმა. შრომის დისციპლინის ამაღლება, კულტმუშაობის გაშლა-განვითარება).

სოფლად მცხოვრები მუშების სპეციალურად მოწვეულ კრებებზე, აგრეთვე სადილობისათვის, მუშაობის შეწყვეტის დროს ახსნა-განმარტებულ უნდა იქნას პარტიის ძირითადი დირექტივები როგორც წარმოების (თვითღირებულების შემცირება, წარმოების რაციონალიზაცია და სხ.), ისე სოფლის მეურნეობის დარგში (სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კონტრაქტაცია, მიწადმოწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რაობა და მნიშვნელობა, სასოფლო- სამეურნეო გადასახადის შეცვლა,მოსავლიანობის გადიდება, ნათესი სივრცის გაფართოვება), რათა ისინი სოფლად გადაიქცნენ აქტიურ მუშაკებად სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის, კოლმეურნეობათა, სამანქანო და მერძევეობის ამხანაგობათა და სხ. მოწყობის ინიციატორებად, რათა მათ პირველებმა შეუერთონ თავიანთი მეურნეობა და ოჯახი ამ გაერთიანებას, მისცენ ამით მაგალითი სხვა გლეხებს და ამასთან, ერთად გლეხებს განუმარტონ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი სოფლად მუშაობის სფეროში.

პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მასიური მუშაობა, სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებით, უნდა გაიშალოს იმ სოფლებშიაც, სადაც სცხოვრობენ მუშების დიდი კადრები. უნდა გამოიყოს სოფლად მომუშავე მუშა-აქტივისტების კადრი. რომლებიც მუშაობის ადგილას განთავისუფლებული იქნებიან საზოგადოებრივი დატვირთვისაგან (საზოგადო პარტიული და მუშათა კრებების გარდა) და აწარმოებენ მუშაობას სოფლად ცალკე დარგებში. ამ მუშების წინაშე უნდა დაისვას სოფლის აქტივის შექმნის და სოფლად ყველა სახის მუშაობაში ჩაბმის ამოცანა.

იმ სოფლებში, სადაც 10 და მეტი პარტიული სცხოვრობს, უნდა გამოიყონ ჯგუფის ორგანიზატორები, რომელთაც დაეკისრებათ ისეთივე მოვალეობა, როგორიც ეკისრება ჯგუფის ორგანიზატორებს საწარმოში.

მთელი მუშაობა იმგვარად უნდა მოეწყოს, რომ არა მარტო სოფლად მცხოვრებ მუშებს, გაუწიოს სამსახური, არამედ სოფლის ორგანიზაციებსაც აღმოუჩინოთ დახმარება როგორც პარტიის დირექტივის გატარების, ღარიბთა და საშუალო გლეხთა კავშირის განმტკიცების, ისე გლეხობის ძირითადი მასების მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დაკმაყოფილების მხრივ.

რკინის გზის და საუბნო პროფკავშირთა საბჭოების ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულ უნდა იქნას სპეციალური თანხები ამ მუშაობისთვის.

5. პარტიული მუშაობის ძირითად ნაკლს მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის ხაზით შეადგენს ის, რომ პარტორგანიზაციებმა დღემდე არ გაშალეს ბრძოლა მემარჯვენე საფრთხის კონკრეტულ გამოხატულებასთან და ბრძოლას აწარმოებენ „საერთოდ", თუმცა პარტიის იმ ცალკე წევრებს შორის, რომლებიც ტრანსპორტზე მუშაობენ, შეიძლება გამოვნახოთ მემარჯვენე გადახრის გამოხატულების ბევრი ფაქტი.

ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან წარმოებულ უნდა იქნას არა „საერთოდ", არამედ კონკრეტული ფაქტების მიხედვით ამა თუ იმ რესპუბლიკის, ოლქის, მაზრის, უბნის ცხოვრებიდან. არც ერთი წუთით არ უნდა შენელდეს ბრძოლა მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ; პირიქით, ყოველგვარი საშუალებით უნდა გაძლიერდეს ეს ბრძოლა, რადგან, საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად, მემარჯვენე საფრთხე ჩვენი განვითარების ეხლანდელ სტადიაში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს პარტიის შიგნით. საგრძნობლად უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ტროცკისტების კონტრრევოლიუციონურ მუშაობასთან და ტროცკისტულ იდეოლოგიასთან, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებში, რომლებშიაც წინად ყველაზე უფრო იყო გავრცელებული ტროცკიზმი.

ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა რკინის გზის პარტორგანიზაციები უნდა უზრუნველჰყონ საჭირო მომზადებული ძალებით.

თვითკრიტიკა საგრძნობლად უნდა გაიშალოს მუშაობის ყველა სფეროში. საჭიროა ჯეროვანი ანგარიში გაეწიოს მუშების მითითებებს, რათა მათ მიერ მითითებული ყველა დეფექტი გამოსწორდეს რაც შეიძლება სწრაფად და რათა შეიქმნას სტიმული მუშების მეტი აქტივობისთვის. კედლის გაზეთებმა უნდა მიაღწიონ ისეთ პოპულარობას, რომ მუშებს შეეძლოთ გააკრიტიკონ „პიროვნებათა მიუხედავად". პარტორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა მისცენ პასუხისგებაში ის პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც აფერხებენ და ზღუდავენ თვითკრიტიკის გაშლას.

საჭიროა შესრულდეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მიმართვა, რომელშიაც ნათქვამია: „ამიტომ მხოლოდ შინაპარტიული და საპროფკავშირო დემოკრატიის თანმიმდევრობით გატარება, პარტიული და პროფკავშირთა ორგანოების არჩევის წესის სავსებით განხორციელება, კომიტეტის ყოველი მდივნის, ყოველი ბიუროს გადაყენების სრული შესაძლებლობა შეჰქმნის მასების მუდმივ კონტროლს და მოჰკვეთს ბიუროკრატიულ მეტ ხორცს ჩვენს აპარატში, მოსპობს ბიუროკრატიული შევიწროების, ძმა-ბიჭური შეთანხმების, ჩინოვნიკური მლიქვნელობის, მასების ინტერესების დავიწყების და მეშჩანური დამშვიდების ყოველგვარ გამოხატულებას".

6. ორგანიზაციების სოციალური შემადგენლობის შემდგომი ზრდის და მოწესრიგების საქმეში უნდა მოხდეს გადამჭრელი გარდატეხა, სპეციალური კამპანიების გამართვის ნაცვლად, საჭიროა ყოველდღიურ სისტემატიურ მუშაობაზე გადასვლა.

გათვალისწინებულ უნდა იქნას მუშათა კლასის შემადგენლობა ტრანსპორტზე (მცირე საწარმოო სტაჟის მქონე მუშები, რომლებიც გამოსულნი არიან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფიდან, არაკვალიფიციური მუშების დიდი რაოდენობა და სხვ.) და პარტიაში მიღებულ უნდა იქნან უმთავრესად კვალიფიციური მუშები დიდი საწარმოო სტაჟით, ისეთი მუშები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ისინი არიან აქტიური საზოგადო მუშაკები და სამაგალითო მომუშავენი წარმოებაში. სხვა პარტიებიდან გამოსულების მიღება პარტიაში (მუშებისაც კი) უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული შემოწმების საშუალებით, შერჩეულ უნდა იქნან ჩვენი პარტიისათვის ყველაზე უფრო ერთგული ელემენტები, რომელთათვისაც უცხოა ყოველგვარი მერყეობა პარტიის ხაზიდან და რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ისინი არიან აქტიური მოწინავე მუშები, იბრძვიან მუშათა ჩამორჩენილ სულისკვეთებასთან და სავსებით ერთგულნი არიან პროლეტარიატის საქმისა.

საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა პარტიაში ახლად მისაღებთა და პარტიის წევრობის კანდიდატთა შორის, უფრო თამამად დაეკისროს მათ სხვადასხვაგვარი მუშაობა, რათა პრაქტიკულად შემოწმდეს მათი ვარგისობა პარტიისათვის; სისტემატიურად იქნეს წარმოებული მუშაობა მათი ზოგად - პოლიტიკური და კულტურული დონის ასაწევად. ამასთან 1929—30 სამოსწავლო წელს ანბანის უცოდინარობების ლიკვიდაცია.

რადგან არსებობენ კანდიდატთა დიდი ჯგუფები, რომელთაც სტაჟის ვადა გაუთავდათ, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ერთი თვის განმავლობაში უნდა მოსპონ ეს არანორმალური მდგომარეობა: საუკეთესო მათგანი მიიღონ პარტიაში, ხოლო უვარგისი ელემენტები, რომელთაც ვერ შეასრულეს თავიანთი დანიშნულება, გამორიცხონ კანდიდატთა შემადგენლობიდან.

7. წინადადება მიეცეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებას და საკავშირო ახალ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს — ამ დირექტივების მიხედვით დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ქალებს შორის და ახალგაზრდა მუშებს შორის მუშაობის გასაძლიერებლად.

მუშათა ინიციატივა საბჭ. აპარატის წმენდაში

მოვამზადოთ მუშათა ახალი კადრები საბჭოთა აპარატიდან გაწმენდილთა შესაცვლელად

გავაძლიეროთ მუშაობა დასაწინაურებელ მუშათა შორის

დაწინაურებულმა მუშამ გაამართლა იმედები

თელავში აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა ძველ დროსაც არსებობდა. იგი ეკუთვნოდა კერძო პირებს, რომელნიც დიდი მოგების მიზნით საშინელ ექსპლოატაციას უწევდნენ მუშებს. ომის წინა ხანებში ეს ქარხანა დაიხურა და მხოლოდ 1926 წელში აღდგენილ იქნა სულ ახალ საფუძვლებზე. პრიმიტიული მანქანები შესცვალა ტექნიკის უკანასკნელმა მიღწევამ, იტალიიდან გამოწერილი დაზგები და სხვა მოწყობილობა დადგმული იყო იტალიელ ოსტატების მიერ.

ქარხანაში მუშაობენ უმთავრესად ქალები. მათი რიცხვი 300-ს უდრის. ჯერ-ჯერობით მოწყობილია 52 ტაშტი. მუშაობა სწარმოებს ორ ცვლად. 1 მაისიდან შემოღებული 7 საათის სამუშაო დღე. ფაბრიკის გამგის დაწინაურებულ მუშის ამხ. **ნასყიდა ნონიკაშვილის** სიტყვით, იმდენათ არის ჩატარებული დროის რაციონალიზაცია, რომ ქარხანას თითქმის იმდენივე ხანი აქვს მუშაობისათვის, რამდენიც წინეთ ჰქონდა. მაგალითად, საყვირის მიცემა წინედ ხდებოდა დილით და სადილობის წინ სწორედ მაშინ, როდესაც სამუშაო შეჩერებული იყო. ეხლა შემოღებულია სხვა წესები: უკანასკნელი საყვირი 5 წუთით წინ იძლევა და ამ ხნის განმავლობაში ყველა აწრებს ადგილებზე მისვლას. აქ საგრძნობი ეკონომია გვაქვს.

მოწესრიგებულია პურის განაწილებაც, კარების ჩამატებით სასიარულო გზის შემოკლება და სხვა. საერთოდ განმტკიცებულია შრომის დისციპლინა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თუ 1926 წელს თითო მუშაზე მოდიოდა 484 გრამი ძაფი დღიურად, 1928 წელში—607 გრ. იყო და დღეს უკვე 631 გრამამდი ავიდა.

ფაბრიკას ეტყობა ერთგვარი გამოცდილების შეძენა. მუშები ძველებურად არ ირევიან. ყველა თავის საქმეს აკეთებს, არ არის ძველებურად გაუთავებელი ხმაურობა და სხ. ეზოსაც ლაზათი დაეტყობია: ნახშირის გროვა, რომელიც მუდამ აქ ეყარა გადატანილია კუთხეში შემოფარგლულ ალაგას. 1027—28 წელში ქარხანას ჰქონდა ამოცანა დაემზადებია — 151101 კილო ძაფი. დამზადდა კი 16098 გრამი ე. ი. გეგმა შესრულდა 109 პროც. ეს ახალი ქარხნისათვის თვალსაჩინო მიღწევაა.

მთელი ფაბრიკის დატვირთვისათვის საჭიროა 4.000 ფუთი მშრალი პარკი, ჯერ-ჯერობით კი კახეთის მაზრა ამდენს არ იძლევა. ამიტომ ნაწილობრივ პარკი შემოაქვთ იმერეთიდან. ორიოდე წლის შემდეგ ნავარაუდევია, რომ ქარხანას ადგილობრივი მოსავალი სავსებით დააკმაყოფილებს.

უარყოფითი მხარეებს ეკუთვნის შენობის ნაწილობრივ შეუფერებლობა, რის გამო ძნელია დაცვა სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებისა ფაბრიკას არა აქვს ბინა კრებებისათვის, არა აქვს საკუთარი აბანო. უკანასკნელი განზრახულია მოეწყოს მიმდინარე წელს.

ალაზნელი.

როგორ უნდა იმუშაონ მუშათა ბრიგადებმა

საქართველოს პროფსაბჭომ შეიმუშავა საბჭოთა აპარატის წმენდასთან დაკავშირებით სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან გამოყოფილ მუშათა ბრიგადების დებულება, რომლის მიხედვით მუშათა ბრიგადები ეწყობიან საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან და მიზნათ ისახავენ მუშათა ახალი კადრების მომზადებას ადმინისტრატიულ-სამეურნეო სამუშაოზე დასაწინაურებლად.

ბრიგადები დანაწილდებიან ჯგუფებად, რომლებიც მიმაგრებული იქნებიან ამა თუ იმ ორგანიზაციის ცალკე განყოფილებებზე, ნაწილებზე და ავტონომიურ ერთეულებზე. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ამ ორგანიზაციების სხდომებსა და თათბირებში, დეტალურად გაეცნობიან მათ სტრუქტურას, შეისწავლიან მათი მუშაობის ცალკე საკითხებს და სხ. ჯგუფები მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე გამოკვლევებში, შეასრულებენ ცალკე დავალებებს, მისცემენ სხვადასხვა საკითხებზე დასკვნებს და სხვ.

მუშათა ბრიგადების წევრები სარგებლობენ სათათბირო ხმით იმ ორგანიზაციების ყველა თათბირებსა და სხდომებზე, სადაც ისინი არიან მიმაგრებული. ეს ორგანიზაციები ვალდებულნი არიან აცნობონ მიმაგრებულ ჯგუფებს თათბირებისა და სხდომების დრო და ადგილი, დღის წესრიგი და მიაწოდონ მათ სხდომებისა და თათბირებისათვის ყველა საჭირო მასალა. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება აზრთა სხვადასხვაობას ერთის მხრივ მუშათა ჯგუფის ან მის მონაწილეებს და მეორეს მხრივ თათბირის ან სხდომის სრულუფლებიან წევრებს შორის, ან თუ განყოფილების, ნაწილის, ავტონომიური ერთეულის და სხვა ხელმძღვანელი არ დაეთანხმება მუშათა ბრიგადების მონაწილეების დასკვნას, უკანასკნელთ შეუძლიათ სადაო საკითხები გადაიტანონ ბრიგადის ბიუროში განსახილველად, რომელიც საკითხს შეუთანხმებს ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

მუშათა ბრიგადების მუშაობას მიმართულებას აძლევს და მათ წარმომადგენლობას პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალურ და სხვ. ორგანიზაციებში კისრულობს მუშათა ბრიგადის ბიურო 5 კაცის შემადგენლობით, რომელთაგან ორი უნდა იყოს თვით მუშათა ბრიგადიდან და თითო ადგილკომიდან, პარტუჯრედიდან და სამეურნეო ორგანიზაციიდან.

თავის ფუნქციებს ბრიგადები და ბიუროები ასრულებენ წარმოებაში ჩვეულებრივ სამუშაოსაგან თავისუფალ დროს და მუშაობისათვის არავითარ გასამრჯელოს არ მიიღებენ.

მუშათა ბრიგადების მონაწილემ 3 თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩააბაროს ანგარიში იმ წარმოების საერთო კრებას ან ქარხკომს, რომელმაც იგი გამოჰყო.

ბიურო პერიოდულათ, სამ თვეში ერთხელ მაინც, ანგარიშს აბარებს მუშათა ბრიგადას და ადგილკომს მუშაობის საერთო მსვლელობის და მდგომარეობის შესახებ.

ბრიგადისა და ბიუროს მუშაობაზე ხელმძღვანელობა ეკისრება ადგილკომს, რომელმაც იმ სამეურნეო ორგანოსთან ერთად, სადაც ბრიგადა მუშაობს, უნდა მიიღოს ყველა ზომები მონაწილეების მუშაობისათვის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად.

ადმინისტრაცია აფერხებს მუშათა დაწინაურებას

ამ რამოდენიმე ხნის წინად მოძრაობის დარგის მეორე განყოფილებაში მოხდა ოცი ათასამდე მან. გაფლანგვა. გამფლანგველები ყველანი დატუსაღებული იქნენ, მაგრამ ამით მომავალი მუშაობა ვერ გამოსწორდება. გამფლანგველების დატუსაღების გამო განთავისუფლებული იყო რამოდენიმე ადგილი. ამ თანამდებობაზე ადგილობრივ პროფორგანიზაციებმა წამოაყენეს სათანადოთ მომზადებული მუშაკები, მაგრამ არც ერთი მათგანი ადმინისტრაციამ არ დაუშვა სამუშაოზე. რკ. გზის სამმართველოს ერთი რომელიღაც ბიუროკრატის წყალობით პროფკავშირთან შეუთანხმებლად ქუთაისიდან გადმოიყვანეს ვინმე მესხი.

ამის შესახებ სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომმა მოსწერა განყოფილების უფროს ამხ. ვლასა ბაომიძეს, რომ რადგან კავშირი არ ათანხმებს ამხ. მესხის გადმოყვანას, უკანასკნელი მოხსნილი უნდა იქნეს სამსახურიდანო. ადმინისტრაციამ ვერ შეასრულა ადგილკომის მოწერილობა. ეს ამბავი ეცნობა საუბნო კომიტეტს, რომლის პრეზიდიუმი კატეგორიულად მოითხოვს მესხის მოხსნას მეორე განყოფილებიდან და მის ადგილას ადგილობრივი პროფორგანოს მიერ წამოყენებული ამხანაგის დანიშვნას. მაგრამ არც ეს მოთხოვნილება დააკმაყოფილა რკ. გზის ადმინისტრაციამ. აქედან ნათლად სჩანს, რომ საქმე გვაქვს ნათლიმამობასთან და პურმარილთან.

საგზაო კომიტეტმა ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება. ადგილკომი კატეგორიულად მოითხოვს მესხის მოხსნას და მის ადგილას ადგილობრივი კანდიდატის დამტკიცებას:

ი. არუესპირელი.

მეტი ყურადღება სტაჟიორებს

გასულ სამეურნეო წელს, როგორც სხვა დაწესებულებებში, ისე რკინის გზაზეც გაგზავნილი იყვნენ ტექნიკუმებისა და უნივერსიტეტ - დამთავრებულები სტაჟიორებათ. საერთო დებულებისა და რკინის გზაზე განსაკუთრებული ბრძანების (7 ივლისი 1927 წ. № 9593) თანახმად, სტაჟის ვადა განსაზღვრულია 1 წლით. ვადის გათავების შემდეგ სტაჟიორი უნდა გადარიცხული იყოს მუდმივ შტატში. ამის შესახებ გზათა სახალხო კომისარიატის მიერ კიდეც არის გამოქვეყნებული სათანადო ბრძანება (29—7—1928 წ. № 803), რომლის თანახმად რკინის გზაზე მომუშავე სტაჟიორი, აუცილებლად უნდა გადარიცხული იყოს მუდმივ შტატში ან ადგილობრივად, ან სხვა რომელიმე ქალაქში.

თუ აღნიშნულ საბუთებს კიდევ დაუმატებთ ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის მიმდინარე წლის 20 ივნ. განმარტებას, რომელიც ამავე აზრს იზიარებს, მაშინ ყოველ წარმოებისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ სტაჟიორის სამსახურიდან მოხსნა და უადგილოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია. ასეთი მოვლენები კი ხშირია რკინის გზის მრავალ სამეურნეო ერთეულში.

საჭიროა კავშირმა და შრ. სახალხო კომისარიატმა დროზე მიაქციოს ყურადღება შრომის კანონის დარღვევას და შეაგნებინოს წარმოება-დაწესებულებებს, რომ სტაჟიორები მათ თანამშრომელთა შტატის განუშორებელი ნაწილია და არა „უკანონო შვილი“, როგორც ეს ზოგ ადმინისტრატორს ჰგონია.

ია.

მოსპო კინკლაობა

ბორჯომის სამაზრო პროფბიუროს თავმჯდომარე ამხ. ზაქრო ხაჩიძე დაწინაურებული მუშაა. ბორჯომის ჩამწყობი ქარხანაში იგი მუშაობდა 12 წელიწადი დაზგის მუშათ. უნდა ითქვას რომ, როდესაც ამხ. ხაჩიძე არჩეული იქნა პროფბიუროს თავმჯდომარეთ, ყველას უკვირდა, რომ იგი ამ თანამდებობას ვერ შეასრულებდა, მაგრამ მუშაობის პროცესში ამხ. ხაჩიძემ გაამართლა მუშების იმედები. დღიდან მისი დაწინაურებისა პროფბიუროში, მუშაობა გამოცოცხლებულია.

1925 წლიდან პროფკავშირების თავმჯდომარეებათ მეტი წილი იყვნენ მოსამსახურეები. ხშირი იყო კინკლაობა და ინტრიგა. დღეს როგორც პროფბიუროს შემადგენლობაში, ისე პროფკავშირებშიც არავითარ კინკლაობას და ინტრიგას ადგილი არა აქვს.

ამხ. ხაჩიძე ამჟამად ასრულებს ბორჯომის დამზღვევი სალაროს თავმჯდომარის მოვალეობასაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის მომავალშიც პირნათლად შეასრულებს დაკისრებულ საქმეს.

გაგო.

ჩვენი მუშაობა უმჯობესდება

სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის წყალსადენმა თუ არ გადააჭარბა, ყოველ შემთხვევაში არც ჩამორჩა თბილისის სხვა მსხვილ საწარმოებს. შეჯიბრების ჩამტარებელი კომისია შესდგა წარმოებასთან დაახლოებულ და დაინტერესებულ მუშებისაგან, რომელთაც ენერგიულად მოჰკიდეს ხელი საქმეს. მიიღეს მოსკოვის წყალსადენის გამოძახილი, გამოუძახეს ბაქოს წყალსადენს, რომელსაც უკვე წარუდგინეს პროექტი ხელშეკრულებისა. 11 აგვისტოს გაემგზავრება მუშათა დელეგაცია ბაქოში ხელშეკრულების დასადებათ.

შეჯიბრების წარმატებით ჩასატარებლად ადგილობრივ მუშათა კლუბში მოეწყო სპეციალური კონსტრუქტიული მხატვრული კუთხე, სადაც აღნიშნულ იქნება შეჯიბრების ციფრობრივი ცნობები.—ყველა ამ საქმეებს მეთაურობს და უშუალო ხელმძღვანელობას უწევს დაწინაურებული მუშა, ამხ. დავლიანიძე.

საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ სპეცის თანამდებობაზე დაწინაურებულმა მუშა დავლიანიძემ ბევრი კარგი რამ გააკეთა და გაამარტივა საქმიანობა. დღეს წყალსადენში აღარ აქვს ადგილი ქაღალდების და სამუშაოთა დაგროვებას და საქმის გაჭიანურებას.

კოოპერატორი.

განმარტება

გაზ. „კომუნისტი“-ს მე-181 ნომერში მოთავსებული წერილი—სათაურით: „ვაჭრების კოლექტივი“—არ ეხება შრომის ბირჟასთან არსებულ—„წითელ საშაქარლამო“-ს ახალ გამგეს ამხ. ჯოხაძეს. წერილში ლაპარაკია კოლექტივის ძველ გამგეზე მოქ. სანდრო საყვარელიძეზე, რომელიც უკვე მოხსნილია თანამდებობიდან.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

სესხზე ხელის მოწერით შეკრებილი თანხების ბოროტად გამოყენებას ბოლო უნდა მოეღოს

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის კამპანიის ჩატარების დროს ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან შეცდომებს, რომლებიც ზოგჯერ ბოროტმოქმედებას უდრიდა. თანახმად არსებული დადგენილებისა, ყველა კოლექტივები და ბანკები (სას.-სამეურნეო კომუნალური შემნახველი სალაროები და სხვ.) ვალდებულნი არიან სესხზე ხელისმოწერის ანგარიშში შემოსული თანხები განსაზღვრულ ვადაში ჩააბარონ სახელმწიფო ბანკს. მიუხედავად ამისა, როგორც კოლექტივები, ისე ბანკები სისწორით არ ატარებენ ამ დადგენილებებს, ამიტომ, თანახმად საკავშირო ფინსახკომის მითითებისა, ა.-კ. ფინსახკომის მონაწილეობით რესპუბლიკანურმა ფინსახკომებმა ჩაატარეს ზოგიერთ კოლექტივების და ბანკების გამოკვლევა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში.

თბილისში ჩატარებულ იქნა შემდეგი ბანკების გამოკვლევა: სახელმწიფო, კომუნალური, ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო, საქ. სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, „ვსეკობანკ“-ი, შემნახველი სალარო და ფ.-ტ. კანტორის, გარდა ამისა ჩატარებული იქნა 33 კოლექტივის გამოკვლევა.

გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ საკრედიტო დაწესებულებებს თავის დროზე არ შეჰქონდა სახ. ბანკში ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელმოწერით შემოსული თანხები. მარტო კომუნალურ ბანკს ა. წ. თებერვლისათვის გაჩერებული ჰქონდა 234.212 მანეთი. გამოკვლეულ 33 კოლექტივში ხელმოწერის თანხა უდრიდა 378.809 მანეთს, აქედან ბანკში შეტანილი იყო 296.191 მანეთი და ხელმოწერის თანხის 21,8 პროცენტი კი ირიცხებოდა მათზე, ამას ზოგჯერ შედეგად მოსდევდა ინდუსტრიალიზაციის სესხის ფულების მითვისება და გაფლანგვა.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო, სადაც სესხის ხელის შემწყობი კომისიის წევრმა—მოლარემ სხვა ფულთან ერთად გაფლანგა სესხის ფული—808 მანეთი და მიიმალა. არც ხელისშემწყობ კომისიას, არც ადმინისტრაციას მისთვის რევიზია არ გაუკეთებია. მე-5 სტამბის ადგილკომში გაფლანგული იქნა ინდუსტრიალიზაციის სესხის 1.215 მანეთი, რაც გამოირკვა მხოლოდ მაშინ, როცა ადგილკომის მდივანმა თავი მოიკლა. ზოგიერთი დაწესებულებები ინდუსტრიალიზაციის სესხის თანხებს იყენებდნენ თავისი დაწესებულების ხარჯების საჭიროებისათვის, რაც აგრეთვე დაუშვებელია. მაგ., ახალშენებათა კომიტეტმა სესხის თანხების 17 პროცენტი, ხოლო „მკერავ“-მა კი 59 პროცენტი წარმოების საჭიროებისათვის მოიხმარეს. ასეთივე მოვლენებს ჰქონდა ადგილი თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში, აგურის წარმოებაში, „ცილსოიუზ“-ში, ავეჯეულობის ფაბრიკაში და სხვ.

ანალოგიურ მოვლენებს ადგილი ჰქონდა მაზრებშიც. მაზრებში გამოკვლეულ 622 კოლექტივის დავალიანება პირველი ივლისისათვის უდრიდა—191.288 მანეთს (ანუ მათ მიერ აკრებილ სესხის თანხების 14,7 პროცენტი). განსაკუთრებით თავი „ისახელა“ ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამ. გამოკვლევის დღეს აღნიშნული კანტორის სალაროში უნდა ყოფილიყო ინდუსტრიალიზაციის სესხის თანხა 21.887 მანეთის რაოდენობით, მაგრამ სალაროში აღმოჩნდა მხოლოდ 5.544 მანეთი, დანარჩენი თანხა კი ფ.-ტ. კანტორას ხელწერილების ქვეშ გაეცა სხვადასხვა პირებზე და დაწესებულებებზე სესხად. მაგ. მინერალურ წყლების გამგისათვის უსესხებია 2.000 მანეთი, აღმასკომისათვის—2.000 მანეთი, კოოპერატივისათვის—9.645 მან. და სხვა.

ამის მსგავსი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით (ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის კამპანიის ჩატარების დროს), ა.-კ ფინსახკომმა დაამუშავა ღონისძიებები, რომლებიც დასამტკიცებლად გადაეცა ა.-კ. სახკომსაბჭოს.

სესხის განაღდება სოფლად

საკავშირო სას.-სამ. ბანკმა წინადადება მისცა ყველა რესპუბლიკანურ სას.-სამ. ბანკებს, რათა სასოფლო-სამეურნეო ბანკებში და საკრედიტო ამხანაგობებში საფონდო ოპერაციების უკეთესად წარმოების მიზნით მათ გამოყონ სპეციალური მუშაკები;

ამიერ-კავკასიის მასშტაბით ამჟამად არის სულ 330 სას.-სამ. ბანკი და საკრედიტო ამხანაგობა. სესხის გავრცელების საქმეში მათ უდიდესი მუშაობის ჩატარება შეუძლია სოფლად, რის გამო საკავშირო სას.-სამ. ბანკი, წინადადებას აძლევს ა.-კ. სას.-სამ. ბანკს და რესპუბლიკანურ ბანკებს, რათა ამ უკანასკნელებმა პერიოდულად შეამოწმონ თავიანთი ინსტრუქტორების საშუალებით ადგილობრივი სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების მუშაობა.

ამასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატი იწვევს სას.-სამ. ბანკების მუშაკთა თათბირს.

ხელს უწყობენ ინდუსტრიალიზაციას

თბილისში

დიასახლის ქალის ამხ. არიგოვის ინიციატივით შესდგა ნავთლუღის რაიონის დიასახლის ქალების კრება, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა, ყველა დიასახლის ქალმა შეიძინოს სესხის ობლიგაციები. კრების დამთავრების შემდეგ იქვე ხელი მოაწერეს ათ-ათ მანეთიან სესხის ობლიგაციებზე 13 დიასახლისმა. ამავე კრებამ გამოიწვია ტყავტრესტისა და საპონ-ზეთის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრი-დიასახლისები ობლიგაციების შეძენაში.

—:—

ამ დღეებში შესდგა თბილისის რადიოკვანძის—საგარეჯოს რადიო-მიმღებ სადგურის მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის შესახებ. რადიო-სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს გადასდონ ერთი თვის ხელფასი მესამე სესხის ობლიგაციების შესაძენათ. გარდა ამისა, დამატებით კიდევ ერთი თვის ხელფასზე თავიანთი სურვილით ხელი მოაწერეს რადიო-სადგურის გამგე აკიმოვმა, სმალიანოვმა და დარაჯ ქალმა ფ. ინაშვილმა. ამავე კრებამ გამოიტანა დადგენილება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების კოლექტიურად შენახვაზე.

—:—

ამიერ-კავკ. სამხედრო სკოლის კურსანტები დიდის აღფრთოვანებით გამოეხმაურენ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვებას. დღემდე კურსანტებმა და სკოლის მეთაურებმა სესხზე ხელი მოაწერეს 86.236 მანეთის რაოდენობით. ხელის მოწერა კვლავ გრძელდება. სკოლის ლოზუნგია: არც ერთი კურსანტი და მეთაური არ დარჩეს მესამე სესხის გარეშე.

ადგილებზე

ჭიათურაში

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაცია ჭიათურის ქარხანა-მაღაროების მუშებში, განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს, მუშები აღტაცებით ხვდებიან ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის მიღებულ ღონისძიებას—მე-3 სესხს.

მუშათა საერთო კრებებზე აღნიშნავენ, რომ სოციალისტური მშენებლობის გაძლიერება საუკეთესო პასუხი იქნება მსოფლიო იმპერიალისტური ბურჟუაზიის ცდაზე—შექმნან გაერთიანებული ფრონტი საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის.

ამასთანავე მთელ საწარმოო რაიონში მუშებს გამოაქვთ დადგენილებები—ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შენარჩუნებისათვის კოლექტიური შენახვით.

—:—

სამტრედიის ძაფსალები ქარხნის მუშებში

ჩვენ, სამტრედიის ძაფსალებ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა მოვისმინეთ რა მოხსენება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ, პირობას ვდებთ ხელი შევუწყოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის ჩქარი ტემპით განვითარებას. განვამტკიცოთ დისციპლინა, ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება და შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება. ქუთაისის ძაფსალები ქარხნის მუშების გამოწვევას ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერის შესახებ ვიღებთ და ჩვენის მხრივ სესხზე ხელს ვაწერთ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით და ვიწვევთ ნუხის ძაფსალებ ქარხნის მუშებს ამავე რაოდენობით სესხის შეძენაზე.

—:—

ახალ-სენაკის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკები ხელს ვაწერთ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ორ-ორი თვის ჯამაგირის რაოდენობით და ვიწვევთ ფოთის, სოხუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, სამტრედიის და აბაშის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებს.

მუშკორი.

სესხის ქრონიკა

განაღდებულია 8.850.000 მან. ობლიგაცია

ა.-კ. ფინსახკომის ცნობით, ა. წ. 13 აგვისტოსათვის ხელმოწერა უდრის: აზერბეიჯანში—4.300.000 მანეთს (ბაქოში 3 ნახ. მილ. მანეთს), საქართველოში 3.300.000 მანეთს, (თბილისში—1.950.000 მანეთს) და სომხეთში —1.250.000 მანეთს (ერევანში 750.000 მანეთს).

საქ. ფინსახკომში

საქ. ფინსახკომმა უკვე დაამთავრა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ არსებული მასალების გადათარგმნა. ნაწილი მასალებისა დაგზავნილია ადგილებზე, ხოლო დანარჩენ ადგილებს დაეგზავნება 1 კვირის განმავლობაში.

საბჭოთა აპარატის წმენდისათვის

მოსამზადებელი მუშაობა მილიციის სამმართველოში

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა კლუბში შესდგა ნახევრად სამხედრო სექციის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ვარდანიანის (მუშგლეხინი და პროფსაბჭო) მოხსენება საბჭოთა აპარატის წმენდისათვის მოსამზადებელ მუშაობის შესახებ მილიციის სამმართველოში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მილიციის სამმართველოში წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობა სუსტად მიმდინარეობს, თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებასთან სულ ათი დღეა, რაც დაარსებული იქნა წმენდის დამხმარე კომისია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომისიის არსებობა მილიციის მუშაკების მეტმა ნაწილმა და თვით ადგილკომის ზოგიერთ წევრმა დღესაც არ იცის. აქედან ცხადია, რომ ახსნა-განმარტებითი მუშაობა და ფართე აგიტაცია საბჭოთა აპარატის წმენდის მნიშვნელობის შესახებ არ სწარმოებს. მილიციის მუშაკები დაკმაყოფილებულან მხოლოდ ერთი მოხსენების მოსმენით წმენდის შესახებ. მილიციის მუშაკთა ადგილკომს დღემდე არ მიუღია ზომები საბჭოთა აპარატის წმენდის იდეის პოპულარიზაციისათვის მილიციის მუშაკთა შორის. მილიციის აპარატის და ცალკე მუშაკების მუშაობა და მათი სოციალური მდგომარეობა არ არის შესწავლილი; არ არსებობს პლაკატები, ლოზუნგები და სხ. ვერ შევხვდებით აგრეთვე სპეციალურ საჩივართა ყუთებს.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრატიულ განყოფილებასთან წმენდის დამხმარე ცენტრალური კომისიის არჩევა არ მოხდა მილიციის მუშა- მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებაზე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო საბჭოთა აპარატის წმენდის ინსტრუქციით, არამედ კომისია წარმომადგენლობით საფუძვლებზე დაარსებულ იქნა მექანიკურად. სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ მილიციის მუშაკებმა წმენდის დამხმარე ცენტრალური კომისიის არსებობა დღემდე რიგიანათ არ იციან. აქედან კი გამომდინარეობს წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობის არანორმალურად მიმდინარეობა.

კამათის დამთავრების შემდეგ სხდომამ გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი მილიციის სამმართველოში წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობის გასაცხოველებლად.

თბ. აღმასკომის პრეზიდიუმში

თბ. ოლქის დარაიონება

გუშინ ამხ. ვ. ავაქოვის თავმჯდომარეობით შესდგა თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც თბ. ოლქის დარაიონებისა და მისი სტრუქტურის შესახებ მოხსენებები გააკეთეს ამხ. გავაშელმა და ნუცუბიძემ.

მოხსენების მოსმენის შემდეგ პრეზიდიუმმა დაადგინა: თბილისის ოლქში დაარსებული იქნეს 12 რაიონული აღმასკომი და 85 სასოფლო საბჭო.

რაიონულ და სასოფლო საბჭოების ჩამოსაყალიბებლად მაზრაში გაიგზავნება 12 პასუხისმგებელი ამხანაგი, რომელთაც ევალებათ გლეხობას გააცნონ დარაიონების მნიშვნელობა და იმავე დროს უხელმძღვანელონ სასოფლო საბჭოების მოწყობას და რაიონულ საბჭოების ჩამოყალიბებას თავის აღმასკომებით.

რაიონულ საბჭოთა აპარატების მოწყობა უნდა დაიწყოს 20 აგვისტოს და დამთავრდეს 1 სექტემბრისათვის.

რაიაღმასკომის სტრუქტურა დაახლოებით ასეთი იქნება: საფინანსო და ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებათა ხელმძღვანელობა ეკისრება რაიაღმასკომის თავმჯდომარეს, საადგილ-მამულო განყოფილების ხელმძღვანელობა—თავმჯდომარის მოადგილეს, სახალხო განათლების რწმუნებულობა დაევალება ადგილობრივ არსებულ უმაღლეს ტიპის სკოლის გამგეს, სახალხო ჯანმრთელობის საქმე—საავადმყოფოს, ან საექიმო პუნქტის გამგეს; ადმინისტრატიული ნაწილის გამგებლობა—რაიმილიციის უფროსს.

რაიაღმასკომის შტატი: 1) თავმჯდომარე, 2) თავმჯდომარის მოადგილე, 3) მდივანი, 4) საქმის მწარმოებელი, 5) ტექნიკოსი, 6) სტატისტიკოსი, 7) მემანქანე, 8) ბუხჰალტერი, 9) მოლარე-მოანგარიშე, 10) დარაჯი, 11) მეჯინიბე.

ზოგიერთ აღმასკომის შტატში აგრეთვე იქნება მოანგარიშე ცალკე და რეგისტრატორი.

საადგილ-მამულო განყოფილებაში იმუშავებენ: რაიაგრონომი, მიწათმომწყობი, ბეითალი და ტყის გამგე. ეს უკანასკნელი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტზე.

ადმინისტრატიულ ნაწილში შევა: მილიციის უფროსი, მილიციის უფროსის 2 თანაშემწე, უფროს და უნცროსი მილიციელები, საქმის მწარმოებელი, მემანქანე და სამხედრო მაგიდის გამგე.

უფროს და უნცროს მილიციელთა რაოდენობა განსაზღვრული იქნება რაიონის სივრცისა და მოსახლეობის რიცხვთან შეფარდებით.

გერმანელი მუშკორი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ერთ-ერთი გერმანული კომუნისტური გაზეთის მუშკორი ამხ. ფრიც აბგერი. იგი გამოგზავნილია საბჭოთა კავშირში აღნიშნული გაზეთის დავალებით, რომ გაეცნოს სოციალისტური მშენებლობის საქმეს და შეისწავლოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრება.

— გერმანიაში, ყველა ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული გაზეთები,—განაცხადა ამხ. აბგერმა,—ავრცელებენ ჭორებს და სიცრუეს საბჭოთა კავშირის შესახებ. ამ ჭორების გავრცელებამ უკანასკნელ ხანებში ფართო ხასიათი მიიღო და მე დამავალეს საბჭოთა კავშირის შესახებ სრული სიმართლე გადავსცე გერმანიის მუშათა კლასს კომუნისტური გაზეთების საშუალებით

სოციალ-დემოკრატიული გაზეთები სისტემატიურად აქვეყნებენ ცნობებს [illegible] საბჭოთა კავშირში [illegible] ჰქონდეს საყოველთაო შიმშილს, აჯანყებებს და სხვა. მე პირადად ვმუშაობ ერთ-ერთ ავეჯეულობის ფაბრიკაში. ჩვენი ფაბრიკის მუშების უმრავლესობა წინეთ სოციალ-დემოკრატებს თანაუგრძნობდა, მაგრამ რაც დრო გადის მუშები თან და თან რწმუნდებიან სოციალ-დემოკრატების მოღალატეობაში და გადადიან კომუნისტური პარტიის მხარეზე.

დასასრულ ამხ. აბგერმა აღნიშნა, რომ გერმანიის მუშები სიმპატიით უყურებენ საბჭოთა კავშირს. და სოციალ-დემოკრატიული პრესის პროვოკაციული გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აიხსნება მათი სურვილით გააქარწყლონ მუშებში ასეთი განწყობილება, საბჭოთა კავშირის მიმართ.

წითელი არმიის მანევრების წინ

პროფკავშირების მონაწილეობა მანევრებში

გუშინ შესდგა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა პროფკავშირების მონაწილეობის საკითხი კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მანევრებში.

სხდომამ დაამტკიცა პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მიერ წარდგენილი მანევრებში მონაწილეობის გეგმა.

გეგმის მიხედვით მანევრების დაწყებამდე კლუბებსა და წითელ კუთხეებში ჩატარდება ახსნა-განმარტებითი მუშაობა მანევრების ირგვლივ, გაკეთებული იქნება მოხსენებები მანევრების მნიშვნელობაზე წითელი ჯარისათვის და იმ მუშაობაზე, რომელიც იწარმოებს მანევრების დროს.

პროფსაბჭო გამოსცემს სპეციალურ ფურცლებს მოსახლეობის და წითელ არმიელთა შორის გასავრცელებლად. ფურცლებში აღნიშნული იქნება მანევრების მნიშვნელობა და ის მიზნები, რომლებსაც ისახავენ არმიის მანევრები.

მოკლე ხანში მოწვეული იქნება კულტკომისიების გამგეების თავმჯდომარეთა გაფართოებული კონფერენცია, რომელიც განიხილავს მანევრებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს.

პროფსაბჭო, ავიაქიმთან ერთად, მიიღებს მონაწილეობას მუშათა ბატალიონების ორგანიზაცია-ჩამოყალიბებაში.

მანევრებზე მოსული წითელი ჯარის ნაწილების შესახვედრათ და წითელ არმიელთა შორის კულტურული მუშაობის საწარმოებლად, პროფკავშირები წითელი ჯარის პოლიტსამმართველოსთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას საგიტაციო პუნქტების მოწყობაში გორსა და ნავთლუღში.

3 სექტემბერს, მანევრების დამთავრებისას პროფკავშირების კლუბებში გაიმართება მუშებისა და წითელ არმიელების დაახლოების საღამოები.

სხდომაზე არჩეულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ორი დღის განმავლობაში შეიმუშაოს დაწვრილებითი ღონისძიებები მანევრებში მონაწილეობის ირგვლივ და შეადგინოს საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

კომისიაში არჩეულ იქნენ ამხ. ფანცულაია, ვ. სიხარულიძე, ე. კშონძერი, არუთინოვი და ა. წილოსანი (ავიაქიმიდან).

სამზადისი მანევრებისათვის

ამიერ-კავკ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს მიიღონ უახლოესი მონაწილეობა წითელი არმიის მანევრების ორგანიზაცია-ჩატარებაში.

თავის მიმართვაში რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებისადმი, ამიერ-კავკ. პროფსაბჭო ავალებს მათ გაუწიონ დახმარება ავიაქიმს მუშათა ათასეულების მომზადების საქმეში.

—:—

რადიოს მეგობართა საზოგადოება მანევრებში მონაწილეობის მისაღებად გზავნის მორზისტებს და რადიო-წრეების წევრებს.

რადიოს მეგობართა საზოგადოება მანევრების მიდამოებში მოაწყობს მიმღებ სადგურს და 3 ხმა-მაღლა მოლაპარაკეს, რომლებზედაც იმუშავებენ საზოგადოების წევრები.

—:—

მუშათა ათასეულების ორგანიზაცია და მათი დაყოფა ცალკე ერთეულებათ დამთავრდება 22 აგვისტოს, რის შემდეგ იწარმოებს მათთან სისტემატიური სამხედრო ხასიათის მეცადინეობა.

—:—

თბილისის წითელი არმიის სახლის მიერ მანევრებზე მივლინებული იქნება მოძრავი კლუბი და მომღერალთა ჯგუფი.

სახ. სამხედრო კინო-მრეწველობა მანევრებზე აწყობს მუდმივ და მოძრავ კინო სადგურებს. კინო-მრეწველობის მიერ მანევრებზე მოწყობილი იქნება 8 მოძრავი კინო-სადგური.

—:—

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მანევრებზე აწყობს საკვებ პუნქტებს. მანევრებში მიიღებენ მონაწილეობას აგრეთვე წითელი ჯვრის სანიტარული და პირველი დახმარების წრეები და რაზმები.

—:—

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრები იწარმოებს საქართველოს ტერიტორიაზე.

მანევრები დაიწყება 27 აგვისტოს და გასტანს 3 სექტემბრამდე.

მუშათა ათასეულები მიიღებენ მონაწილეობას მხოლოდ მანევრების უკანასკნელ ეტაპში 2 და 3 სექტემბერს.

საქართველოს პროფსაბჭოს და ავიაქიმის მიერ აღძრულია შუამდგომლობა შრომის სახ. კომისარიატების წინაშე, რათა აღნიშნულ დღეებში ათასეულებში მონაწილე მუშა-მოსამსახურენი განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან.

ახალგაზრდობის სამხედრო ლაშქრობა

17 აგვისტოს, მელითონეთა კავშირის ახალგაზრდობა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ახალგაზრდობასთან ერთად აწყობს სამხედრო ლაშქრობას.

ლაშქრობა ეწყობა სოფ. წყნეთის მიდამოებში თბილისიდან 7-8 ვერსის დაშორებით.

ლაშქრობაში მონაწილეობენ ქალებიც. ლაშქრობას ექნება სოციალისტური შეჯიბრების ხასიათი და მისი მიზანია, გამოარკვიოს ორივე კავშირის ახალგაზრდობის სამხედრო ცოდნა, მომზადება და გამძლეობა.

მოლაშქრეებმა თან უნდა წამოიღონ მშრალი საკვები.

ლაშქრობის ადგილას მოეწყობა აგრეთვე შეჯიბრება სროლაში, რბენაში და სხ.

თვითეულ მოლაშქრეს ექნება ვინტოვკა და 15 ცალი ვაზნა.

მოლაშქრენი თბილისიდან გაემგზავრებიან 17 აგვისტოს, ნაშუადღევს 3 საათზე. ლაშქრობა დამთავრდება მეორე დღეს საღამოს. ლაშქრობას ხელმძღვანელობას გაუწევს სპეციალური კომისია.

ამხ. ბარნაბ დაშნიანის ხსოვნას

ს. ჯვარისაში (რაჭა) მიწას მიაბარეს ამხ. ბარნაბ დაშნიანი. კ. პ. წევრი, აქტიური და დაუღალავი მუშაკი. ამხ. ბ. დაშნიანი დაიბადა უღარიბესი გლეხის ოჯახში. ბარნაბამ ბუგეულის 2 კლასიანი სასწავლებელი წარჩინებულად დაამთავრა — სიღარიბემ მას საშუალება არ მისცა სწავლის გაგრძელებისა და 1916 წელს შედის სადმელის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში მოსამსახურეთ. 1918 წელში ბარნაბა ეცნობა არალეგალურათ მომუშავე ამხანაგებს: ს. ბოჭორიშვილს, მ. კობახიძეს და სხვ. მათგან იგი ღებულობს არალეგალურ ლიტერატურას და კიდევაც ავრცელებს მას. 1919 წლიდან, როგორც ბოლშევიკი სხვა ამხანაგებთან ერთად აწარმოებს არალეგალურ მუშაობას. 1922 წელს იგი მიდის თბილისში და შედის არსენალში შავ - მუშად. ამავე წლის მარტში, გაწვეულ იქნა ჯარში — აქ მას ირჩევენ კომუჯრედის მდივნათ და ასრულებს სამხედრო კომისრის მოვალეობას. 1924 წლამდე. შემდეგ ბრუნდება თბილისში და ინიშნება სოც. უზრუნველყოფის კომისარიატში კანტროლიორის თანამდებობაზე. ამავე წელს იგი გაგზავნილ იქნა ცენტრალურ პარტ-სკოლაში სასწავლებლათ .1925 წელს ცეკას მიერ იგი გაგზავნილ იქნა დუშეთის სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორათ. ამის შემდეგ იგი გაგზავნილ იქნა ჩოპორტის რაი-პარტ-კომის პ.-მგ. მდივნათ.

საექიმო კომისიის მიერ ქალაქ დუშეთში ამხ. დაშნიანი შემოწმებული იქნა ჰლექით დაავადებულათ და გაგზავნილ იქნა დასასვენებლათ აბასთუმანში. შესვენების შემდეგ იგი მივლინებულ იქნა ამ.-კავკასიის საგანგებო კომისიის განკარგულებაში, რომელმაც იგი მიავლინა ქ. ქუთაისის ინფორ-პუნქტში თანამშრომლათ. ამხ. დაშნიანის ხანმოკლე სიცოცხლე სავსე იყო ნაყოფიერი საქმიანობით, მშრომელთა საკეთილდღეოთ. იგი იყო გულწრფელი, მიუდგომელი და თავდადებული მუშაკი. საშინელმა სენმა თავისი გაიტანა და ამხ. დაშნიანს ვეღარ ვხედავთ ჩვენს რიგებში. მშვიდობით ამხანაგო — შენი ხსოვნა წარუშლელი იქნება ჩვენს მეგობარ-ამხანაგებში.

გ. უბერ.

მეცნიერება და ტეხნიკა

სამრეწველო ტრამვატიზმი და ბრძოლა მასთან

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა მთელ რიგ ვალდებულებებს აკისრებს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს. პირველი და მეტად სერიოზული საკითხი, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის დამცველ ორგანოებს დღის წესრიგშია დასმული, არის სამრეწველო ტრამვატიზმთან ბრძოლა. ზარალი, რომელიც მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის სხვადასხვაგვარ უბედურ შემთხვევებს ძალიან დიდია. საკმარისია გავიხსენოთ ომის წინა დროის უბედურ შემთხვევათა რიცხვი, რომ ეს ნათელი გახდეს ჩვენთვის. ბიკოვის ცნობით ევროპის მხოლოდ 6 სახელმწიფოში (გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია და ინგლისი) უბედური შემთხვევათა რიცხვი ომამდე ყოველწლიურად უდრიდა 1.572.000-ს, აქედან — 16.481 სიკვდილის შემთხვევებია. ყველა სამრეწველო ქვეყნებში კი უბედური შემთხვევები 3 მილიონამდე აღწევდა წლიურად, ხოლო სიკვდილის შემთხვევები 35.000-ს უდრიდა. მატერიალური ზარალი კი 1 მილიარდ ოქროს მანეთში გამოიხატებოდა.

ყოფილ მეფის რუსეთში უბედურ შემთხვევათა რიცხვი წარმოებებში ყოველწლიურად 326.000-ს უდრიდა. აქედან მძიმე შემთხვევები იყო 39.500, ხოლო სასიკვდილო 6.000. ზარალი, რომელიც სახელმწიფოს მოსდიოდა ამ უბედურ შემთხვევებისაგან 56 მილიონ ოქროს მანეთში გამოიხატებოდა.

როგორია მდგომარეობა ომის შემდეგ? ამხ. კაპლუნის მიხედვით იმპერიალისტური ომის შემდეგ სამრეწველო ტრავმატიზმი თვალსაჩინოდ გაიზარდა. იმპერიალისტური ომის დროს მეომარმა ქვეყნებმა დაჰკარგეს 6.750.000 ადამიანი, ხოლო სამრეწველოებში დაზარალებულთა რიცხვი საშუალოდ წელიწადში უდრის 4 ნახ. მილიონს. მხოლოდ ერთ ამერიკაში 1919 წელს აღნიშნული იყო 3 ნახ. მილ. უბედური შემთხვევა, აქედან მძიმე 575.000 სასიკვდილო—23.000.

სამრეწველო ტრავმატიზმის ზრდას ადგილი აქვს აგრეთვე საბჭოთა კავშირშიაც. მაგ. ლენინგრადის საფეიქრო მრეწველობაში 1924 წელს ყოველ 1.000 მუშაზე მოდიოდა 138 უბედური შემთხვევა, 1925 წელს—173 უბედური შემთხვევა. ასეთივე სურათია მრეწველობის სხვა დარგშიაც, განსაკუთრებით ტრამვატიზმის მაღალ კოეფიციენტს იძლევა სამთო-მადნო მრეწველობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ზრდა შეეხება მხოლოდ ისეთ უბედურ შემთხვევებს, რომლის დროსაც შრომის უნარიანობა არ იკარგება, მაგრამ თვითეული უბრალო დაზიანებაც სათანადო მკურნალობას და დროს მოითხოვს.

სამრეწველო ტრამვატიზმის ზრდას, რათქმა უნდა, თავისი რეალური მიზეზები აქვს. პირველი და მთავარი მიზეზია სამრეწველო ტექნიკის ჩამორჩენილობა და საწარმოო იარაღების გაცვეთა. მეფის რუსეთისაგან ჩვენ მემკვიდრეობათ მივიღეთ ძალზე ჩამორჩენილი სამრეწველო ტეხნიკა. ბევრ წარმოებაში მოწყობილობა და მანქანები განახლებულია, მაგრამ ბევრგან ძველი გაცვეთილი მანქანებით და იარაღებით სარგებლობენ, რაც, თავის თავად ცხადია, ხელს უწყობს სამრეწველო ტრამვატიზმის ზრდას. მეორე მიზეზი, რომელიც აგრეთვე ხელს უწყობს უბედური შემთხვევების სიხშირეს, არის მუშების ახალი კადრების თავის მოყრა მრეწველობაში, ე. ი. არაკვალიფიციური მუშა ხელის ზრდა. ამ მეორე ფაქტორს მომავალშიაც ექნება ადგილი, რადგან რაც უფრო განვითარდება მრეწველობა, მით უფრო მეტი ახალი მუშები მოიყრიან თავს მრეწველობაში და მაშასადამე მით უფრო მეტი იქნება უბედური შემთხვევათა საშიშროება.

ჩვენ აღარ გამოვუდგებით დანარჩენ ხელისშემწყობი ფაქტორების განხილვას, აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენში, საქართველოშიაც, სამრეწველო ტრავმატიზმი საკმაოდ დიდია და მრეწველობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები შესაფერ ღონისძიებების გატარებას მოითხოვს ჯანმრთელობის დამცველ ორგანოების მხრივ.

პირველი და გადაუდებელი ამოცანაა ამ მხრივ სამრეწველო ტრამვატიზმის ყოველმხრივი შესწავლა, გათვალისწინება და შეფასება იმ მიზეზებისა და პირობებისა, რომელიც ტრამვატიზმს იწვევენ, მთელი რიგი პროფილაქტიური ღონისძიებების გატარება, რომელიც შრომის პირობების გაუმჯობესებისაკენ უნდა იყოს მიმართული, რათა უბედური შემთხვევები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი და ბოლოს, უბედურ შემთხვევის დროს დაზარალებულთა შესაფერი კვალიფიციური საექიმო დახმარება.

როგორ უნდა სწარმოებდეს ტრამვატიზმის შესწავლა? უწინარეს ყოვლისა საჭიროა თვითეული უბედური შემთხვევის სწორე აღრიცხვა-რეგისტრაცია.

სამწუხაროდ ბევრ ჩვენ სამრეწველოებში და წარმოებებში უბედურ შემთხვევათა რეგისტრაცია ძალზე მოიკოჭლებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შრომის სახ. კომისარიატის სათანადო დადგენილება და გამომუშავებულია შესაფერი სარეგისტრაციო ბარათები, ბევრი უბედური შემთხვევა აღურიცხველი რჩება. ზოგიერთ წარმოებაში რეგისტრაციაში ტარდება მხოლოდ ისეთი უბედური შემთხვევები, რომლებსაც მუშის მძიმე დასახიჩრება ან სიკვდილი მოჰყვა. ცხადია, რეგისტრაციის ასეთი წესი ვერ მოგვცემს ნათელსა და სრულ წარმოდგენას ამა თუ იმ წარმოების ან სამრეწველოს ტრავმატიზმზე. საჭიროა რეგისტრაციაში ტარდებოდეს ყოველი უბედური შემთხვევა, რაც უნდა მსუბუქი დაზიანებასაც არ ჰქონდეს ადგილი. არსებული რეგისტრაციის მეორე ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად სარეგისტრაციო ბარათში არ ავსებენ ყველა გრაფებს. მაგ. გამოტოვებულია მუშის სტაჟი, უბედური შემთხვევის დრო, ადგილი, გარემოება და სხვ

ამიტომ ჩვენის აზრით საჭიროა ყველა იმ ორგანოებისათვის, რომლებიც ამ რეგისტრაციას აწარმოებენ, შემოღებული იქნას ერთიანი სარეგისტრაციო ბარათი და გამომუშავებული იქნას სათანადო ინსტრუქცია უბედურ შემთხვევების რეგისტრაციის წესის შესახებ. ძლიერი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული პირველი დახმარების პუნქტზე წესიერი რეგისტრაციის წარმოებას, ვინაიდან პირველი დახმარების პუნქტის ექიმის მოვალეობას შეადგენს არა მარტო შესაფერი დახმარების აღმოჩენა დაშავებულისათვის, არამედ შესძლებისდაგვარად მუშათა ტრამვატიზმის მიზეზების გამორკვევა, თუნდაც შესაძლებელი სიმულაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

ამგვარად, როდესაც სათანადო სიმაღლეზე იქნება დაყენებული სამრეწველო ტრამვატიზმის და მისი ხელისშემწყობი მიზეზების შესწავლა, შესაძლებელი გახდება რაციონალური ღონისძიებების გატარება შრომის პირობების გასაუმჯობესებლად და უბედური შემთხვევების შესამცირებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიონალურ ღონისძიებების გატარებას. სამრეწველო დაწესებულებათა შრომის სანიტარული პირობების გაუმჯობესება არის მთავარი პირობა ტრამვატიზმთან წარმოებით საბრძოლველად. ღონისძიებათა ამავე კატეგორიას ეკუთვნის ე. წ. „უშიშროების ტეხნიკა“. შრომის სახ. კომისარიატის ტეხნიკური ორგანოების მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნონ ამა თუ იმ წარმოებაში მომქმედი მანქანების და აპარატების უშიშროების ზომების დაცვას, რისთვისაც „უშიშროების ტეხნიკის“ სპეციალური პერსონალი სისტემატიურად ამოწმებს მანქანებს და მუშაობის საშიშარ ადგილებს და სათანადო ინსტრუქციებს აძლევს აქ ადგილებში მომუშავეთ.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ტრამვატიზმთან საბრძოლველად მუშათა კვალიფიკაციის აწევას. ჯანმრთელობის დამცველი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად უნდა წარმოებდეს მუშების პროფშერჩევა და საზიანო წარმოებებში მუშების ჯანმრთელობის პერიოდული შემოწმება.

რაც შეეხება უბედური შემთხვევის დროს დაშავებულთა დახმარებას, ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირველი დახმარების ორგანიზაციის საქმეს. სულ უბრალო დაშავებასაც შეიძლება მოჰყვეს შედეგად მუშის შრომის უნარის სრული დაკარგვა ან ძალზე შემცირება, თუ თავის დროზე აღმოჩენილი არ იყო წესიერი კვალიფიციური დახმარება. სამწუხაროდ ბევრი სამრეწველო დაწესებულებებში პირველი დახმარების პუნქტი სრულიად მოუწყობელია, კვალიფიციურ დახმარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საქმის ამ მხარეს უნდა მიექცეს აგრეთვე სათანადო ყურადღება.

ყველა აღნიშნული ღონისძიებების გატარება და ტრამვატიზმის სისტემატიური შესწავლა საშუალებას მოგვცემს მინიმუმამდე დავიყვანოთ უბედურ შემთხვევათა რიცხვი, ამაში ერთნაირად უნდა იყონ დაინტერესებული, როგორც სამეურნეო ორგანოები, ისე ჯანმრთელობის და შრომის დამცველი ორგანოები.

ამ მხრივ უკვე შესაფერი ნაბიჯებია გადადგმული საქართველოს ჯანსახკომის სამკურნალო განყოფილების მიერ, რომელმაც სპეციალური რაზმი გაგზავნა სამრეწველო ტრავმატიზმის შესასწავლად პირველ რიგში „რიონჰესის“ სამუშაოებზე, ტყიბულის და ჭიათურის მაღაროებში.

ექ. ა. ვეფხვაძე.

კონფერენცია რადიო-გადაცემის საკითხებზე

19 სექტემბერს ჰააგაში (ჰოლანდია) გაიხსნება სესია საერთაშორისო ტეხნიკურ კომიტეტისა, რომელსაც დავალებული აქვს რადიოს საკითხების დამუშავება-მოგვარება. სესიაზე წარმოდგენილი იქნებიან მთელი მსოფლიოს კერძო და სახელმწიფო რადიო-კომპანიები.

შეერთებული შტატები სესიაზე წარმოდგენილი იქნება მძლავრი კომბინატით—„ინტერნეიშენელ ტელეფონენდ ტელეგრაფ“ კომპანიით, რომელშიც შედიან კომპანიები: „მაკკეი სისტემ“, „ფედერალ ვაირელლეს“, „ტროპიკელ რადიო“, „ოლ ამერიკა კეიბლს“ და სხვ., ინგლისი კი ამ რამდენიმე ხნის წინად შექმნილ სახელმწიფო კომბინატით, რომელიც აერთიანებს რადიო-ტელეფონისა და რადიო-ტელეგრაფის ყველა საიმპერიო ხაზებს.

უკვე ახლა არის იმის ნიშნები, რომ სესია გადაიქცევა გააფრთებული ბრძოლის ასპარეზად ერთის მხრივ ევროპის ქვეყნებსა (ინგლისის მეთაურობით) და მეორეს მხრივ შეერთებულ შტატებს შორის. დავის საგანი იქნება—მოკლე რადიო-ტალღები. უკანასკნელ ხანებში რადიო-კავშირის ტეხნიკაში მოხდა გადატრიალება, გამოწვეული მოკლე რადიო-ტალღების შემოღებით. შესაძლებელი შეიქნა დაძლევა უდიდესი სივრცეების, რაზედაც ოცნებაც კი არ შეეძლოთ გრძელი რადიო-ტალღებით მომუშავე რადისტებს. მოკლე რადიო-ტალღებით გადაცემისათვის საჭირო ენერგიაც გაცილებით მცირეა, ვიდრე გრძელი რადიო-ტალღებით გადაცემის დროს.

მაგრამ მოკლე რადიო-ტალღებს ახასიათებს განსაკუთრებული გრძნობიარება. თუ ერთდროულად მუშაობს ორი რადიო-სადგური, რომელთა ტალღებს შორის ძლიერ მცირე განსხვავებაა, — შედეგები მეტად სავალალოა — გადაცემა სრულიად გაურკვეველია.

რადიო-ტეხნიკაში ცნობილია 800 მოკლე ტალღა, რომლებითაც შეიძლება ერთდროულად მუშაობა ისე, რომ რადიო-სადგურებმა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. ამ ტალღების 60% შეერთებულმა შტატებმა მიითვისა. დანარჩენი ტალღები განაწილებულია ევროპის სახელმწიფოებს შორის, რომელთაგან პირველი ადგილი უჭირავს ინგლისსა და გერმანიას. ევროპის ქვეყნები თვლიან, რომ მათი ინტერესები შელახულია და განზრახული აქვთ ჰააგის კონფერენციაზე მოითხოვონ „რადიო-ულუფის“ გადანაწილება, რაზედაც საეჭვოა, რომ დასთანხმდეს შეერთებული შტატები.

შეერთებულ შტატებს პირველათ როდი უხდება შეჯახება ევროპის სახელმწიფოთა ერთიან ფრონტთან ინგლისის მეთაურობით, ჯერ კიდევ 1927 წ. რადიო-ტელეგრაფიის საკითხების განსახილველად ვაშინგტონში მოწვეულ კონფერენციაზე შეერთებულ შტატებს დაუპირისპირეს ამგვარი ფრონტი, მაგრამ შეერთებულმა შტატებმა მოახერხა ლათინურ ამერიკის სახელმწიფოთა მიმხრობა და ევროპის სახელმწიფოთა შემოტევის მოგერიება. ახლა მდგომარეობა სხვაა. წესდებით ჰააგის კონფერენციაზე მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც დაამტკიცეს ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილებები. ლათინური ამერიკის სახელმწიფოებიდან ეს დადგენილებები, ჯერ-ჯერობით, მხოლოდ მექსიკამ დაამტკიცა. ამრიგად მომავალ კონფერენციაზე შეერთ. შტატები განმარტოებული იქნება.

ა. ს.

ბაქტერიები 4 ნახ. კილომეტრის სიმაღლეზე

კემბრიჯის უნივერსიტეტმა (ინგლისი) დაასრულა საინტერესო ცდები ავადმყოფობის გამომწვევ ბაქტერიების მიგრაციაზე (მოძრაობაზე) ატმოსფერის ზედაფენებში. დაკვირვებები სწარმოებდა აეროპლანიდან. მფრინავებს თან მიჰქონდათ საკვები სითხე სპეციალური ჭურჭლით, რომელსაც განსაზღვრულ სიმაღლეზე ხდიდნენ თავს. ბაქტერიები აღმოჩენილი იქნა ჰაერის ყველა ფენებში— 4 ნახ. კილომეტრის სიმაღლეზედაც კი. ბაქტერიების ყველაზე დიდი რიცხვი აღმოჩნდა 600 მეტრის სიმაღლეზე. კემბრიჯის მეცნიერთა დაკვირვებები ამტკიცებენ, რომ ავადმყოფობის გამომწვევ ბაქტერიებს შეუძლიათ ჰაერში მოძრაობა დიდ სიმაღლეზე.

ელექტრო-ენერგია სასოფლო მეურნეობაში

უკანასკნელ ხანებში ინგლისში დაიწყო ფართო მოძრაობა სასოფლო მეურნეობაში ელექტრო-ენერგიის გამოყენების სასარგებლოდ. „ფინანშიელ ტაიმს“ მთელ რიგ წერილებს უძღვნის ინგლისის სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციას. გაზეთი წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ მოეწყოს 100 საცდელ-საჩვენებელი ფერმა, სადაც ფართე ნიადაგზე იქნება დაყენებული ელექტრო-ენერგიის გამოყენება. ასეთ ფერმებში ელექტრო-ენერგია გამოყენებული იქნება არა მარტო ძროხების საწველათ და საოჯახო მეურნეობაში. (ფეჩები, უთოები, მტვრის სასრუტავი მანქანები და სხვ.), არამედ შეასრულებს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებსაც. ელექტრო-ენერგია ამუშავებს გუთნებს, სალეწ და სამკალ მანქანებს და სხვ. გაზეთის გამოანგარიშებით საშუალო შეძლების ინგლისელი ფერმერი ელექტრო-ენერგიის გამოყენებაზე გადასვლით ყოველწლიურად დაზოგავს 312 გირვანქა სტერლინგს (3.120 მანეთს).

ახალი საავიაციო მოტორი

პაკარდის ცნობილმა საავიაციო ფირმამ (ამერიკაში) გასაყიდათ გამოუშვა ახალი საავიაციო მოტორი, რომელიც ნავთით მუშაობს. ახალი მოტორის უპირატესობას შეადგენს: ექსპლოატაციის სიიაფე და ხანძრის გაჩენის საშიშროების საფრთხის საგრძნობათ შემცირება ჩვეულებრივ ბენზინის მოტორთან შედარებით. პირველი საცდელი გაფრენის დროს 800 კილომეტრის მანძილზე დაიხარჯა 9 მანეთის ნავთი. იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად უშიშარია ცეცხლის გაჩენის მხრივ ახალი მოტორი, კომპანიის წარმომადგენელმა პრესის წარმომადგენლების თვალწინ ნავთით სავსე ბაკში ანთებული წუმწუმა ჩააგდო. ნავთი არ აფეთქდა. ახალი მოტორი წარმოადგენს ცხრაცილინდრიან მამოძრავებელს, საჰაერო გაცივებით, რომელიც მუშაობს დიზელის მოტორის მსგავსად. ახალ მოტორს აქვს კიდევ ერთი დიდი უპირატესობა: მას არა აქვს კარბიურატორი, რომელიც საჰაერო კატასტროფების ხშირ მიზეზს წარმოადგენს. საწვავი მასალა მიდის პირდაპირ ცილინდრებში, სადაც ენთება დგუშის წინანდელ მუშაობის დროს შეკუმშულ ჰაერის სიმხურვალის ზეგავლენით. ახალი მოტორი დადგმულია მთელ რიგ სამგზავრო აეროპლანებზე.

ნახშირმჟავა გაზის გამოყენება სას. მეურნეობაში

უკანასკნელ ხანებში შეერთებულ შტატებში ახდენენ შესანიშნავ ცდებს ნახშირმჟავა გაზის გამოსაყენებლად სასოფლო მეურნეობაში. ეს ცდები გამოიხატება ნახშირმჟავა გაზის შებოლებაში ბოსტნეულისათვის. ამ გზით მიაღწიეს ბოსტნეულის ზრდის დაჩქარებას. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ მიზნით სარგებლობენ ქარხნების კვამლით, რომელიც სპეციალური მილებით გაჰყავთ ბოსტნებში, სწმენდენ და აწვდიან მცენარეებს. ამგვარი „გახოყიერება“ კვამლით 50 პროცენტით ადიდებს მოსავალს და მეტად აჩქარებს მცენარეთა ზრდის პროცესს.

მოსკოვის პრესის ცნობით, ამგვარი ცდები რამდენიმე წლის წინათ მოახდინეს მოსკოველმა მებოსტნეებმა, მაგრამ უფრო მარტივი სახით. სათბურებში, სადაც დარგული იყო მცენარეები, სწვავდენ შეშას და კვამლს უბოლებდნენ სხვადასხვა ბოსტნეულს. შეუმოწმებელი ცნობებით, ამ ღონისძიების წყალობით არა თუ მოხერხდა მოსავლიანობის გადიდება, არამედ შესძლეს რამდენიმე მოსავლის მოწევა ერთი სეზონის განმავლობაში.

რძე—ქაღალდის ბოთლებში

ერთი ამერიკული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება შეუდგა გასაყიდი რძის გამოშვებას არა შუშის, არამედ ქაღალდის ბოთლებში.

ქაღალდის ბოთლები მზადდება სპეციალური მანქანებით. დამზადების პროცესი იყოფა სამ ნაწილად. პირველი მანქანა ქაღალდის ლენტიდან ამზადებს განსაზღვრული მოცულობის კონუსს და უკეთებს მას ფსკერს. ამის შემდეგ ქაღალდის ბოთლი გადადის მეორე მანქანაზე, რომელიც მას ავლებს ცხელ პარაფინში (რათა ქაღალდში არ გაატანოს არც წყალმა და არც ჰაერმა). მესამე მანქანა ქაღალდის ბოთლში ასხამს რძეს და თავს უცობს.

დაკვირვებებმა, რომლებიც მოახდინეს რძის პროდუქტების ამ წესით შენახვაზე, დაამტკიცა, რომ ქაღალდის ბოთლები მრავალმხრივ უფრო უკეთესია, ვიდრე შუშის. ყველაზე დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ქაღალდის ბოთლებში ჩასხმული რძე ჩვეულებრივზე დიდხანს ინახება. ეს იმით აიხსნება, რომ ქაღალდის ბოთლები არ ატარებენ სითბოს და მათში ჩასხმული რძე თავის ტემპერატურას ინარჩუნებს სანამ ბოთლს თავს მოხსნიდენ. შუშის ბოთლებში ჩასხმული რძე კი, თუ ის ყინულში არ მოათავსეს, თბება 6—7 გრადუსამდე, ე. ი. იმ ტემპერატურამდე, როცა ენერგიულად ვითარდებიან ყოველგვარი ბაქტერიები, და სწორეთ ამიტომ იქნა შემჩნეული შემთხვევები, როცა ქაღალდის ბოთლებში რძე 5 დღე-ღამეს ინახებოდა იმ დროს, როცა შუშის ბოთლებში იგი ორ დღეში იჭრებოდა.

გარდა ამისა, ქაღალდის ბოთლის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ერთხელ, რის შემდეგ მას აგდებენ. ამრიგად, სრულიად ისპობა შესაძლებლობა იმის, რომ რძე ჩასხმული იქნება არა სავსებით წმინდა ბოთლში, რაც ხშირად ხდება შუშის ბოთლებით სარგებლობის დროს.

ქაღალდის ბოთლების ღირებულება ძლიერ მცირეა და სრულიად არ აძვირებს რძის პროდუქციას.

გაუმჯობესება რადიო-გადაცემაში

ამერიკული გაზეთები იუწყებიან ახალი გამოგონების შესახებ, რომელიც საგრძნობათ გააუმჯობესებს რადიო-გადაცემას. ეს არის მიკროფონი უდიაფრაგმოთ. მიკროფონი დიაფრაგმით ამახინჯებს გადაცემას. დიაფრაგმის დანიშნულებაა—შეიგრძნოს ხმის რყევა, რომელსაც ახდენს მიკროფონის წინ მდგომ მომღერალის ან ორატორის ხმა. მაგრამ დიაფრაგმას აქვს რყევის საკუთარი პერიოდი, რომელიც გავლენას ახდენს გადასაცემი ხმის რყევაზე. ამის შედეგია გადაცემის „ლითონისებური“ ელფერი და ტემბრის დამახინჯება. ახალ მიკროფონში დიაფრაგმის როლს ასრულებს საჰაერო კონდენსატორი, რომელიც წარმოადგენს ჰაერის ფენით გაყოფილ ორ ლითონის ფირფიტას. ორატორის ხმა ან მუსიკალ ხელსაწყოს ხმები ექცევა ჰაერის ფენაში ამ ორ ლითონის ფირფიტას შორის და იწვევს მასში პერიოდულ გაფართოებას და შეკუმშვას. კონდენსატორის მოცულობა ამგვარად იცვლება. ეს საკმაოა იმისათვის, რომ ჯაჭვში გამოწვეულ იქნეს ელექტრონის იმპულსები, რომლებიც სივრცეში იგზავნება რადიო-ტალღების საშუალებით. ახალი მიკროფონი არ ამახინჯებს ხმას და ეჭვს გარეშეა, გაადიდებს რადიო-გადაცემის სისწორესა და მჭევრულობას.

წყალქვეშა ნავით ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

მეტად საინტერესო და გაბედული გეგმა შეადგინა ამერიკელმა მკვლევარმა კაპ. გუბერტ ვილკინსონმა.

მას განზრახვა აქვს მომავალ წელს მიაღწიოს ჩრდილოეთ პოლიუსს, მაგრამ არა ყინულის მჭრელით ან საფრენი აპარატით (აეროპლანი, დირიჟაბლი), არამედ წყალქვეშა ნავით, რომელიც ივლის ყინულის სქელ ქერქ ქვეშ.

წყალქვეშა ნავი „დეფენდერ“

ეს გეგმა, რომელიც ერთის შეხედვით თითქო განუხორციელებელია, განსახილველად გადაეცა ექსპერტებს, რომლებმაც სცნეს, რომ იგი შეიძლება განხორციელებული იქნეს და არ არის დაკავშირებული დიდ რისკთან. კაპ. ვილკინსონს განზრახული აქვს თავისი მოგზაურობისათვის ისარგებლოს წყალქვეშა ნავით „ეფანდერ“, რომელიც ეკუთვნის გამომგონებელ სიმონ ლეკს. მიუხედავად თავისი პატარა ზომისა, ეს ნავი ძლიერ მაგარია და სავსებით გამოსადეგია პოლიარული მოგზაურობისათვის. მაგრამ, რათა მოგზაურები დაცული იქნენ ყოველგვარი მოულოდნელობისაგან, ნავი საფუძვლიანად იქნება გადაკეთებული. ყველაზე საშიში, რაც შეიძლება შეემთხვეს მას, ეს ის, რომ შესაძლოა ნავმა ვერ გაიკვლიოს გზა ყინულის სქელ ფენაში და ვერ ამოვიდეს წყლის ზედაპირზე. ასეთი შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად, ნავის ზედა ნაწილი იმგვარად იქნება გაკეთებული, რომ მან შესძლოს ყინულის ძლიერ სქელი ფენის დამტვრევა. თუ ეს არ იქნება საკმაო ყინულის დასამტვრევად, მაშინ გამოყენებული იქნება სხვა საშუალებები. მათგან პირველია—ელექტრონის ბურღი, რომლითაც შეიძლება ხვრელის გაკეთება ყინულში და ამ ხვრელის საშუალებით წმინდა ჰაერის მიღება, გარდა ამისა, ნავზე მომარაგებული იქნება სპეციალური ბომბები, რომლებითაც აფეთქებენ ყინულს.

კაპ. ვილკინსონს განზრახული აქვს თავისი მოგზაურობა დაიწყოს შპიცბერგენიდან და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანეთი მივიდეს ალიასკაზე (ამერიკა). მისი გამოანგარიშებით ამ მოგზაურობას მოუნდება ერთ თვემდე, მოგზაურობის დროს ნავი 14 საათი იქნება ყინულს ქვეშ, 10 საათს კი— ზევით. ნავზე იქნება 7 კაცისაგან შემდგარი რაზმი და ხუთი სამეცნიერო მუშაკი.

ქრონიკა

გერმანელი ჟურნალისტების ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ გერმანული კომუნისტურ გაზეთების კორესპონდენტები—ამხ. გეორგ შტოლდი, მარგარიტა ლისაუერ, ფრიდრიხ ეიხბერგ და დიუსელდორფის კომუნისტურ გაზეთ „ფრაიხაიტ"-ის („თავისუფლება") მთავარი რედაქტორი ამხ. ტეოდორ ნეიბაუერი.

მათი ჩამოსვლის მთავარ მიზანს შეადგენს საბჭოთა კავშირის ერთა ცხოვრებასთან გაცნობა.

ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს ესტუმროს ბაქოს, გაეცნოს ბაქოს ნავთის სარეწაოების მუშების შრომის პირობებს, შემდეგ შემოიარონ—უკრაინა, ბელორუსია, რუსეთის ცენტრალური გუბერნიები, თურქესტანი, ტაჯიკისტანი და საბჭ. კავშირის სხვა კუთხეები.

ამხ. გეორგს შტოლდს, კერძოთ დავალებული აქვს სპეციალურათ შეისწავლოს საბჭოთა კავშირის ქალაქების კომუნალური მეურნეობა, გაეცნოს ქალაქის ბიუჯეტის მდგომარეობას, შრომის დაცვის საკითხებს და სხვ. გეორგ შტოლდი საბჭოთა კავშირში გამოგზავნილია ბერლინის კომუნალურ მუშაკთა კავშირის დავალებით და იმავე დროს დავალებული აქვს კორესპონდენციების მიწოდება კომუნისტური გაზეთებისათვის.

500 მანეთი კოლმეურნეობათა რადიოფიკაციისათვის

„სოფლის კავშირი"-ს გამგეობამ 500 მანეთი გადასდო კოლმეურნეობების „მარანი"-ს და „იანეთი"-ს (სამტრედიის რაიონში) რადიოფიკაციისათვის.

პურის დამზადება

„სოფლის კავშირის" ცნობით დღევანდლამდე საქართველოში დამზადებულია 38.176 ფუთი პური და ქერი.

საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის დაშლა

„სოფლის კავშირი"-ს გამგეობამ დაადგინა გადააყენოს და პასუხისგებაში მისცეს საჯამისერის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის შემადგენლობა, რომელმაც აბრეშუმის საკონტრაქტაციო თანხები დანიშნულებისამებრ არ გამოიყენა.

თბილისის მუშათა კონფერენციები

თბილისში მუშათა კონფერენციები ჩატარდება: ლენინის რაიონში—19 აგვისტოს, 26 კომუნარის სახელობის რაიონში—21 აგვისტოს და ქალაქის რაიონში—22 აგვისტოს.

ექიმების გადასამზადებელი კურსები

დღეს თბილისში გაიხსნება საქართველოს წითელი ჯვრის ცეკას მიერ ექიმების გადასამზადებელი ერთ-თვიანი კურსები.

ექიმების გადამზადება იწარმოებს სამხედრო-სასანიტარო და ქიმიური ხაზით.

პირველ რიგში კურსებს გაივლის 50 ექიმი.

თბილისის აღმასკომში

◆ ქალაქის დასაგეგმავათ გადადებულია—200.000 მანეთი.

◆ სოცუზრუნველყოფის განყოფილება დაექვემდებარება თბილისის აღმასკომს.

მიწ.-მოქმ. კომისარიატში

◆ მეცხვარეთა ამხანაგობა. მიწსახკომის ცნობით შირაქში დაარსდა მეცხვარეთა 3 ახალი ამხანაგობა.

◆ სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად ოზურგეთის აღმასკომს გადაეცა 30.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ პურის დამზადება. კახეთის მაზრაში დამზადებული იქნება 293.000 ფუთი ხორბალი.

◆ „სოფლის კავშირმა" კოლექტივებთან და გლეხებთან დასდო ხელშეკრულება — [illegible].000 ფუთი ვაშლის დამზადების შესახებ.

◆ პროფსაბჭოს კულტგანყოფილების საბიბლიოთეკო სექტორი აცხადებს მოძრავ და სტაციონალურ ბიბლიოთეკების საყურადღებოთ, რომ სექტორს აქვს დამზადებული ლოზუნგები, ფურცლები, ბროშურები და სხვა მასალა საბჭოთა აპარატის წმენდისა და ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ირგვლივ. ბიბლიოთეკებმა აღნიშნული მასალების მისაღებათ უნდა მიმართონ საბიბლიოთეკო სექტორს.

შაბათობა ჯავშნიან ავტომობილების ასაგებათ

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის 10 წლის თავი

მიმდინარე წლის სექტემბერში ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირს უსრულდება არსებობის 10 წლისთავი.

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა ამ დღის აღსანიშნავათ საკავშირო მასშტაბით მოაწყოს შაბათობა. შაბათობიდან შემოსული თანხებით აგებული იქნება ამავე კავშირის სახელობის ჯავშნოსან ავტომობილების კოლონა.

მთელ საბჭოთა კავშირში ადგ. ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ადგილობრივი ორგანოები უკვე შეუდგნენ სამზადისს მუშაობას შაბათობის ჩასატარებლად.

საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ცენტრ. გამგეობაც შეუდგა სათანადო მუშაობას შაბათობისათვის.

ც.-გამგეობის დადგენილებით საკავშირო შაბათობა საქართველოში ჩატარდება ამა წლის 6 ოქტომბერს (კვირას).

შაბათობაში მონაწილეობას უნდა ექნეს სრული ნებაყოფლობითი ხასიათი და ამის შესახებ დადგენილებები უნდა გამოიტანონ მუშათა საერთო კრებებზე, ან კონფერენციებზე.

შაბათობის ჩასატარებლად ადგილებზე და საოლქო და სამაზრო განყოფილებებთან, ადგილკომებთან, ჯგუფკომებთან და აგრეთვე იქ, სადაც პროფრწმუნებულები არიან გამოყოფილნი, ეწყობა სპეციალური კომისიები. კომისიების შემადგენლობა განისაზღვრება 5 კაცით. კომისიებში არჩეული უნდა იქნენ აგრეთვე სათანადო სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

კომისიებს ევალებათ სამეურნეო დარგებთან ერთად შეიმუშაონ შაბათობის გეგმა, იმ ვარაუდით, რომ სამუშაო დღე მთლიანად იქნას დატვირთული, რისთვისაც საჭიროა მუშების რაციონალურად და მიზანშეწონილად განაწილება.

შაბათობის მოწყობამდე კავშირის წევრებს უნდა განემარტოთ შაბათობის მნიშვნელობა, კავშირის მუშაობა და მისი ისტორია და აგრეთვე ჯავშნოსან ავტომობილების აგების მიზანი.

შაბათობის ჩატარებიდან ერთი კვირის შემდეგ საოლქო და სამაზრო მასშტაბით შეჯამებული უნდა იქნას შაბათობის შედეგები, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცენტრალურ გამგეობას. მასვე უნდა გადმოეგზავნოს შაბათობიდან შემოსული თანხები 21 ოქტომბრამდე.

რა ხდება ადგილებზე

სოციალისტური შეჯიბრების შედეგები

ქუთაისი, 13 აგვისტო. სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელმა სამაზრო კომისიამ მოახდინა რკინის გზის რამდენიმე სადგურის, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების და რიონჰესის გამოკვლევა.

გამოკვლევამ გამოარკვია, რომ სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება რკინის გზის ხაზის მუშებს შორის. სამტრედიის სადგურზე სოციალისტური შეჯიბრებას გამოცხადებამდე რკინის გზის ხაზის ყოველი მუშა საშუალოდ დღეში სცვლიდა 7 ცალ შპალს, ეხლა კი — 12 ცალს; მუხიანში წინად 7 ცალს სცვლიდნენ, ეხლა კი—17 ცალს. ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში სამუშაოს გაცდენა უდრიდა 19 პროცენტს, ეხლა კი უდრის — 13 პროცენტს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მაღაროების ყოველი მუშა დღეში საშუალოდ ამუშავებდა 225 კილოგრამ ქვანახშირს, ეხლა კი—270 კილოგრამს.

რიონჰესში სოციალისტურ შეჯიბრებამდე მუშებს შორის ძალიან იყო გავრცელებული ლოთობა, რასაც ხელს უწყობდნენ მუშკოოპის სასადილოები რიონჰესთან, რომლებიც ყოველ დღე ჰყიდდნენ 500 ლიტრა ღვინოს. ლოთობა ხელს უწყობდა სამუშაოს გაცდენას. საწარმოო თათბირები იშვიათად იმართებოდა. ეხლა კი საწარმოო თათბირებს უფრო ხშირად იწვევენ და მეტ ყურადღებას აქცევენ მუშების მითითებებს. სასადილოებში აკრძალულ იქნა ღვინით ვაჭრობა, რის გამოც სამუშაოს გაცდენა შემცირდა. საგრძნობლად განმტკიცდა შრომის დისციპლინა. ასე, მაგალითად, მუშაობა გვირაბის გასაყვანად რიონჰესის სამუშაოთა მეორე დისტანციაზე, გეგმასთან შედარებით, უდრიდა აპრილში—150 პროცენტს, მაისში — 167 პრ.-ს, ხოლო ივნისში—176 პროცენტს. მაგრამ მიღწევებთან ერთად, არის დეფექტებიც: სოციალისტურ შეჯიბრებაში დღემდე ჩაბმული არ არის რიონჰესის ავტო-გარაჟი. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სამაგალითო მუშა საწარმოო თათბირის დადგენილებით შეეტანოთ წითელ დაფაზე. (ადს).

საბჭოთა აპარატის წმენდა

გურჯაანი, 13 აგვისტო. ამხ. ბ. მაჩაიძის თანადასწრებით მოხდა პროფკავშირების წევრთა მრავალრიცხოვანი კრება, საბჭოთა აპარატის წმენდის ინსტრუქციის გასაცნობად. წმენდა აგვისტოს დამლევს დაიწყება (ადს).

ხალხური მელოდიების ჩაწერა

ცხინვალი, 13 აგვისტო. რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ხელოვნების ისტორიის სახელმწიფო ინსტიტუტმა სამხრეთ-ოსეთში მოავლინა ამხ. მალაევი, რომელსაც დავალებული აქვს სამხრეთ - ოსეთის ხალხური ჰანგების გადაღება ფონოგრაფით. ამხ. მალაევმა ცხინვალში ჩასწერა რამოდენიმე სიმღერა, შემდეგ გაემგზავრა მთებში.

ზარალი გრიგალისაგან

ცხინვალი, 13 აგვისტო. სოფელ წუნარის მიდამოებში ამოვარდა ძლიერი გრიგალი წვიმითა და სეტყვით. გრიგალმა გაანადგურა მრავალი შენობა და დააზიანა სიმინდის ნათესი ზარალი საგრძნობია (ადს).

ახალი პური

ცხინვალი, 13 აგვისტო. ვაკე ოსეთში დაიწყო პურის მოსავლის აკრეფა. მოსავალი კარგია. ცხინვალის ბაზარზე ფუთი პურის ფასი 8—9 მანეთიდან 6—5 მანეთამდე დაეცა. უკანასკნელი კვირის გვალვებმა ცუდად იმოქმედეს სიმინდის ნათესზე. (ადს).

საკურორტო მშენებლობა

ბახმარო, 13 აგვისტო. კურორტი ბახმარო წლითი-წლობით უმჯობესდება. უკვე აიგო კურორტთა სამმართველოს 12 ოთახიანი დასასვენებელი სახლი, 7 ოთახიანი სახლი გამგეობისათვის, 5 ოთახიანი ამბულატორია. გაყვანილ იქნა წყალსადენი 1.200 მეტრზე, ამოშრობილია ჭაობები და გაყვანილია კანალიზაცია. ტყეებში გაყვანილია ბილიკები, რომელთა სიგრძე უდრის 3 კილომეტრს. გაიწმინდა ორი ჰექტარი ტყე და მოეწყო დასასვენებელი ადგილი სკამებით.

მოეწყო მეტეოროლოგიური სადგური, აიგო შენობა სასადილოსათვის და სარძეოსათვის. მთელი კურორტი განათებულია გაზის ლამპებით. ათ ჰექტარზე დარგულია 100.000 ცალი ფიჭვის ნერგი. 8 წლის განმავლობაში ბახმაროს კეთილმოსაწყობად საკურორტო საქართველომ დახარჯა 50.000 მანეთზე მეტი.

კურორტმა ინტერესი გამოიწვია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეუდგნენ დასასვენებელ სახლების აგებას. აჭარისტანის განათლების მუშაკთა კავშირმა ააგო 14 ოთახიანი დასასვენებელი სახლი, ოზურგეთის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირმა—10 ოთახიანი სახლი, თბილისის და ფოთის ტონის პორტელებმა—12 ოთახიანი სახლი, ბათომის მეზღვაურებმა—14 ოთახიანი სახლი და სხვ. ამ შენობებზე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დახარჯეს 60.000 მანეთი. სწრაფი ტემპით სწარმოებს კერძო სახლების აგებაც. გასაბჭოებამდე ბახმაროში იყო 500 ოთახი. ამჟამად იქ არის 1.850 ოთახი. (ადს).

ექსკურსია მთებში

თელავი, 13 აგვისტო. ჩამოვიდნენ მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების (კომუნისტური უნივერსიტეტის და სხვ.) სტუდენტები პროფესორების მეთაურობით. ექსკურსანტები ფშაველის გზით წავიდნენ მთა თუშეთში (სოფ. ომალოში), საიდანაც გადავლენ ჩრდილოეთ-კავკასიაში. (ადს).

ფანერის სახლები

სოხუმი, 14 აგვისტო. აფხაზეთის ს.მ.უ. საბჭოს ინჟინერმა ამხ. პრილუცკიმ ააგო ფანერის პატარა სახლი. სახლის ფართობი უდრის 10 კვ. მეტრს, სიმაღლე 2 მეტრზე ცოტა მეტს. სახლი მთლიანად შესდგება ფანერის ფარებისაგან. დაშლილი სახით სახლი ადვილად შეიძლება გადატანილ იქნას ცხენის საპალნით, მით უფრო, რომ მისი ცალკე ნაწილების სიგრძე 1,25 მეტრს არ აღემატება. სახლის ასაწყობად საჭიროა არა უმეტეს სამი საათისა, დასაშლელად — საათნახევარი. მთელი შენობა იწონის 300 კილოგრამს, ასე რომ მისი გადატან-გადმოტანა მთებში ადვილად შეიძლება სამი ცხენით. სახლის ღირებულება მასიური წარმოების დროს 350 მანეთს არ აღემატება. სახლი აგებულია ამხ. ლაკობას იდეით და დავალებით; მან პირველმა მისცა ინჟ. პრილუცკის მითითებანი სახლის ასაგებად. ამერიკაში და დასავლეთ ევროპაში ტურისტებისათვის დამზადებულია საუცხოვო დასაშლელი სახლები, მაგრამ ცხენის საპალნით მათი გადატან-გადმოტანა არ შეიძლება. ამგვარად, ამხ. პრილუცკის მიერ აგებული სახლი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ღირსებისაა და უნდა ვიფიქროთ, რომ ფართოდ იქნება გამოყენებული აფხაზეთის მთაგორიან ადგილებში, რომლებიც წლითი-წლობით მეტ ტურისტებს იზიდავენ. (ადს).

სტიქიური მოვლენით დაზარალებული თემი

(წერილი გურიიდან)

აცანის თემი ერთ-ერთი კულტურული და მოწინავე თემია ოზურგეთის მაზრაში. გლეხობა შეგნებულად არის ჩაბმული საბჭოთა მშენებლობაში. თემში არსებობს მრავალი კულტურული, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

მაგრამ აცანის თემს ერთი დიდი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს: თემის კულტურულ და ადმინისტრატიულ ცენტრში მიწის ნიადაგი კატასტროფიულად იწევს ქვევით, სწორედ იმ ადგილას, სადაც აგებულია შვიდწლედი, კოოპერატივი, მშვენივრად მოწყობილი საექიმო პუნქტი, აფთიაქი, ფოსტა-ტელეგრაფი, დიდი სახალხო სახლი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, აღმასკომის და გლეხკომის შენობა და სხ.

მიწის ზედაპირის დაწევის გამო ყველა შენობებს დანგრევა მოელოდა და ამიტომ აცანის გლეხობა დაუყოვნებლივ შეუდგა მათ გადატანას საიმედო ადგილზე. თემში მიწვეული იყო კომისია სპეციალისტ-გეოლოგის მეთაურობით, რომელმაც გამოარკვია, რომ ნიადაგის ჩაღრმავება გამოწვეულია მიწის თიხიანი ქვედა ფენის გამორეცხვით.

ამ კატასტროფამ თემს რამოდენიმე ათი ათასი მანეთის ზარალი მიაყენა.

როგორც აღვნიშნეთ, შენობების ნაწილი გაიტანეს მკვიდრ ნიადაგიან უბანში, რასაც აუარებელი თანხები და გლეხობის მატერიალური სახსარი და ფიზიკური ენერგია დასჭირდა.

ამჟამად გადასატანია შვიდწლედის დიდი შენობა. რადგანაც სასწავლო წელი ახლო მომავალში დაიწყება, თუ შენობა ეხლავე არ იქნა გადატანილი, ბავშვები სკოლის გარეშე დარჩებიან. შენობის გადატანას და მის მოწყობას 12 ათასი მანეთი მოუნდება. აქედან 4 ათასი მანეთი უკვე გაწერილია გლეხობაზე თვითდაბეგვრის სახით.

ცხადია, რომ ყველა ჩამოთვლილ ხარჯების ატანა თემის გლეხობას არ შეუძლია, თუნდაც მაზრის ხელისუფლების დახმარებით. ამიტომ საჭიროა ხელისუფლების ცენტრალურმა ორგანოებმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დახმარება გაუწიონ გურიის ამ მოწინავე თემს.

აცანის მშრომელ გლეხობას აქვს ამის იმედი.

აცანელი

ტირაჟი—43.324

სამრეწველო მშენებლობა

ახალი ქარხნების ამუშავება მომავალი წლიდან

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცნობებით, მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში ამუშავდება რამოდენიმე ახალი ფაბრიკა-ქარხანა, რომელთა აგებაც ამჟამად სწარმოებს.

ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისიდანვე ე. ი. ოქტომბერ-ნოემბერში მუშაობას დაიწყებს თბილისის მაუდის ფაბრიკა, რომლის მოწყობაც უკვე მთავრდება. ქარხნის ზოგიერთი ცეხების მოწყობა კი სავსებით დამთავრებულია. მეორე რიგში ამუშავებული იქნება თბილისის აბრეშუმის საქსოვი ახალი ფაბრიკა და თბილისის სტრიკოტაჟო ქარხანა. აბრეშუმის საქსოვი ახალი ფაბრიკის მოწყობა დაწყებულია და შეგროვილია აგრეთვე მუშა-ხელის საკმაო რაოდენობა. ფაბრიკაში გადაწყვეტილია შემოღებულ იქნეს—პირველ ხანებში ორ ცვლათ და შემდეგში კი სამ ცვლათ მუშაობა. ამის გამო შეკრებილ კვალიფიციურ მუშათა რიცხვი არ იქნება საკმაო და აქედანვეა მიღებული ზომები ფაბრიკისათვის საჭირო მუშა-ხელის მოსამზადებლათ.

თბილისის სტრიკოტაჟო ქარხნისათვის შენობა უკვე მზადაა. ქარხანა მოეწყობა უკანასკნელი ტიპისა და გაუმჯობესებული კონსტრუქციის მანქანებით, რომლებიც სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შეუკვეთა გერმანიაში. გერმანიიდან აღნიშნული მანქანები მიღებული იქნება სექტემბრის განმავლობაში და მიღებისთანავე შეუდგებიან მათ დადგმას ქარხნის შენობაში. მანქანების დადგმა და ქარხნის სრული მოწყობა დასრულდება ორ თვეში, რის შემდეგაც ქარხანა ამუშავდება. სტრიკოტაჟო ქარხანა დაამზადებს უმაღლესი ხარისხის ქალისა და ვაჟის წინდებს და სხვა სტრიკოტაჟო ქსოვილებს. ქარხნის მოწყობის მთავარი მიზანია კონტრაბანდული საქონლის გავრცელებასთან ბრძოლა, რისთვისაც ქარხანა დაამუშავებს ნატურალური აბრეშუმის ნედლეულს და გამოუშვებს პროდუქციას საზღვარგარეთელზე უფრო ლამაზს და გამძლეს.

მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში ამუშავდება აგრეთვე გორის ახალი საკონსერვო ქარხანა. აღნიშნული ქარხნის აგებას შეუდგნენ მიმდინარე წლის დასაწყისში. ქარხანამ უნდა დაამზადოს, როგორც ხილეულის, ისე ბოსტნეულის კონსერვები. გადაწყვეტილია, ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია გასასაღებლათ გატანილ იქნას უცხოეთშიაც.

მომავალი წლის განმავლობაში გადაწყვეტილია ცემენტის ქარხნის ამუშავებაც. ცემენტის ქარხანას, რომელიც შენდება კასპში (გორ. მაზრა), უდიდესი გავლენა შეუძლია მოახდინოს ჩვენი სამრეწველო მშენებლობის მსვლელობაზე. დღემდე ხშირი იყო შემთხვევა, რომ ცემენტის ნაკლებობის, ან თავის დროზე მოუწოდებლობის გამო ბრკოლდებოდა ამა თუ იმ სამშენებლო სამუშაოს სწრაფად შესრულება. ცემენტის ქარხნის აგების საქმე მინდობილი აქვს უკრაინულ სახელმწიფო საამშენებლო საზოგადოებას „სტრომსტროის", რომელიც უკვე აწარმოებს მუშაობას.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ამთავითვე შეუდგა მუშაობას ცემენტის ქარხნისათვის საჭირო სპეციალისტთა და მუშათა ახალი კადრების მოსამზადებლათ.

გარდა ზემოთ-ჩამოთვლილი, რესპუბლიკანური მნიშვნელობის წარმოებებისა, მომავალი წლის განმავლობაში ამუშავებული იქნება მთელი რიგი ადგილობრივი მნიშვნელობის ახალი წარმოებებიც.

ღონისძიებები საკრედიტო დისციპლინის დასაცავად

მოსახლეობას შორის თებერვალ-აპრილში ჩატარებული ვადაგადაცილებული სესხების ლიკვიდაციის კამპანიის შედეგები ა.-კ. სახკომსაბჭომ ჩასთვალა არა დამაკმაყოფილებლად და კამპანიის ვადა გააგრძელა ა. წ. დეკემბრამდე.

ამ მიზნით სას.-სამ. ბანკმა ცირკულიარი დაუგზავნა ყველა სას.-სამეურნ. საკრედიტო ამხანაგობებს, რათა ამ უკანასკნელებმა შეადგინონ სიები ყველა იმ პირებისა და ორგანიზაციების, რომლებზედაც დღემდე ირიცხება ვადაგადაცილებული სესხები. აგრეთვე უნდა შესდგეს იმ მსესხებლების სია, რომლებსაც თუმცა სესხების ვადა არ გასვლიათ, მაგრამ, არსებულ დადგენილების თანახმად, სესხი უნდა გადახდეს ვადამდე. ასეთებია შეძლებული პირები, მოსამსახურენი, წესდების დამრღვევი დაშლილი ორგანიზაციები და ისეთი პირები, რომელთაც მიღებული სესხი გამოიყენეს არა დანიშნულებისამებრ. დაბოლოს შედგენილი უნდა იქნეს სიები სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა იმ წევრებისა, რომლებსაც სრულიად არა აქვთ გადახდილი საპაიო გადასახადი. ყველა ესენი გაფრთხილებული უნდა იქნენ, რათა დაფარონ თავიანთი დავალიანებები და იმ შემთხვევაში თუ მათ ეს არ შეასრულეს, გადახდეს სასამართლოს წესით.

პირველ ოქტომბრამდე საქართველოში უნდა მოგროვდეს ვადაგადაცილებული სესხები და საპაიო შესატანები სულ 1. 025.000 მან. რაოდენობით. ამ თანხიდან აფხაზეთზე მოდის 150:000 მანეთი, აჭარისტანზე—100.000 მანეთი და საქართველოზე—775.000 მანეთი.

საცდელ-სამეცნიერო სადგური თბილისში

თბილისში შენდება საცდელ-სამეცნიერო სადგური, რომელიც გაუწევს ფართო, სამეცნიერო-ტეხნიკური ხასიათის კონტროლს მრეწველობაში დამზადებულ პროდუქციას და მასთან ერთად წინასწარ შეისწავლის წარმოებისათვის საჭირო ნედლ მასალას. გარდა ამისა სადგურის მიზანია აწარმოოს ფართო სამეცნიერო-საცდელი ხასიათის დაკვირვებები.

აქამდე ასეთი დაწესებულება ამიერ-კავკასიაში არ ყოფილა და პირველად ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ამიერ-კავკ. რკინის გზამ. ეს გამოწვეული იყო ერთის მხრივ იმ გარემოებით, რომ გამოერკვიათ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებიდან და საზღვარგარეთიდან მიღებულ პროდუქციის ღირსება და მეორეს მხრივ ეწარმოებიათ თვით გზის სა წარმოებში დამზადებულ პროდუქციის სრული გამოკვლევა.

სტალინის სახელობის ქარხანასთან მართალია არსებობს ქიმიურ-მექანიკური ლაბორატორია, რომელიც იკვლევს საწარმოო მასალებს და ქარხნის პროდუქციას, მაგრამ იგი დღეს უკვე ველარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს.

ამის გამო ვრცელი საცდელი სადგურების აგება თბილისში უაღრესად სასარგებლო და დროული საქმეა, რადგან მისი დახმარებით დაძლეული იქნება ყველა ის არანორმალური მოვლენები, რომელთაც ვხედებით ცალკე ორგანოებში და წარმოებებში.

საცდელ სადგურს ექნება შემდეგი განყოფილებები: ქიმიური, მექანიკური, მეტალურგიული, მეტალოგრაფიული, საამშენებლო მასალების კვლევის განყოფილება, ფოლადის გამოსაყვანი და დასაცემენტებელი განყოფილება და საკუთარი სახელოსნო. შემდეგში სადგური გაფართოვდება საცვარით, რადიომეტალოგრაფიული განყოფილებებით და ელექტრო-ტეხნიკური ლაბორატორიით.

სადგურის მოწყობის მოსამზადებელი მუშაობა ოთხი წლის განმავლობაში სწარმოებდა და მხოლოდ ეხლა იქნა მიღწეული სასურველი შედეგები.

სადგურის პროექტის ავტორი არის სტალინის სახელობის ქარხნის ქიმიურ-მექანიკური ლაბორატორიის გამგე ვ. ა. ბატრაკოვი. საამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს ინჟინერ-არქიტექტორს — მადათოვს.

20 აგვისტოს, ოთხ 3 საათზე მოხდება სადგურის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა.

სადგურის ასაგებ ადგილად არჩეულია ლენინის რაიონი (ყოფ. ნაძალადევი), საბჭოთა ქუჩის ბოლო; ის რაიონი, სადაც შენდება რკინის გზის საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელი.

მუშათა სარემონტო ბრიგადები სოფლად

საშეფო საზოგადოების თბილისის ორგანიზაციამ გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებაში გამოამჟღავნა დიდი საზოგადოებრივი აქტივობა. მან მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა პარტიას და ხელისუფლებას დასახულ ამოცანის შესრულებაში როგორც სათესი სივრცის გაფართოების, ისე მოსავლიანობის გადიდების მხრივ.

მუშათა სარემონტო ბრიგადებმა, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა 162 მუშა, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია სოფლის მშრომელ გლეხობას; მათ შეაკეთეს 4 ათასი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებმაც ხელი შეუწყო მთავრობის დადგენილებათა ცხოვრებაში უნაკლოდ გატარებას. დასასრულ მუშათა ბრიგადებმა გლეხობის ღარიბებს და საშუალო ფენებთან ერთად ჩაატარეს ბრძოლა იმ კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეფუშათ კამპანიის მსვლელობა.

დღეს საშეფო ორგანიზაციამ მიზნად დაისახა უფრო დიდი დახმარება აღმოუჩინოს პარტიას და ხელისუფლებას საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებაში, რომ თავიდან იქნეს აცილებული ყველა ის დეფექტები, რომლებიც ახასიათებენ გაზაფხულის თესვის კამპანიის მსვლელობას. ამ მიზნით თბილისის საშეფო ორგანიზაციამ ამ დღეებში ოსეთში, თბილისის, ბორჩალოს და გორის მაზრებში მიავლინა მუშათა სარემონტო ბრიგადები. ადგილებზე გამგზავრებამდე სარემონტო ბრიგადის წევრ-მუშებისათვის მოწყობილი იყო მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები. კურსებზე მუშებმა მოისმინეს ამხ. ს. ჯუღელის მოხსენება საშემოდგომო თესვის კამპანიის გეგმის შესახებ, ამიერ-კავკ. ფინსახკომიდან—ამხ. ირისის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ, პურის დამზადებისა და ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ—ამხ. ბაქრაძის საუბარი და მუშათა სარემონტო ბრიგადების ამოცანებზე სოფლად ამხ. ხტეფანოვის მოხსენება. კურსების დამთავრების შემდეგ საჭირო ხელსაწყოებით მუშები გაემგზავრნენ სოფლებში. მუშების გაგზავნაში დიდი აქტივობა გამოიჩინეს თბილისის საშეფო ორგანიზაციის წევრებმა, რომლებმაც უშუალოდ გაიღეს აღნიშნულ მიზნისათვის ექვსი ათას მანეთამდე. სოფლად გაგზავნილ მუშათა ბრიგადებს შორის გამოცხადებულია შეჯიბრება. ის სარემონტო ბრიგადა, რომელიც საუკეთესოდ შეასრულებს თავის ამოცანას დაჯილდოებული იქნება თბილისის საშეფო საბჭოს მიერ. ამ დღეებში დამატებით გაიგზავნება მუშათა 5 სარემონტო და 5 აგრონომიული ბრიგადა. მუშათა ბრიგადები სოფლებში დარჩებიან 1 თვეს.

საბავშვო ბაგების მდგომარეობა

თბილისში

მიუხედავად საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებისა, წარმოება-დაწესებულებების მიერ მუშათა ყოფა-ცხოვრების ფონდიდან 5-დან 10 პროცენტამდე ანარიცხების გადადების შესახებ საბავშვო ბაგებისათვის, ეს დადგენილება მთლიანად არ ტარდება ცხოვრებაში. პროფ. კავშირებიც ამ გარემოებას სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდნენ.

არსებულ დადგენილების მიხედვით, ის წარმოებები, რომლებშიც ქალთა შრომა შეადგენს 50 პროცენტს, ვალდებულნი არიან გადაიხადონ 0,25 პროცენტი ხელფასის ფონდიდან. მიუხედავად ამისა თამბაქოს ტრესტი, ამ ანარიცხებს არ იხდის. იმ წარმოება-დაწესებულებებში კი, სადაც იხდიან (მკერავთა, მეტყავეთა, სახალხო კვების კავშირების გაერთიანებებში) ეს ანარიცხები გამოუყენებელი რჩება კავშირების მიერ, თბილისში სულ 8 ბაგა არსებობს, მაგრამ მათი უმრავლესობა ვერ არის მოწყობილი წესიერად. ბაგებს არა აქვს შესაფერისი ბინა, გათბობა, განათება ბაღები და სხვ. არც კვების საქმეა მოწესრიგებული (ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის გამოკლებით). მუშა და მოსამსახურე ქალების მხრივ საბავშვო ბაგებზე დიდი მოთხოვნილებაა. როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშა - ქალები აცხადებენ რომ მათი შვილები უყურადღებოდ რჩებიან სახლში.

ყოველივე ამის გამო გამომკვლევმა კომისიამ მიიღო შემდეგი პრაქტიკული წინადადებანი: მიღებული იქნეს ზომები საბავშვო ბაგების საჭიროებისათვის დაკანონებულ ანარიცხების გადახდისათვის სამეურნეო ორგანოების მიერ. კავშირებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი, რომ აღნიშნული თანხები გამოყენებული იქნეს თავისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ. უახლოესი დროის განმავლობაში კავშირების მიერ გამოკვლეული უნდა იქნას იმ თანხების რაოდენობა, რომლებიც უნდა გადაეცეს ჯანმრთელობის ორგანოებს (ბაგებისათვის). მიღებული იქნეს ზომები საბავშვო ბაგების უზრუნველყოფისათვის შესაფერი ბინებით. რადგანაც ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი იკვებება მშობლების ხარჯზე, საბავშვო ბაგების ხარჯთაღრიცხვებში შეტანილი იქნეს ბავშვთა კვების ხარჯები.

ბრძოლა „პელაგრა"-სთან

როგორც ვსწერდით, სამეგრელოში მძვინვარებს ავადმყოფობა „პელაგრა" და იგი ეპიდემიურ ხასიათს ატარებს. საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველად უკვე გაგზავნილია და აწარმოებს მუშაობას ადგილობრივ სპეციალური ექსპედიცია პროფ. სპ. ვირსალაძის მეთაურობით.

ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ენერგიულად ჩაება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაც.

საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დროზე დაავალა ზუგდიდის და სენაკის წითელი ჯვრის სამაზრო კომიტეტებს წარმოედგინათ ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა. ეხლა მანვე წინადადება მისცა ხსენებულ სამაზრო კომიტეტებს შექმნან ადგილობრივ „პელაგრისაგან" დაზარალებულ მოსახლეობის დამხმარე წითელი ჯვრის კომიტეტი.

ამასთანავე წითელი ჯვრის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს დაევალათ შეუდგნენ დაზარალებულთათვის ფულადი და სურსათით შეწირულების შეგროვებას.

რაც შეეხება მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების გაწევის საქმეს, ჯერ-ჯერობით წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ ამის შესახებ გეგმა შედგენილი არ არის. რომ ამ საქმეში ადგილი არ ექნეს პარალელიზმს, წითელი ჯვრის ცეკამ შუამდგომლობა აღძრა საქ. ჯანმრთელობის კომისარიატის წინაშე, რათა მოწვეულ იქნეს მახლობელ დღეებში სპეციალური თათბირი ეპიდემიასთან საექიმო ხასიათის ბრძოლის გეგმის შესამუშავებლად.

ამავე თათბირზე განაწილებული იქნება ფუნქციები ჯანმრთელობის კომისარიატის და წითელი ჯვრის ორგანიზაციებს შორის.

სასამართლო

გაუპატიურება

გეორგ მირზოიანცს შორეული ნაცნობობა ჰქონდა ქ—ს ქალთან.

ამ რამდენიმე ხნის წინად მირზოიანცი ქ—ს შემთხვევით შეხვდა ბაზარში, გამოელაპარაკა და დაუწყო მუსაიფი სიძვირეზე, ქესატობაზე და სხვა დღიურ ჭირვარამის შესახებ.

მირზოიანცმა თანდათან ჩაიყოლია ქალი ლაპარაკში და გაიგო, რომ ის ქვრივია, არავინ არ ჰყავს ახლობელი, ცხოვრობს მარტო დღიური შრომით და თანაც ავადმყოფობს.

მირზოიანცს ეგონა ქალი განგებ წუწუნებდა, რადგან მას სამისო არაფერი ეტყობოდა—ეცვა გვარიანად და ფერზედაც კარგათ იყო.

ქალი შეევაჭრა კარადას.

— როგორ, თქვენ კარადა გინდათ? არ შეცდეთ, ეს საბაზრო საქონელია, არაფრათ არ ვარგა, თუ მართლა გინდათ კარადა, მე შემიძლია ის გაგიკეთოთ საგულდაგულოთ და იაფათ,—მიმართა ქალს მირზოიანცმა და თან დაუმატა, რომ თვითონ დურგალია და ხარატობაშიაც არავის ჩამოუვარდება.

ქალს ეჭვიც არ შეპარვია მის გულწრფელობაში, მადლობა გადაუხადა და სთხოვა შეევლო მასთან მოსალაპარაკებლად.

მირზოიანცმა ქალის მისამართი უბის წიგნაკში ჩაიწერა და თავაზიანად გამოემშვიდობა.

მირზოიანცი იმავე საღამოს ესტუმრა ქალს, რომელიც ცხოვრობდა პანასევიჩის ქუჩაზე.

მირზოიანცს ძალზე სასიამოვნო დაურჩა ის გარემოება, რომ ქალის ოთახი განცალკევებული იყო და შიგ შესვლისთანავე მოხვია ქალს ხელები.

ქალი ჯერ დაიბნა, მაგრამ მალე გაუსხლტა ხელიდან და გავარდა გარეთ. დაუძახა მეეზოვეს და მისი დახმარებით მხეცი მირზოიანცი როგორც იქნა თავიდან მოიშორა.

მეორე დღეს საღამოს ისევ ეწვია მირზოიანცი ქალს, რომელიც საოჯახო საქმეებში იყო გართული და არც კი შეუმჩნევია მისი ოთახში შესვლა. მირზოიანცმა, კარები ჩაკეტა შიგნიდან და ეცა ქალს, წააქცია ტახტზე, ცალი ხელი პირზე დააფარა და მეორე ხელით ტანისამოსი შემოახია. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ქალს გული შეუწუხდა. ამით იდროვა მირზოიანცმა და რამდენჯერმე დაიკმაყოფილა თავისი მხეცური ვნება.

დიდხანს იყო ქალი უგრძნობელ მდგომარეობაში და როცა გონს მოვიდა მირზოიანცი უკვე გაპარულიყო.

ქალმა ეს ამბავი აცნობა სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც მირზოიანცი დააპატიმრა.

მირზოიანცის საქმეს ამ დღეებში განიხილავს თბ. მაზრა-ქალაქის სასამართლო.

—:—

ღირსეული სასჯელი ხულიგანს

გუსეინ კული ნაჯაფ ოღლი ცნობილია თავის მუშტი-კრივით და აყალმაყალით შუა ბაზარში.

მან ამა წლის 30 იანვარს, სიმთვრალის დროს, თათრის მოედანზე დანით დასჭრა შიმშო მარდოხ ოღლი. მანვე 21 თებერვალს აბანოს ქუჩაზე მდებარე საჩაიეში უმიზეზოთ ასტეხა სროლა, რის დროსაც დაიჭრა გლეხი გუსეინ ალი-ოღლი.

გარდა ამისა ნაჯაფ-ოღლის ბრალდება კიდევ სხვა მრავალი ხულიგნური გამოსვლა და მოქალაქეთა შეურაცყოფა.

ყველა ამ ბოროტმოქმედებისათვის ის დააპატიმრა მილიციამ და მისი საქმე გადასცა სასამართლოს.

თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით, გუსეინ კული ნაჯაფ ოღლი იცნო სოციალურად მავნე პირად და გაუსწორებელ ხულიგნად, რისთვისაც მას მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ რესპუბლიკის ფარგლიდან გადასახლება სამი წლის ვადით.

კასიო.

რკინის გზებზე

როგორ ფერხდება შეკეთების საქმე

ლენინაკანის ორთქლმავლების დეპომ რამდენჯერმე მიმართა თხოვნით სტალინის სახელობის ქარხანას, რომ გადაეგზავნა ვაგონების და ორთქლმავლების ბორბლები. აქამდე ეს თხოვნა შეუსრულებელია და ამით ლენინაკანში შეფერხებულია მოძრავ შემადგენლობის შეკეთების საქმე. ეს, რომ ასეა იქიდანაც სჩანს, რომ დეპოში ა.-წ. 1 ივლისს შესაკეთებლად გაგზავნილი ორთქლმავალი აქამდე სდგას უმოძრაოდ დომკრატებზე.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს საგზაო კომიტეტმა და გზის გამგეობამ და წინადადება მისცეს ქარხნის დირექციას, რათა მიიღოს სასწრაფო ზომები ლენინაკანში ბორბლების გადასაგზავნად და ამით სოციალისტური შეჯიბრების ჩაშლის თავიდან ასაცილებლად.

სტაჟიორების შესანახად

მიმდინარე 1928—29 წლის დაძლევამდე პროფსკოლებიდან ამიერ-კავკ. რკ. გზებზე სამუშაოდ მივლენილ სტაჟიორების შესანახად რკინის გზების ცენტრალურმა სამმართველომ ამიერ-კავკ. რკ. გზის გამგეობას გაუხსნა კრედიტი 7.900 მანეთის რაოდენობით.

კონდუქტორთა საუკეთესო გუნდების კონკურსი

20 აგვისტოდან ამიერ-კავკ. რკ. გზებზე ტარდება კონკურსი კონდუქტორთა საუკეთესო გუნდების სახელწოდებაზე.

15 აგვისტოს მოწვეული იქნება თათბირი, რომელზედაც დამუშავებული იქნება კონკურსის დაწვრილებითი პირობები.

შემთხვევები

თავის ჩამოხრჩობის განზრახვა

კონსტანტინე ჩებეჩომ (15 წლის) თვით მკვლელობის მიზნით თავის ბინაში განიზრახა თავის ჩამოხრჩობა ელექტრონის მავთულით, მაგრამ სიკვდილს გადაარჩინეს.

დაჭრა

იაკობ ივანეს ძე მირაქოვმა პლეხანოვის პროსპექტზე დანით დასჭრა ლევან აკოფის ძე მაიუკოვი, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში. მირაქოვი შეიპყრეს.—ჩარის შესახვევში მიმავალ ივანე კატიაშვილს ფეხში მოხვდა უცნობის მიერ გამოსროლილი დანა და დაიჭრა.

შეპყრობა

შეიპყრეს ვლადიმერ ივანეს ძე ჩეკურაშვილი, რომელიც თეთრეულის ორდერებს ყიდდა ხითარივისეულ ბაზარში.—ტანი-ვარჯიშობის სკოლიდან (ევანგულოვის ქ. № 48) სხვადასხვა ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს ამბარცუმ არსენის ძე ხაჩატუროვი.

პატიმარის გაქცევა

3 აგვისტოს სოფ. ვარდის უბანში კახეთის მილიციამ დააპატიმრა ვინმე მელიტონ იაკობის ძე სულიბანიძე, რომელიც სოფელში ცხოვრობდა სხვისი გვარით. მას თან აღმოაჩნდა ყალბი მოწმობა გაცემული ამბროსი ცირეკიძის სახელზე.

როგორც გამოირკვა სულიბანიძეს სოფ. გოდოგანის (ქუთ. მაზ.) კოოპერატივში ნოქრად ყოფნის დროს გაუფლანგავს 700 მანეთი და მიმალულა. დღემდე ის ცხოვრობდა სხვისი გვარით.

ხანძარი

სოფ. კავთისხევში (გორის მაზრა) ბავშვებმა თამაშობის დროს ცეცხლი წაუკიდეს ვასო ქარსალაძის გაულეწავ პურის ძნებს. დაიწვა 60 ფუთამდე ხორბალი. ზარალი 300 მანეთს უდრის.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა, სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ტატიანა ტერ-გრიგორიანი, ოლღა ხახლოვა, ოლია ჩიხაძე, ელენე გელოვანი, მარიამ რატიანი, გაგოშკარია, აშხენა დანელიანი, ბარბარე ბუკიაშვილი, მარ. პაშიკოვა, დარო ელიავა, იუსტინე მგალობლიშვილი, ნინო ციციშვილი, მარო ჩუტულაშვილი, პსარიავი, ვერა გიორგაძე, ნინო გაბაშვილი, ელეონორა ქუთათელაძე, გიორგი სურგულაძე, თამრო ფოფხაძე.

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: ივანე მიცკევიჩი, ნიკ. ტატიანანცი, გიორგი მელიქოვი, ნადია ლუცენკო, ერვ. კარაკოზოვი, ასტატე ცერცვაძე, ინნა ელენდრიაშვილი, არკადი ინკატიანი, მიხეილ თვალაძე, ალექ. ბეკკერი, ლუკა ტაბატაძე.

მედსექციიდან: ქეთევანა კიკნაძე, ქსენია მელნიკოვა, სოფიო ხაჩატურიანი, ევგენია ბარჩინსკაია, ანნა გვალოვა, მიხ. ტერ-სტეპანოვი, ვარა რუხაძე, ალექ. ბაკურაძე.

რკინისგზელთა სექციიდან: ზაქრო ღვინაძე, გიორგი გურგენიძე, ბოლქვაძე, ილია დადიანიძე, ვლადიმერ ჩოჩია, ვასილ იამაშვილი, დავით ფანჩულიძე, სიმონი ბეკოშვილი, ილია ჯანესაშვილი, იოსებ დოლაბერიძე.

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: ვლადიმერ თელიაშვილი, აგანჯანოვი, ალექსანდრე კაკაბაძე, სევერიან ფერაძე, ვართ. აგაქოვი, გაბო გაბოიანი, არტემ მერაბაშვილი, გიორგი პეტროსოვი, გიორგი ნარიმანოვი, სერგო ნესტოროვი, ანდრო შახნაზაროვი, ივანე სოკოლოვი, დიმიტრი აურაშვილი, ლეონიდ გაბილევიჩი.

იურიდიული რჩევა-დარიგება

სოფ. წირქვალი—მიროტაძეებს

კითხვა:

სოფ. წირქვალის გლეხობას, სახელდობრ მიროტაძეების ერთ ჯგუფს, რომელიც შესდგება 4 კომლისაგან, ყანაში აქვს წყალი, რომელიც საათში იძლევა დაახლოვებით 100 ვედრო წყალს. მის მახლობლად აქვე ვცხოვრობთ 25 კომლი გლეხობა, რომელთაც არა გვაქვს საკმაო და კარგი წყალი. ჩვენ იძულებული ვართ ვიაროთ მათ წყალზე, ვთელოთ ლობე და ეზოები, რაც იწვევს უკმაყოფილებას. გადავწყვიტეთ გამოგვეყვანა წყლის ნაწილი მილით. აღმასკომიც თანახმა გახდა, მაგრამ 4 კომლი არ გვანებებს. გვეკუთვნის თუ არა წყალი და ვის მივმართოთ?

პასუხი:

საკითხებს წყლის სარგებლობის შესახებ იხილავენ წყალთა მეურნ. ორგანოები, ამიტომ უნდა მიმართოთ წყლის მოსარგებლეთა რწმუნებულების საბჭოს (წყალთა საბჭოს).

ალექსანდრე დოლიძეს

კითხვა:

ვმუშაობდი ერთ-ერთ დაწესებულებაში მოანგარიშეთ. დამითხოვეს სამსახურიდან, ხოლო სრული ანგარიში; სალიკვიდაციო, გაუფრთხილებლობის და გამოსასვლელ დღეების არ მომცეს. ავძარი სარჩელი შრომის სასამართლოში; უკანასკნელმა მომისაჯა სალიკვიდაციო, შვებულების, გამოსასვლელი დღეების და სხვა; ხოლო განაცდენ დროის განმავლობაში ანგარიშის გასწორებაზე უარი მითხრა. მერგება თუ არა კანონით განაცდენი დროის განმავლობაში ხელფასი, ფაქტიურ ანგარიშის გასწორების დღემდე, რადგან დამქირავებლებს ჩემთვის ჯერაც არ მოუცია საბოლოო ანგარიში.

პასუხი:

თუ თქვენ სამსახურიდან დათხოვნის დღიდან უმუშევრად იყავით, უფლება გაქვთ მიიღოთ ხელფასი გაცდენილი დროისა ანგარიშის გასწორების დღემდე, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა. თუ ამ დროის განმავლობაში თქვენ გქონდათ შემოსავალი და ეს შემოსავალი ძველზე ნაკლები არ იყო, არაფერი გერგებათ. თუ ეს შემოსავალი ძველზე ნაკლები იყო, მაშინ შეგიძლიათ მიიღოთ განსხვავება.

ანა ლომიძეს

კითხვა:

ჩემი ქმარი მუშაობდა მაღაროში. 1926 წ. ნოემბერში გაიწვიეს წითელ ჯარში ორწლიან სამსახურში და მსახურობს. 1927 წლის აპრილში, 6 თვის შემდეგ, შემეძინა შვილი. როგორც დაზღვეულს და წითელ არმიაში გაწვეულის ცოლს, მეკუთვნის თუ არა დამზღვევ სალაროდან, მშობიარობის ერთდროული დახმარება და რძის ფული?

პასუხი:

თუ დაზღვეული ხართ, უფლება გაქვთ მიიღოთ დახმარება მშობიარობისათვის და რძის ფული.

ი. ქოჩლამძეს

კითხვა:

ვცხოვრობ რაჭის მაზრაში სოფ. ჩონისში. ვართ ორი ძმა. ჩემმა ძმამ მოისურვა ცალკე ცხოვრება. 1927 წ. 1 ივლისს მე და ჩემი ძმა გავიყავით. მამაჩვენს ჩვენი ქონებიდან რამოდენიმე ნაწილი მიეცა. შემდეგ მამაჩემი ჩემთან გადმოვიდა თავისი ნაწილით. დღეს ჩემი ძმა მოითხოვს ადგილის სულზე გაყოფას. მე ამაზე არ ვეთანხმები, ვინაიდან ჩვენი ადგილის რაოდენობა ნახევარ ნორმაზე ნაკლებია. სამართლიანია თუ არა ჩემი ძმის მოთხოვნა?

პასუხი:

თქვენი მიწის ნაკვეთი ნახევარ ნორმაზე ნაკლებია, ამიტომ კანონით მისი გაყოფა აკრძალულია (მიწის კოდექსი 48 მუხ.) ამას გარდა თუ მამათქვენთან ერთად ერთ კომლს შეადგენდით, მამის სიკვდილის შემდეგ მიწა უნდა დარჩეს თქვენს კომლში, ძმას კი, რომელიც ცალკე ცხოვრობდა, არავითარი უფლება ამ მიწაზე არა აქვს.

სოფლის მცხოვრებს

კითხვა:

ვარ 80 წლის, ცოლიც მოხუცებულია. მყავს ნასწავლი შვილები, რომლებიც ჩემთან არ ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენთან ერთად ერთ ოჯახად ითვლებიან. შვილები მოდიან ოჯახში ზაფხულობით. მიუხედავად ჩემი და მეუღლის ხნოვანობისა ჩვენვე ვეწევით ოჯახში სასოფლო-სამეურნეო მუშაობას. სათესი ყანა ბევრი არა გვაქვს; გვყავს ერთი უღელი ხარი, ერთი ცხენი და ერთი ძროხა. სიმინდს ვყიდულობთ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადს და ყველა ნატურალურ ბეგარას ვიხდი, მათვლიან ყველა შვილს და ოჯახის სულის რაოდენობის მიხედვით მასრულებინებენ, ე. ი. თვითეულ ჩემს შვილს აწერენ თანასწორად ყველა შეძლებულ გლეხთან ერთად. გთხოვთ გვიპასუხოთ, კანონიერია თუ არა ადგილობრივ ხელისუფლების ასეთი მოქმედება?

პასუხი:

სასოფლო სამეურნეო გადასახადი იანგარიშება მეურნეობის შემოსავლიდან, ოჯახის წევრთა რიცხვი გავლენას ახდენს არა გადასახადის გადიდებაზე, არამედ მის შემცირებაზე, რადგან მიიღება მხედველობაში ის, თუ რამდენი მჭამელი ჰყავს ოჯახს. რაც შეეხება თვითდაბეგვრას, აქაც თანახმად ცა. კ-ს და სახკომსაბჭოს 1927 წ. 4 ივნისის ინსტრუქციისა, ადგილობრივ საჭიროებისათვის თვითდაბეგვრით დაკმაყოფილების შესახებ, მეურნეობამ უნდა გამოიღოს ისეთი გამოსაღები, რომელიც განისაზღვრება არა ოჯახის წევრთა შემადგენლობის მიხედვით, არამედ საგლეხო მეურნეობის შემოსავლიანობის მიხედვით, ასე, რომ არა აქვს მნიშვნელობა იმას, იღებენ თქვენი შვილები მონაწილეობას მეურნეობაში თუ არა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარასკევს, 16 აგვისტოს, დილის 8 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილება იწვევს თათბირს. ქვემოდ დასახელებული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა. ამხ. შავერდოვა (საქ. კომპ. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილება), ჯაფარიძე (მუშათა და გლეხთა ინსპექცია), უოციკაშვილი, ბელოზეროვი და ხოშტარია (ცეკა), აბდრიაძე (თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება), მატინიანი (მე-3 რაიკომი) შერმანდინი (პირველი რაიკომი), მაჩაიძე (ქალაქის რაიკომი), შიუკაშვილი და მგელაძე (საქართველოს ცაკი), მარკმანი, ჩირქეზიშვილი, თალაკვაძე, ფანცულაია, ჭყონია და სიხარულიძე (საქართველოს პროფსაბჭო), ქართველიშვილი (შინამრეწველთა კავშირი), კაპანაძე (ჯანმრთელობის კომისარიატი), თეორელიძე და მონტინი (საბინაო კოოპერაცია) ჯავახიძე (კომკავშირის ცეკა).

—:—

საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 66) გამოძახებულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ვასილ ბეტლინი, ნიკოლოზ ლიხოშერსტოვი, ტროფიმე ლიტვიშკოვი, გრიგოლ გონგაროვი, ანნა გონგაროვა, ლავრენტი გულიაშვილი და გიორგი ფ. ვოლტერი.

—:—

საქართველოს კომპარტიის ცეკას საარიცხვო სექტორი წინადადებას აძლევს ამხ. ალექსანდრე გიორგის ძე კორონაშვილს, ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ცეკაში ამხ. ჩარკვიანთან (ოთახი № 22).

დღეს, 15 აგვისტოს, დილის 10 საათზე, საქართველოს კომპ. ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც დაუგვიანებლივ უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ჭყონია („კომუნისტი"), სიხარულიძე („მუშა"), გრიგორიანი („რაბოჩაია პრავდა"), ბარათაშვილი („ახალი სოფელი"), არეშიძე („წით.-არმიელი"), მახარაძე („ახალგ. კომუნისტი"), ტაგიევი („ენი-კენდ"-ი), ვართანიანი („პროლეტარი"), ჩხარტიშვილი (მთავარი პოლიტგანი).

—:—

საქართველოს ლენ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ხუთშაბათს, 15 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო ბანკის წითელ კუთხეში (სოლოლაკის ქ. № 5) იწვევს ქალაქის რაიკომის გაფართოებულ პლენუმს უჯრედების ბიუროების წევრებთან ერთად. რაიკომის პლენუმის წევრების, უჯრედების პასუხისმგებელი მდივნების და აგიტ-პროპორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა. პლენუმი დაამუშავებს კომკავშირის მე-6 კონფერენციის შედეგებს.

—:—

საქართველოს ლენ. კომკავშირის „26" კომუნართა სახელობის რაიკომი იუწყება, რომ პარასკევს, 16 აგვისტოს, საღამოს სრულ 5 საათზე, სარეწაო კოოპერაციის კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 66) მოწვეულია 1907 წელში დაბადებულ ჯარში გასაწვევთა კონფერენცია, რომლებიც ცხოვრობენ მე-3 სამილიციო რაიონში. ყველა გასაწვევთა დასწრება დანიშნულ დროისათვის სავალდებულოა.

მწუხარებულნი დედა თეკრონე, ძმები: ლავროსი, აფრასიონ, დები: პაციკო, ეკატერინა; რძლები: ნადია, ოლღა; სიძეები: ივანე მეგრელიშვილი, მირიან კაკურია, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს ყოფილი მასწავლებლის
ხარიტონ ანტონის-ძე მამულაძის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. ხევში, 15 აგვისტოს. ქვ. 2889

საქკინმრეწვის კინოები

საზაფხულო აპოლო	კომედიის განვითარება გლუპიშკინის, პრენსის, ჩაპლინის, გაროლდ ლოიდის და სხ. მონაწილეობით
საზაფხულო ეთერი	მონტი ბენკს ახალ კომედიაში მფრინავი ბედნიერება
საზ. ფხულო პალასი	ფრანგული კინო-რომანი 4 სერიად „ვინდიქტა" 1 და მე-2 სერია ერთად
მინიონი	უკანასკნელი 2 დღე მთის ბალადა

მალე: „ადამიანის ფასი" და „ცეცხლის კაცი". 0—9

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 18 აგვისტოს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 3108

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ შაბათს, 17 და 18 აგვისტოს, კომინტერნის ქ. № 3, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ. გაიყიდება პიანინო, როიალი, ბუფეტები, შიფონერკები, პირის-საბანები, ხალიჩები, სარკეები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები.
ნ. 3108

15 აგვისტოს, საღ. 5 საათზე მოწვეულია წითელ ჯარში ახლად გასაწვევ პირთა (დაბ. 1907 წ.)
კონფერენცია მედსანშრომის საზაფხ. კლუბში
აღმასკომის ქუჩაზე (ყოფ. სტელლა). ამისათვის ვსთხოვ აღნიშნულ წელში დაბადებულ ახალგაზრდებს, რომლებიც ცხოვრობენ მე-4 სამილიციო რაიონში (სოლოლაკის) და ეხებათ წითელ ჯარში გაწვევა, გამოცხადდენ აღნიშნულ დროს დაუგვიანებლივ, სადაც იქნება სტატარებულნ მოხსენება წითელ ჯარში გაწვევის შესახებ.
მე-4 სამ. რაიონის უფროსი: ქ. დანელია.

ქ. ქობულეთში
ბავშვების ექიმი
ალ. მაღალაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათამდე. მესხეთის ქ. № 14. 2838 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
253325—15

საქართველოს გზ. ტექნიკის სამმართველოს
ესაჭიროება
გზების აშენებისათვის და გამოკვლევისათვის გამოცდილი ინჟენერები, ტეხნიკოსები და თისთავები, გაცნობილნი გზათა მშენებლობასთან.
მიმართონ გზათა განყოფილებას (მაჩაბლის ქ. № 8) სამსახურის დროს და საღამოს 7 ნახ. საათიდან 9 ნახ. საათამდე.
ნ. 3109. საქგზატ ანსი.

იყიდება
70
ნახმარი სასკოლო
პარტა
ხელმისაწვდენ ფასებში.
მისამართი საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ. № 130. რკ. გზ. მე-6 სკოლა. 3—3 2845

თანახმად სრულიად საქარ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახკომისართა საბჭოს 1923 წლის 15 მარტ ს № 12 ცირკულიარისა ადმინგანის მმაჩის ბიურო ახადებს, რომ მოქ. დომენტი და პორფილე სიმონის-ძე ნადარაიებმა თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე ნადარეიშვილზედ. 2890

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
წასულია კისლოვოდსკში და დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი („914" შეხაპ.)
ვენერიული მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და კანის სნეულება.
მიღება: დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.
2578 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).
25—1

დავკარგე: მუშ. ოოპის წიგნაკი № 33653 კოტე კორინთელის სახელზე, ჩაით. გაუქმ. № 1887

დავკარგე: საწევრო წიგნაკი მოცემული მარტვილის მ/კოოპერატივის მიერ № 1/618 ივანე ფუტკარაძეს სახელზე, ჩ. გ. № 2888

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი გრიგოლ მავაკიანცის სახელზე, ჩ. გ. № 289

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.